



ევთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი

საქართველო

საპარლამენტო არჩევნები
2024 წლის 26 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების
ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია

საბოლოო ანგარიში



ვარშავა
2024 წლის 20 დეკემბერი

შინაარსი

I.	შემაჯამებელი მიმოხილვა	1
II.	შესავალი და სამადლობელი სიტყვა.....	8
III.	წინასიტორია და პოლიტიკური კონტექსტი	10
IV.	სამართლებრივი ჩარჩო და საარჩევნო სისტემა	13
V.	საარჩევნო ადმინისტრაცია	16
VI.	საარჩევნო ტექნოლოგიები.....	20
VII.	ამომრჩეველთა უფლებები და რეგისტრაცია	23
VIII.	კანდიდატთა უფლებები და რეგისტრაცია.....	25
IX.	საარჩევნო კამპანია	26
X.	წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება.....	33
A.	შემოსავალი და ხარჯები.....	34
B.	ფინანსების გამჭვირვალებობა და ზედამხედველობა.....	35
XI.	მედია <i>დეტალური ინფორმაციის მიღება</i>	39
A.	მედია გარემო	39
B.	სამართლებრივი ჩარჩო.....	41
C.	წინასაარჩევნო კამპანიის მედია გაშუქება	44
XII.	ეროვნულ უმცირესობათა მონაწილეობა	45
XIII.	საარჩევნო დავების გადაწყვეტა	47
XIV.	არჩევნებზე დაკვირვება.....	51
XV.	კენჭისყრის დღე	53
A.	უბნების გახსნა და კენჭისყრის პროცესი	53
B.	ხმების დათვლა და დაჯამება	56
XVI.	კენჭისყრის დღის შემდეგ განვითარებული მოვლენები.....	58
XVII.	რეკომენდაციები	63
A.	პრიორიტეტული რეკომენდაციები.....	64
B.	სხვა რეკომენდაციები.....	66
დანართი I:	კენჭისყრის საბოლოო შედეგები	69
დანართი II:	საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიი დამკვირვებელთა სია.....	70
ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის	შესახებ	77

საქართველო
საპარლამენტო არჩევნები
26 ოქტომბერი 2024

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო
სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიში¹

I. შემაჯამებელი მიმოხილვა

საქართველოს ხელისუფლების მოწვევით და თავისი მანდატის შესაბამისად, 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე დასაკვირვებლად, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა (ODIHR) სადამკვირვებლო მისია გახსნა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ შეაფასა თუ რამდენად შეესაბამებოდა საარჩევნო პროცესი ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებს, დემოკრატიული არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებს და ვალდებულებებს და ასევე ეროვნულ კანონმდებლობას. კენჭისყრის დღის მოკლევადიანი დაკვირვების მიზნით, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიას, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის, ევროპარლამენტის და ნატოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციები შეუერთდნენ, რის შედეგადაც საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია ჩამოყალიბდა (IEOM).

2024 წლის 27 ოქტომბერს გამოქვეყნებულ წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ მოხსენებაში, საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ განაცხადა: "მიუხედავად იმისა, რომ საპარლამენტო არჩევნები ამომრჩევლებს 18 კანდიდატს შორის გასაკეთებელ ფართო არჩევანს სთავაზობდა, არჩევნები ჩატარდა დამკვიდრებული პოლარიზაციის ფონზე, გარემოში, რომელიც დამძიმებული იყო ბოლო პერიოდში მიღებული კანონმდებლობით და მისი გავლენით ფუნდამენტურ თავისუფლებებსა და სამოქალაქო საზოგადოებაზე. საარჩევნო სუბიექტებს, ზოგადად, შეეძლოთ თავისუფლად ეწარმოებინათ წინასაარჩევნო კამპანია, თუმცა წინასაარჩევნო კამპანიის რიტორიკა და ვიზუალური მასალა მეტად პოლარიზებული იყო. ცნობები ამომრჩეველთა, განსაკუთრებით საჯარო სექტორში დასაქმებულთა, ზეწოლის შესახებ მთელი წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში ფართო მასშტაბს ინარჩუნებდა. ამ გარემოებამ, კენჭისყრის დღეს ამომრჩეველთა ინტენსიურ აღრიცხვასთან ერთად, გამოიწვია შემფოთება იმის თაობაზე, შეძლებდა თუ არა, ზოგიერთი ამომრჩეველი ხმის მიცემას დასჯის შიშის გარეშე. საკანონმდებლო ჩარჩო ადეკვატურ ბაზას იძლევა დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად, მაგრამ ბოლო დროს განხორციელებული ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები უკან გადადგმული ნაბიჯი იყო, რაც შემფოთებას ზრდიდა კანონმდებლობის პოტენციურად პოლიტიკური სარგებლისთვის გამოყენების კუთხით. არჩევნების სამზადისი კარგად იყო ადმინისტრირებული, მათ შორის, განხორციელდა ამომრჩეველთა ინტენსიური ინფორმირება ახალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით.

¹ წინამდებარე ანგარიშის ინგლისური ვერსია ერთადერთი ოფიციალური დოკუმენტია. ანგარიშის არაოფიციალური თარგმანი ხელმისაწვდომია ქართული ენაზე.

ფინანსურ რესურსებს შორის არსებული მნიშვნელოვანი დისბალანსი და დაკავებული თანამდებობით სარგებლობის შეუსაბამო უპირატესობა, ისედაც უთანასწორო საასპარეზო პირობებს კიდევ უფრო ამწვავებდა. პოლარიზებული მედიაგარემო და კერძო მედიასაშუალებების პოლიტიკური პროპაგანდის მიზნით ინსტრუმენტალიზაცია ზეგავლენას ახდენდა ახალი ამბების მიუკერძოებლად გაშუქებაზე, რაც ამომრჩევლებს ხელს უშლიდა ინფორმირებული არჩევანის გაკეთებაში. წინასაარჩევნო კამპანიის ფინანსების ზედამხედველობის ეფექტურობა დაზიანდა შეზღუდული აღსრულებითა და ზედამხედველი ორგანოს მიუკერძოებლობისა და პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაციის კუთხით არსებული ეჭვებით. პოლიტიკურ პარტიათა სიებსა და წინასაარჩევნო კამპანიაში ქალთა წარმომადგენლობის ნაკლებობა მიუთითებს იმაზე, რომ საჭიროა მეტი ძალისხმევა მათი პოლიტიკურ ცხოვრებაში სათანადო ჩართულობის უზრუნველსაყოფად. კენჭისყრის დღე ზოგადად კარგად იყო ორგანიზებული პროცედურული თვალსაზრისით და მოწესრიგებულად მიმდინარეობდა, მაგრამ ხასიათდებოდა დამაბულობით, ხმის მიცემის ფარულობის ხშირი დარღვევით და პროცედურების არათანმიმდევრულად დაცვის რამდენიმე შემთხვევით, ასევე ამომრჩეველთა დაშინებისა და ზეწოლის შესახებ შეტყობინებებით, რაც უარყოფითად აისახებოდა პროცესის მიმართ საზოგადოების სანდოობაზე."

მთლიანობაში, სამართლებრივი ჩარჩო დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისთვის სათანადო საფუძველს ქმნის. თუმცა ის ზედმეტად რთულია და კვლავაც შეიცავს ხარვეზებსა და შეუსაბამობებს. გარდა ამისა, 2020 წლიდან სამართლებრივ ჩარჩოში 20-ზე მეტი ცვლილება განხორციელდა, რომელთაგან რამდენიმე უკან გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა; მათ შორის, არჩევნებამდე მოკლე ვადით ადრე, ფართო პარტიათაშორისი მხარდაჭერის გარეშე მიღებული ცვლილებები. ასეთი ხშირი და ბოლო მომენტში განხორციელებული ცვლილებები სამართლებრივ სტაბილურობას ასუსტებდა და აღძრავდა შეშფოთებას მათი პოლიტიკური მიზნებისთვის შესაძლო გამოყენების შესახებ, რაც ეწინააღმდეგება ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებსა და საერთაშორისო კარგ პრაქტიკას. მიუხედავად იმისა რომ, წინა საკანონმდებლო ცვლილებებმა გაითვალისწინა დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის და ვენეციის კომისიის მიერ გაცემული რამდენიმე რეკომენდაცია და ისინი საჯარო კონსულტაციების საფუძველზე მიიღეს, 2024 წლის უახლესი საკანონმდებლო ცვლილებები ინკლუზიური საკონსულტაციო პროცესის ან ფართო პოლიტიკური კონსენსუსის გარეშე შეიმუშავეს; მათ შორის ის ცვლილებები რომლის შედეგადაც პარლამენტმა საარჩევნო სიებში სავალდებულო გენდერული კვოტები გააუქმა, შეცვალა ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების და გადაწყვეტილების მიღების პროცესი ისე, რომ განმეორებითი კენჭისყრის დროს გვერდი აუაროს სრული შემადგენლობის ორი მესამედის მხარდაჭერის მოთხოვნას. რამდენიმე უცვლელი რეკომენდაცია კვლავაც გაუთვალისწინებელია, მათ შორის საარჩევნო ადმინისტრაციის მიუკერძოებლობასთან, ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების პრევენციისთვის ყოვლისმომცველი რეგულაციების შემოღებასთან, წინასაარჩევნო კამპანიისა და წინასაარჩევნო კამპანიის ფინანსების ზედამხედველობასთან, მედიასთან და საარჩევნო დავების გადაწყვეტასთან დაკავშირებით.

საარჩევნო ადმინისტრაციამ არჩევნების ჩატარების ტექნიკური ასპექტები ეფექტურად წარმართა. ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო) რეგულარულად ატარებდა და

პირდაპირ ეთერში გადასცემდა სხდომებს, დაუყოვნებლივ აქვეყნებდა ყველა რელევანტურ მასალას ინტერნეტით, აორგანიზებდა ფართომასშტაბიან ტრენინგებსა და ამომრჩეველთა საინფორმაციო კამპანიებს. თუმცა, საარჩევნო ადმინისტრაციის მიუკერძოებლობის საზოგადოებრივ აღქმაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა ბოლოდროინდელმა საკანონმდებლო ცვლილებებმა, რომელთა შედეგადაც მმართველმა პარტიამ გააძლიერა კონტროლი ცესკოს წევრთა შერჩევისა და დანიშვნის პროცესზე, გაუქმდა ოპოზიციის მიერ დასახელებული თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა და შემცირდა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში კონსენსუსის აუცილებლობა; დამატებით, კომისიის არაპარტიულ წევრებსა და მმართველ პარტიას შორის აღქმულმა კავშირებმა გააღრმავა ცესკოსადმი უნდობლობა. საარჩევნო კომისიებში გადაწყვეტილებების მიღების პროცესი ყოველთვის კოლეგიალური არ იყო, ოპოზიციის მიერ დანიშნულმა წევრებმა გამოთქვეს შეშფოთება, მათთვის ინფორმაციის შეზღუდულად გაზიარებისა და მათი მარგინალიზაციის შემთხვევების გამო, მათ შორის, კენჭისყრის დღის შემდეგ. საარჩევნო კომისიების ყველა დონეზე მმართველ პარტიასთან კავშირების შესახებ ბრალდებებმა კიდევ უფრო შეასუსტა საზოგადოების ნდობა საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ. დადებითად, ცესკომ გადადგა მრავალი ნაბიჯი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის საარჩევნო პროცესის ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად; თუმცა, ბევრ საარჩევნო უბანზე კვლავ რჩება ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი პრობლემები, რომლებიც ჯერ კიდევ მოითხოვს მოგვარებას.

საქართველოში პირველად, საარჩევნო უბნების უმრავლესობაში, გამოყენებული იყო ამომრჩეველთა იდენტიფიცირებისა და ხმების დამთვლელი და ასევე, წინასწარი შედეგების დამდგენი და გადამცემი ელექტრონული მოწყობილობები. მიუხედავად იმისა, რომ დაინტერესებული მხარეების უმრავლესობა ამ ტექნოლოგიების შემოღებას დადებითად აფასებდა, არჩევნების დღის პროცესების გამჭვირვალობის მიმართ ნდობის გაზრდის მხრივ, ცესკომ, საერთაშორისო კარგ პრაქტიკისგან განსხვავებით, ჩართული მხარეებისთვის არ უზრუნველყო სრული წვდომა ამ მოწყობილობებთან დაკავშირებულ პროცესებსა და დოკუმენტაციაზე; ამასთან, შესაბამისი აუდიტის ანგარიშები მხოლოდ არჩევნების დღის შემდეგ გამოქვეყნდა, რამაც შეამცირა პროცესის გამჭვირვალობა და გააღრმავა ეჭვები ელექტრონული მოწყობილობების შესაძლო დაუცველობისა და მათი არასათანადოდ გამოყენების შესახებ, მათ შორის, ამომრჩეველთა იდენტობის შესაძლო გამჟღავნების კუთხით. მიუხედავად საარჩევნო ადმინისტრაციის მხრიდან ამომრჩეველთა ინფორმირებისთვის განხორციელებული მნიშვნელოვანი ძალისხმევებისა, ბევრ ამომრჩეველს არჩევნების დღეს ელექტრონული მოწყობილობების გამოყენება გაუჭირდა და სათანადო ინსტრუქციები ვერ მიიღო, რამაც ხშირ შემთხვევაში ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა გამოიწვია.

მოქალაქეებს, რომლებიც სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ქმედუუნაროდ იყვნენ გამოცხადებული და სტაციონარში იმყოფებოდნენ, ხმის მიცემის უფლება არ მიეცათ, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს. ამომრჩევლები, რომელთაც ჰქონდათ ვადაგასული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები ან არ ჰქონდათ რეგისტრირებული მისამართი და ასევე არ ფლობდნენ მოქმედ პასპორტს, ამოიღეს ამომრჩეველთა სიებიდან, რაც ასევე წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისო სტანდარტებთან. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ამომრჩევლებს მათი რეგისტრაციის

მონაცემების გადამოწმების და შესწორებების მოთხოვნის რამდენიმე შესაძლებლობა შესთავაზა როგორც პირადად, ასევე ინტერნეტით. მიუხედავად იმისა რომ დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიასთან საუბრებში პროცესში ჩართულ მხარეთა უმეტესობას ამომრჩეველთა სიების სიზუსტისა და ინკლუზიურობის შესახებ მნიშვნელოვანი შეშფოთება არ გამოუთქვამს, ზოგიერთი მათგანი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა მრავალჯერადი რეგისტრაციის შემთხვევებს, სადაც რეგისტრირებული ამომრჩეველები რეალურად არ იყვნენ ცნობილი მისამართზე მცხოვრები პირებისთვის. კენჭისყრის დღის შემდეგ, ოპოზიციამ გააჟღერა ბრალდებები ამომრჩეველთა მონაცემების, მათ შორის საზღვარგარეთ მცხოვრები მოქალაქეების მონაცემების შესაძლო ბოროტად გამოყენების შესახებ. საარჩევნო ადმინისტრაციამ ეს ბრალდებები უარყო, თუმცა სამართლებრივი საფუძვლის არქონის მოტივით, უარი განაცხადა იმ ამომრჩეველთა სიაზე წვდომის უზრუნველყოფაზე, რომლებმაც არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს.

პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების რეგისტრაცია მთლიანობაში ინკლუზიურად წარიმართა; ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 18 პოლიტიკური პარტიის სიებში 1,184 კანდიდატი დაარეგისტრირა. თუმცა მოქმედი შეზღუდვები, როგორცაა: ქვეყნის შიგნით ბინადრობის მოთხოვნა, შეზღუდვები კანდიდატობის უფლების არ მქონე კონკრეტული პირებისთვის ან სასამართლოს მიერ პატიმრობა მისჯილი პირებისთვის და დამოუკიდებელი კანდიდატების რეგისტრაციისთვის შესაბამისი დებულებების არარსებობა, ეწინააღმდეგება ეუთოს წინაშე აღებული ვალდებულებებს, საერთაშორისო სტანდარტებსა და კარგ პრაქტიკას. გარდა ამისა, დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისის წინა რეკომენდაციებთან საპირისპიროდ, ოფიციალური საარჩევნო კამპანიის პერიოდი დაიწყო კანდიდატთა რეგისტრაციის დასრულებამდე ერთ თვეზე ადრე; ამ პერიოდების ვადების ნაწილობრივ ერთმანეთზე დამთხვევამ, გამოიწვია დავები მედიაში უფასო საეთერო დროის განაწილებასთან დაკავშირებით და ფინანსური ანგარიშგების პერიოდებში შეუსაბამობა.

პოლიტიკური პარტიების პროგრამებში, კონკრეტულად ქალებზე მიმართული გზავნილების სიმცირე შესამჩნევი იყო და პარტიების უმეტესობის საარჩევნო კამპანიებში ქალები ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილები. მაშინ როცა, ქვედა რანგის საარჩევნო კომისიების წევრთა უმრავლესობას ქალები შეადგენდნენ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის 17 წევრიდან მხოლოდ 4 იყო ქალი. მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო ნორმები სახელმწიფოს ავალდებულებს მიიღოს განსაკუთრებული ზომები გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად, 2024 წლის საკანონმდებლო ცვლილებებით პარლამენტის წევრობის კანდიდატთა სიებში სავალდებულო გენდერული კვოტირება გაუქმდა. ამ პოზიტიური საკანონმდებლო ზომის გაუქმებამ, რასაც თან ერთოდა ქალთა არასაკმარისი წარმომადგენლობა არჩეულ თანამდებობებზე, ასევე დამკვიდრებული სტერეოტიპები, პარტიებში არსებული შიდა გამოწვევები და გენდერული ნიშნით განპირობებული მუქარები, მნიშვნელოვნად შეასუსტა ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მაჩვენებელი. შედეგად, პოლიტიკური პარტიების კანდიდატთა სიებში ქალები მხოლოდ 29 პროცენტს შეადგენდნენ, მათი უმრავლესობა კი არა არჩევით პოზიციებზე იყო წარმოდგენილი, რაც 2020 წლის არჩევნებთან შედარებით მნიშვნელოვანი

კლებს. არჩეულ პარლამენტის წევრებს შორის 34 ქალია, რაც საერთო რაოდენობის 23 პროცენტს შეადგენს.

კანდიდატებს ზოგადად შესაძლებლობა ჰქონდათ თავისუფლად წარემართათ წინასაარჩევნო კამპანიები, ნაკლებად ინტენსიურ წინასაარჩევნო კამპანიაში 18 კანდიდატის სია მონაწილეობდა. თუმცა, ანგარიშები ამომრჩეველთა, განსაკუთრებით კი საჯარო სექტორში დასაქმებულთა და ეკონომიკურად მოწყვლადი ჯგუფების, დაშინების, იძულებისა და ზეწოლის შესახებ შეშფოთებას ზრდიდა ზოგიერთი ამომრჩეველის შესაძლებლობაზე თავისუფლად ჩამოეყალიბებინა საკუთარი აზრი და ხმა შურისძიების შიშის გარეშე მიეცა, რაც ეწინააღმდეგება ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებსა და საერთაშორისო სტანდარტებს. წინასაარჩევნო კამპანიის რიტორიკისა და ვიზუალური მასალა განხეთქილებას აღრმავებდა; როგორც სახელისუფლებო, ისე ოპოზიციურმა პარტიებმა გააკეთეს საჯარო განცხადებები ძალადობის, ღონისძიებების ჩაშლისა და წინასაარჩევნო მასალის დაზიანების ცალკეულ ინციდენტების შესახებ. მმართველი პარტიის წარმომადგენლებმა საჯაროდ განაცხადეს მათი გეგმების შესახებ, რომლებიც მთავარი ოპოზიციურ პარტიების აკრძალვას გულისხმობდა, მათ შორის, საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის გზით, რაც დემოკრატიული პლურალიზმის პრინციპს ეწინააღმდეგება. მაღალი რანგისა და ადგილობრივი ხელისუფლების პირების მონაწილეობა წინასაარჩევნო კამპანიაში, სხვადასხვა სოციალური ჯგუფისთვის შეთავაზებული ფინანსური პროგრამები და მთავრობის მიერ გამოცხადებული ამნისტიის პროგრამა, მიუხედავად იმისა, რომ კანონთან წინააღმდეგობაში არ მოდიოდა, მმართველ პარტიას შეუსაბამო უპირატესობას ანიჭებდა და ეჭვქვეშ აყენებდა მთავრობის გულწრფელ განზრახვას, თავიდან აეცილებინა ამომრჩეველზე გავლენა სახელმწიფო რესურსების გამოყენებით.

მმართველი პარტია ოპონენტებთან შედარებით მნიშვნელოვან ფინანსურ უპირატესობას ფლობდა, მათ შორის, სახელმწიფო დაფინანსების, კერძო შემოწირულობებისა და წინასაარჩევნო კამპანიის ხარჯების მხრივ. 2023 წელს მიღებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა შეამცირა პოლიტიკური პარტიების ყოველწლიური დანახარჯების ზედა ზღვარი და აკრძალა იურიდიული პირებისგან მიღებული შემოწირულობები, რაც შეესაბამება დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისის წარსულში გაცემულ ზოგიერთ რეკომენდაციას, მაგრამ გაუთვალისწინებელს ტოვებს მესამე მხარის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების და კენჭისყრის დღემდე ზედამხედველი ორგანოს მიერ დასკვნების გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ საკითხებს. წინასაარჩევნო კამპანიის ფინანსების ზედამხედველობის გამჭვირვალობა და ეფექტურობა შეზღუდული იყო საკანონმდებლო ხარვეზებისა და საკანონმდებლო ნორმების არაერთგვაროვანი აღსრულებით, რომელსაც 2023 წლიდან, ახალ შექმნილი ანტიკორუფციული ბიურო (ACB) ზედამხედველობს. ანტიკორუფციული ბიუროს (ACB) მიერ, სამართლებრივი დებულებების გამოყენება იყო შერჩევითი და არათანაბარი, განსაკუთრებით გარკვეული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გამოცხადებაში, როგორც „გაცხადებული საარჩევნო მიზნების მქონდე სუბიექტი“, რომელთათვისაც შეეძლოთ ისეთივე ფინანსურ რეგულაციების დაწესება, რაც პოლიტიკური სუბიექტებისთვის არის გათვალისწინებული. ეს აღნიშვნები მოგვიანებით გაუქმდა მთავრობის თხოვნის შედეგად, რამაც გამოიწვია შეშფოთება ანტიკორუფციული ბიუროს (ACB) გადაწყვეტილებებში პოლიტიკურ ჩარევასთან დაკავშირებით.

მედია მრავალფეროვანი, მაგრამ უკიდურესად პოლარიზებულია, ხოლო მისი დაფინანსება დიდწილად პარტიებთან დაკავშირებულ კერძო პირებზეა დამოკიდებული, რაც ძირს უთხრის დამოუკიდებელ ჟურნალისტიკას და ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს. ჟურნალისტების უსაფრთხოება ბოლო დროს მათ წინააღმდეგ განხორციელებული არაერთი თავდასხმისა და დაშინების აქტებისა და ზეწოლის გამო, მათ შორის კენჭისყრის დღეს, კვლავაც შეშფოთების უმთავრესი საგანია. მედია რეგულატორისა და სასამართლოების მიერ საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული ჩანართების ვიწრო ინტერპრეტაციამ გამოიწვია სანქციები ტელემაუწყებლებზე და შეზღუდა ოპოზიციური პარტიების შესაძლებლობა ეწარმოებინათ წინასაარჩევნო კამპანია მედიასივრცეში. დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მონიტორინგმა ნათლად წარმოაჩინა მედიამონიტორინგით დაფარული ყველა მედიასაშუალებების პოლიტიკური მიკერძოება და კომერციული სატელევიზიო არხების მიერ ახალი ამბების მიუკერძოებელი გაშუქების კანონიერი ვალდებულების უგულვებელყოფა. საზოგადოებრივი მაუწყებელი ყველა პარტიას ძირითადად პოზიტიურ ან ნეიტრალურ კონტექსტში აშუქებდა, თუმცა ახალი ამბების გაშუქებისას, მმართველ პარტიას მნიშვნელოვანი დროით უპირატესობა მიანიჭა. კომერციული მედიასაშუალებების პოლიტიკური პროპაგანდის იარაღად გამოყენებამ, შეასუსტა დამოუკიდებელი ჟურნალისტიკა და გაამძაფრა პოლიტიკური განხეთქილების რიტორიკა. ამასთან, პარტიული პროგრამების მიუკერძოებელი ანალიზის არარსებობამ და წამყვანი პოლიტიკური მოთამაშეების მხრიდან დებატებში მონაწილეობაზე უარმა ამომრჩევლებს ხელი შეუშალა ინფორმირებული არჩევანის გაკეთებაში.

მიუხედავად იმისა, რომ კანონი ითვალისწინებს საარჩევნო დავების გადაწყვეტის სამართლებრივ მექანიზმებს, მათი ეფექტურობა კვლავაც შეზღუდული იყო ამომრჩეველთათვის დაწესებული სამართლებრივი შეზღუდვების, პროცედურული ხარვეზების, კანონმდებლობის ორაზროვნებისა და მისი გამოყენების არათანმიმდევრულობის გამო. კენჭისყრის დღემდე საარჩევნო კომისიებში 200-ზე მეტი საჩივარი შევიდა, საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობისა და მათი წევრების დანიშვნის, ადმინისტრაციული რესურსების სავარაუდო ბოროტად გამოყენების და წინასაარჩევნო კამპანიის წესების დარღვევის შესახებ. გადაწყვეტილებათა უმრავლესობა საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებმა მიიღეს და არა კომისიათა სრულმა შემადგენლობებმა, რაც კოლეგიალურობის პრინციპს ასუსტებდა, გამჭვირვალობას ამცირებდა და ეწინააღმდეგება დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ წარსულში გაცემულ რეკომენდაციებს. ბევრი საჩივარი დაუსაბუთებლობის მოტივით უარყვეს, ხშირად მათი არსებითი განხილვისა და სათანადო გამოძიების გარეშე. ძალოვანი სტრუქტურების, საარჩევნო ადმინისტრაციისა და სასამართლო სისტემის მიმართ ნდობა, პოლიტიკურად მგრძობიარე საკითხების ეფექტიანად და მიუკერძოებლად გადაწყვეტასთან დაკავშირებით, დაბალ ნიშნულზე შენარჩუნდა და საარჩევნო პროცესის განმავლობაში არ შეცვლილა.

კანონი ადგილობრივ და საერთაშორისო დამკვირვებლებს არჩევნებზე დაკვირვების შესაძლებლობას აძლევს, რაც აქტიურ სადამკვირვებლო გარემოს უწყობს ხელს. თუმცა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღებამ, და მის მიერ გათვალისწინებული სანქციების საფრთხემ, მიუხედავად იმისა, რომ ეს მექანიზმი

არჩევნებამდე არ გამოყენებულა, მრავალი ორგანიზაციის საქმიანობა სტიგმატიზაციის ქვეშ მოაქცია; ამის ფონზე, ანგარიშებში მოხსენიებულია თავდასხმისა და დაშინების ინციდენტები, რამაც შეაფერხა მათი საქმიანობა და ზეწოლისგან თავისუფალ გარემოში მუშაობის შესაძლებლობა. გარდა ამისა, სახელმწიფო უწყებებისა და მმართველი პარტიის სტრუქტურების მხრიდან, ზოგიერთ ჯგუფზე მიზანმიმართული დისკრედიტაციის მცდელობები განხორციელდა, მათ „უცხოეთის“ ან „ოპოზიციის აგენტებად“ მოიხსენიებდნენ, რაც მათი სანდოობის შეზღუდვას ისახავდა მიზნად. კენჭისყრის დღეს, სამოქალაქო დამკვირვებელთა რამდენიმე ჯგუფი იუწყებოდა მათი წარმომადგენლების მიმართ დაშინების შემთხვევებზე, სამუშაო პროცესში ხელის შეშლის ფაქტებზე, ასევე საარჩევნო უბნებზე იმ პირების ყოფნაზე, რომლებიც ოფიციალურად დამკვირვებლად იყვნენ რეგისტრირებულნი, თუმცა მოქმედებდნენ კანდიდატების, ძირითადად მმართველი პარტიის, ინტერესების სასარგებლოდ.

კენჭისყრის დღე, ზოგადად, კარგად იყო ორგანიზებული და მოწესრიგებულად მიმდინარეობდა, მაგრამ ხასიათდებოდა დამაბული გარემოთი და ამომრჩეველთა და ასევე, ადგილობრივი დამკვირვებლების ფართომასშტაბიანი დაშინებით. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლები ხშირად მიუთითებდნენ ამომრჩევლებზე ზეწოლის შემთხვევებზე, ცნობებზე ამომრჩევლებისგან რომლებიც ზეწოლას განიცდიდნენ, მმართველი პარტიის სტრუქტურების და მათთან დაკავშირებული პირების მიერ ამომრჩევლების აღრიცხვის ფაქტებზე, ასევე ბევრ საარჩევნო უბანზე გადაჭარბებულ ხალხმრავლობას. ხმის მიცემის ფარულობა პოტენციურად დაირღვა დაკვირვებული უბნების 24 პროცენტში, რაც გამოწვეული იყო ბიულეტენების საარჩევნო ყუთში შეცურების წესით, საარჩევნო უბნის დარბაზის არასათანადო დაგეგმარებით და ბიულეტენების უკანა მხარეს გამოჟონილი ნიშნების გამო. დამატებით, მმართველი პარტიის წარმომადგენლები ხშირად ვიდეოჩანაწერით აღბეჭდავენ ხმის მიცემის პროცესს, რაც შესაძლოა ამომრჩევლების დაშინებას უწყობდა ხელს. ხმების დათვლის პროცესში გამოვლინდა პროცედურული ხარვეზები, მათ შორის, გამოუყენებელი ბიულეტენების არასათანადო დამუშავება, ხმების დათვლისას გაკეთებული არჩევანის ხმამაღლა გამოცხადების უგულვებელყოფა და ბიულეტენების ბათილობის განსაზღვრისას შეუსაბამობები. საოლქო საარჩევნო კომისიებში კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების დამუშავება არათანმიმდევრული იყო. მიუხედავად იმისა, რომ ცესკომ წინასწარი შედეგები ოპერატიულად გამოაქვეყნა ინტერნეტით, ძირითადი მონაცემები, როგორცაა ამომრჩეველთა აქტივობა თითოეულ უბანზე და ბათილი ბიულეტენების რაოდენობა, არ იყო ხელმისაწვდომი მარტივად აღსაქმელ ფორმატში.

წინასწარი შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, ოპოზიციამ უარყო არჩევნების შედეგები და მიზეზებად დაასახელა ისეთი დარღვევები, როგორცაა ამომრჩევლის დაშინება, ხმების ყიდვა და სავარაუდო საგარეო ჩარევა. მომდევნო დღეებში სამოქალაქო სადამკვირვებლო ორგანიზაციები და ოპოზიცია აცხადებდნენ, რომ ეს დარღვევები კოორდინირებულ მანიპულაციასზე მიუთითებდა, თუმცა მთავრობამ, მმართველმა პარტიამ და ცესკომ ეს ბრალდებები უარყვეს. პოლიტიკურ პარტიებსა და დამკვირვებელ ორგანიზაციებს 1,200-ზე მეტი საჩივარი დაარეგისტრირეს, მაგრამ უმეტესობა საოლქო საარჩევნო კომისიებმა არ დააკმაყოფილეს, ზედაპირული გამოძიების შემდეგ; სასამართლოებმა ამ გადაწყვეტილებების უმეტესობა ძალაში დატოვეს საქმეების მინიმალური

სამართლებრივი შეფასების შემდეგ. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, სასამართლოებსა და საკონსტიტუციო სასამართლოში კენჭისყრის შედეგებთან დაკავშირებული სარჩელები არ დაკმაყოფილდა. საერთო ჯამში, კენჭისყრის დღის შემდეგ საჩივრების და სარჩელების განხილვის პროცესმა საარჩევნო კომისიებისა და სასამართლოების მიერ, შეზღუდა სათანადო სამართლებრივი პროცესის უფლება, ვერ უზრუნველყო ეფექტიანი სამართლებრივი დაცვა და სრულყოფილად არ უპასუხა არჩევნების შედეგების სანდოობასთან დაკავშირებულ ფართოდ გავრცელებულ შეშფოთებას. პარლამენტის ყველა არჩეულმა ოპოზიციურმა წევრმა ან უარი თქვა საპარლამენტო მანდატზე ან ბოიკოტი გამოუცხადა პარლამენტის გახსნის სესიას. გარდა ამისა, შემაშფოთებელია, ნოემბრის ბოლოდან დაწყებული პროცესები; მთავრობის გადაწყვეტილებამ ევროკავშირთან მოლაპარაკებების გადავადების შესახებ გამოიწვია მასშტაბური დემონსტრაციები, რომლებიც გადაიზარდა ძალადობრივ შეტაკებებში სამართალდამცავებთან და მასობრივ დაპატიმრებებში, რამაც ეჭვქვეშ დააყენა დემონსტრანტების შეკრების თავისუფლების უფლება და გააღრმავა პოლიტიკური კრიზისი. 14 დეკემბერს, „ქართული ოცნების“ მიერ დომინირებულმა საარჩევნო კოლეჯმა მიხეილ ყაველაშვილი პრეზიდენტად აირჩია მიმდინარე პროტესტის ფონზე, ხოლო პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა, ოპოზიციამ და სამოქალაქო საზოგადოებამ პროცესის ლეგიტიმურობა უარყვეს.

ეს ანგარიში გთავაზობთ რიგ რეკომენდაციებს, რომლებიც მიზნად ისახავს საქართველოში საარჩევნო პროცესის გაუმჯობესებას და მის უფრო სრულ შესაბამისობაში მოყვანას ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებთან, აგრეთვე დემოკრატიული არჩევნებისთვის განსაზღვრულ სხვა საერთაშორისო ვალდებულებებსა და სტანდარტებთან. პრიორიტეტული რეკომენდაციები მოიცავს ამომრჩეველთა დაშინების, საჯარო სამსახურში დასაქმებულებზე ზეწოლის, ხმების მოსყიდვისა და საარჩევნო ძალადობის პრევენციას; ყოვლისმომცველ საკანონმდებლო მიმოხილვას საკანონმდებლო ბაზის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით; საარჩევნო კომისიის წევრების დანიშვნის პროცესის გადახედვას, ისე რომ თავიდან იქნას აცილებული რომელიმე პოლიტიკური პარტიის მიერ საარჩევნო პროცესის დომინირება და სრულად იყოს უზრუნველყოფილი პროცესის ეფექტიანობა; პოლიტიკური ფინანსური ზედამხედველობისთვის მკაფიო რეგულაციების შემუშავებას; მედიის მარეგულირებელი ორგანოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისთვის ღონისძიებების გატარებას; საარჩევნო დავების გადაწყვეტის ეფექტურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფას; ადგილობრივი დამკვირვებლებისთვის ზეწოლისა და დაშინების გარეშე მუშაობის საშუალების უზრუნველყოფას; და ხმის ფარულობის დაცვას პროცედურული მექანიზმების გაძლიერების მეშვეობით. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია მზად არის დაეხმაროს არჩევნების შემდგომი მყისიერი პრობლემების მოგვარებაში და ხელი შეუწყოს მომავალი საარჩევნო პროცესების გაუმჯობესებას ამ და წინა ანგარიშებში მოცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მათ შორის, საარჩევნო კანონმდებლობის ყოვლისმომცველი გადახედვის გზით.

II. შესავალი და სამადლობელი სიტყვა

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის

საქართველოში არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია (ODIHR EOM), საქართველოში 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე დაკვირვებას საქართველოს ხელისუფლების მოწვევისა და საკუთარი მანდატის შესაბამისად 11 სექტემბერს შეუდგა. მისიას ხელმძღვანელობდა მისიის ელჩი, ოუენ მერფი, მისიის ძირითადი გუნდი შედგებოდა, თბილისში მომუშავე 12 წევრისგან და 30 გრძელვადიანი დამკვირვებლისგან, რომლებიც 19 სექტემბრიდან მთელი ქვეყნის მასშტაბით 13 ლოკაციაზე გადანაწილდნენ. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლები საქართველოში 10 ნოემბრამდე დარჩნენ, რომ თვალყური ედევნებინათ კენჭისყრის დღის შემდგომ განვითარებულ მოვლენებისთვის.

არჩევნების დღეს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საქართველოში არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას შეუერთდნენ ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის (OSCE PA), ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE), ევროპარლამენტის (EP) და ნატოს საპარლამენტო ასამბლეის (NATO PA) დელეგაციები, რომელთა ერთობლივი ძალისხმევით საერთაშორისო სადამკვირვებლო მისია (IEOM) შექმნა. პასკალ ალიზარი ეუთოს მოქმედმა თავმჯდომარემ დანიშნა ეუთოს მოკლევადიანი დამკვირვებელთა მისიის სპეციალურ კოორდინატორად და ხელმძღვანელად. ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციას ხელმძღვანელობდა პია კაუმა, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციას – იულიან ბულაი, ევროპარლამენტის დელეგაციას – ანტონიო ლოპეს-ისტურიზ უაიტი, ხოლო ნატოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციას – ფაიკ ოზტრაკი. არჩევნების დღეს საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ კენჭისყრის დღეს პროცედურებზე დასწრების მიზნით 530 დამკვირვებელი ჩამოიყვანა, 42 ეუთოს წევრ ქვეყნიდან, მათ შორის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის 362 გრძელვადიანი და მოკლევადიანი დამკვირვებელი, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის 60-კაციანი დელეგაცია, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 39-კაციანი დელეგაცია, 12-კაციანი დელეგაცია ევროპარლამენტიდან და 38-კაციანი დელეგაცია ნატოს საპარლამენტო ასამბლეიდან; საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლების 47 პროცენტი ქალი იყო. კენჭისყრის გახსნა დაკვირვების ობიექტი გახდა 223 საარჩევნო უბანზე, ხოლო ხმის მიცემის პროცესი 1,924 საარჩევნო უბანზე მთელი ქვეყნის მასშტაბით. ხმების დათვლას 193 საარჩევნო უბანში აკვირდებოდნენ, ხოლო შედეგების შემაჯამებელი ოქმების მიღებას – 73 საოლქო საარჩევნო კომისიაში.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ არჩევნების პროცესის ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებთან და დემოკრატიულ არჩევნებთან დაკავშირებით არსებულ სხვა საერთაშორისო ვალდებულებებთან და სტანდარტებთან და ასევე ადგილობრივ კანონმდებლობასთან შესაბამისობა შეაფასა. ეს საბოლოო ანგარიში ებმის წინასწარი დასკვნებისა და დასკვნების განცხადებას, რომელიც პრესკონფერენციაზე 27 ოქტომბერს გამოქვეყნდა.²

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიას სურს მადლობა გადაუხადოს ხელისუფლებას არჩევნებზე დასაკვირვებლად მოწვევისთვის; გარდა ამისა, მისიას სურს მადლობა გადაუხადოს

² იხილეთ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის წინა საარჩევნო ანგარიშები [საქართველოს](#) შესახებ.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მათი გაწეული დახმარებისთვის. მისია ასევე მადლიერებას გამოხატავს სხვა სახელმწიფო ინსტიტუტების წარმომადგენლების, კანდიდატების, პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი გაერთიანებების, სამოქალაქო საზოგადოების, მედიის, საერთაშორისო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მიმართ თანამშრომლობისა და მათი მოსაზრებების გაზიარებისთვის.

III. წინასტორია და პოლიტიკური კონტექსტი

27 აგვისტოს, კონსტიტუციის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტმა 26 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნები დანიშნა. ეს იყო პირველი არჩევნები მას შემდეგ, რაც 2023 წლის დეკემბერში საქართველოს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიენიჭა; თუმცა, 2024 წლის ივნისში, ევროკავშირმა საქართველოსთვის გაწევრიანების პროცესი დე ფაქტო შეაჩერა, დემოკრატიული უკუსვლის შესახებ არსებული შეშფოთების მოტივით.³

პოლიტიკურ ლანდშაფტში დომინანტურ პოზიციას მმართველი პარტია „ქართული ოცნება“ (GD), რომელიც ხელისუფლებაში 2012 წლიდან იმყოფება, ინარჩუნებს მნიშვნელოვან გავლენას პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და ფლობს მასშტაბურ კონტროლს სახელმწიფო ინსტიტუტებზე. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში 9 პოლიტიკურმა პარტიამ და კოალიციამ მოიპოვა სადეპუტატო მანდატები, მათ შორის „ქართულმა ოცნებამ“ 150-დან 90 მანდატი მიიღო. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (UNM) ლიდერობით შექმნილი კოალიცია 36 მანდატით ყველაზე მსხვილი ოპოზიციური ფრაქცია გახდა.⁴ მომდევნო წლებში, ოპოზიციური ლანდშაფტი შიდაპარტიული არასტაბილურობების გამო უფრო დანაწევრებული გახდა. ამ არჩევნებისთვის ოპოზიციური პარტიების უმრავლესობა სამ კოალიციაში გაერთიანდა: „კოალიცია ცვლილებისთვის“ („ახალი“, „გირჩი – მეტი თავისუფლება“, „დროა!“, „რესპუბლიკური პარტია“), „ძლიერი საქართველო“ („ძლიერი საქართველო – ლელო“, „ხალხისთვის“, „თავისუფლების მოედანი“, „მოქალაქეები“) და „ერთობა – საქართველოს გადასარჩენად“ („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ [UNM], „ევროპული საქართველო“ [EG], „სტრატეგია აღმაშენებელი“ [SA]).⁵

³ ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ განაცხადი საქართველომ 2022 წლის მარტში გააკეთა, ხოლო 2023 წლის დეკემბერში მიიღო კანდიდატის სტატუსი იმ პირობით, რომ შეასრულებდა ევროკომისიის მიერ გაცემულ [რეკომენდაციებს](#). 2024 წლის ივნისში ევროპის საბჭოს [დასკვნებში](#) აღნიშნული იყო, რომ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღება ამ რეკომენდაციების შესრულების თვალსაზრისით უკუსვლას წარმოადგენს, რაც პროცესის დე ფაქტო შეჩერებას იწვევს. 2024 წლის ოქტომბერში, ევროკომისიამ [გაფართოების ანგარიშში](#) განაცხადა, რომ ის „ვერ განიხილავს რეკომენდაციის გაწევას“ საქართველოსთან ევროკავშირში გაწევრიანების მოლაპარაკებების გახსნის თაობაზე.

⁴ დანარჩენი პარტიების მანდატები ასე იყო განაწილებული: „ევროპულმა საქართველომ“ (EG) 5 ადგილი მოიპოვა; „ძლიერი საქართველო – ლელო“ – 4; „სტრატეგია აღმაშენებელი“ (SA) – 4; „პატრიოტთა ალიანსმა“ (AoP) – 4; „გირჩმა“ – 4; „მოქალაქეებმა“ – 2; ხოლო „ლეიბორისტულმა პარტიამ“ (LP) – 1.

⁵ კანონი წინასაარჩევნო ბლოკების ჩამოყალიბებას არ ითვალისწინებს; ბლოკებმა თავიანთი კანდიდატები წამყვანი პარტიების საარჩევნო სიებში დაარეგისტრირეს.

არჩევნები დამკვიდრებული პოლიტიკური პოლარიზაციის ფონზე ჩატარდა, რასაც თან ახლდა ღრმა დაპირისპირება: ერთი მხარეს მმართველი პარტია და მთავრობა, ხოლო მეორე მხარეს – ოპოზიციური პარტიების უმრავლესობა და პრეზიდენტი იდგა.⁶ ეს განხეთქილება კიდევ უფრო გაამწვავა საზოგადოების ფართო უკმაყოფილებამ, რომელიც სხვადასხვა საკანონმდებლო ცვლილებას უკავშირდებოდა. 2023 და 2024 წლებში ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციები გაიმართა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის წინააღმდეგ, რომელიც თავდაპირველად 2023 წელს გაიწვიეს, თუმცა საბოლოოდ 2024 წლის მაისში მიიღეს.⁷ ჩართულმა მხარეებმა აცნობეს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას, ძალადობისა და დაშინების ფაქტების შესახებ, მომიტინგეების, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისა და ჟურნალისტების მიმართ პროტესტების მიმდინარეობისას და მათი დასრულებისთანავე.⁸ 17 სექტემბერს, პარლამენტმა მიიღო კანონი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ,“ რომელმაც ლგბტი თემის მიმართ დისკრიმინაციულ ზომები დააწესა. ამ კანონების მიღებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა როგორც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და დამოუკიდებელი მედიის საზოგადოებრივ აღქმაზე, ასევე ლგბტი თემზე, ხოლო ამასთან

⁶ 2017 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებით დასრულდა 2010 წელს დაწყებული გადასვლა საპრეზიდენტო სისტემიდან საპარლამენტოზე, რის შედეგადაც პრეზიდენტი, რომლის უფლებამოსილებაც ამჟამად იწურება, სალომე ზურაბიშვილი, გახდა უკანასკნელი პირდაპირი წესით არჩეული პრეზიდენტი. მიუხედავად იმისა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მას „ქართული ოცნება“ უჭერდა მხარს, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ზურაბიშვილი პარტიისგან უფრო და უფრო დისტანცირდა. 2023 წლის ოქტომბერში, მმართველმა პარტიამ მისი იმპიჩმენტი სცადა მთავრობის თანხმობის გარეშე განხორციელებული საგარეო ვიზიტების გამო, თუმცა პროცესის გასაგრძელებლად საჭირო 100 საპარლამენტო ხმა ვერ მოაგროვა და შესაბამისად იმპიჩმენტი ვერ შედგა.

⁷ კანონის თანახმად, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და მედიასაშუალებებს, რომელთა არაკომერციული შემოსავლის 20 პროცენტზე მეტი უცხოური წყაროებიდან მოდის, დაეკისრათ რეგისტრაციის, ანგარიშგებისა და საჯარო გამჭვირვალობის ახალი მოთხოვნები, რის შედეგადაც ისინი „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციებად“ კლასიფიცირდნენ. კანონის მიღების შემდეგ, სხვადასხვა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციამ და მედიამ [განაცხადეს](#), რომ რეგისტრაციაზე უარს აცხადებენ, რადგან მიიჩნევენ, რომ ეს კანონი არაკონსტიტუციურია და მათ სტიგმატიზაციას იწვევს. 100-ზე მეტმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციამ განაცხადა, რომ ყველა ფორმატში წყვეტს თანამშრომლობას მთავრობასთან. 2 სექტემბრამდე დადგენილ კანონიერ ვადაში „უცხო ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის“ სტატუსის მისაღებად 476 ორგანიზაციამ შეიტანა განაცხადი, რომელთაგან, დეკემბრის დასაწყისისთვის, 382 ორგანიზაცია იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ნუსხაში ამ სტატუსით ოფიციალურად იყო დარეგისტრირებული.

⁸ იხილეთ კანონის კრიტიკული შეფასებები ODIHR-ის [მოსაზრებაში](#), ევროპის საბჭოს დემოკრატიისთვის სამართლის კომისიის (ვენეციის კომისიის) [მოსაზრებაში](#), ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის [განცხადებაში](#), ევროკომისიის უმაღლესი წარმომადგენლის [განცხადებაში](#), ნატოს საპარლამენტო ასამბლეის [დეკლარაცია](#)სა და ODIHR-ის დირექტორის [განცხადებაში](#). ივლისში, პრეზიდენტმა, 38 დეკუმბრამ და 120-ზე მეტმა სამოქალაქო საზოგადოების და მედია ორგანიზაციამ საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით მიმართეს და მოითხოვეს კანონის მოქმედების დროებითი შეჩერება. 9 ოქტომბერს, სასამართლომ სარჩელი წარმოებაში მიიღო, თუმცა უარი თქვა კანონის ნორმების დროებით შეჩერებაზე. 17 ოქტომბერს, 16-მა მედია ორგანიზაციამ, 120-მა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციამ და ოთხმა ფიზიკურმა პირმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ერთობლივი სარჩელით მიმართეს, სადაც განაცხადეს, რომ კანონი ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპის კონვენციით გარანტირებულ უფლებებსა და თავისუფლებებს.

ერთად, ეს კანონი ზღუდავს გაერთიანების, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებებს, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებსა და ეუთოს წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს.⁹

კანონმდებლობა, რომელიც კონსტიტუციით გარანტირებულ შეკრებისა და გამოხატვის ფუნდამენტურ თავისუფლებებს ზღუდავს, უნდა გაუქმდეს. ასეთი ფუნდამენტური თავისუფლებების ნებისმიერი შეზღუდვა აუცილებელია იყოს გამონაკლისი შემთხვევა, მკაცრად პროპორციული ლეგიტიმურ მიზანთან მიმართებაში და დაწესებული მხოლოდ იმ მოცულობით, რაც დემოკრატიული საზოგადოების საჭიროებებიდან გამომდინარეობს.

ქალთა წარმომადგენლობა არჩეულ თანამდებობებზე კვლავ დაბალია, ხოლო ბოლოდროინდელი რეფორმები უკან გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს და პოლიტიკაში გენდერულ წარმომადგენლობაზე უარყოფითად აისახება. მიუხედავად კონსტიტუციური დებულებებისა, რომლებიც სახელმწიფოს ავალდებულებს გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განსაკუთრებული ზომების მიღებას, 2024 წლის მაისში პარლამენტმა გააუქმა სავალდებულო გენდერული კვოტები და სხვა დროებითი ზომები, რომლებიც ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ხელშეწყობას ისახავდა მიზნად. ამის შედეგად, ამ არჩევნებში ქალ კანდიდატთა რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა.¹⁰

წინა საპარლამენტო შემადგენლობაში ქალებს ეკავათ მანდატების 19 პროცენტი, მერების 64 თანამდებობიდან - 3, ხოლო მინისტრთა 12 თანამდებობიდან - მხოლოდ 2.¹¹ მაშინ, როცა ბევრი პოლიტიკური პარტია პირობას დებდა, რომ შიდა გენდერულ კვოტირებას მიმართავდა, 1184 საპარლამენტო კანდიდატიდან მხოლოდ 341 კანდიდატი იყო ქალი (29 პროცენტი). ეს ციფრი მნიშვნელოვნად დაბალია 2020 წლის მაჩვენებელთან შედარებით, როცა გენდერული კვოტირების მოთხოვნის შედეგად, პარტიების კანდიდატთა სიების 44 პროცენტს ქალები წარმოადგენდნენ. ქალები წამყვან ადგილებს იკავებდნენ 18 სიიდან 3

⁹ ეს კანონი კრძალავს გენდერული იდენტობის შეცვლას, არაჰეტეროსექსუალური პირებისთვის შვილების აყვანას და სკოლებში ისეთი შეკრებების ან ინფორმაციის გავრცელებას, რომლებიც „მიზნად ისახავს“ არაჰეტეროსექსუალური ურთიერთობების პოპულარიზაციას. [ვენეციის კომისიამ, ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურმა და გაეროს ადამიანის უფლებათა ოფისის წარმომადგენელმა](#) ეს კანონი გააკრიტიკეს.

¹⁰ „გირჩის“ წარმომადგენელმა დეპუტატებმა, რომლებმაც ეს ცვლილებები დააინიცირეს, მმართველი პარტიის მხარდაჭერა მოიპოვეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის პოზიციაზე „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილი კანდიდატისთვის მიცემული ხმების სანაცვლოდ. მმართველი პარტიის წარმომადგენლების განცხადებით, გენდერული კვოტირება პოზიტიური დისკრიმინაციის ერთგვარი ფორმაა, რომელმაც უკვე შეასრულა თავისი ძირითადი ამოცანა. იხილეთ ODIHR-ის [მოსაზრება](#), რომელიც აღნიშნავს: „ალტერნატიული დროებითი სპეციალური ზომების ან სხვა აღიარებული მექანიზმების გარეშე, რომლებიც უზრუნველყოფდა ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის სწრაფ ზრდას საქართველოში, ეს ცვლილებები წარმოადგენს უკან გადადგმულ ნაბიჯს გენდერული თანასწორობის მიღწევისთვის, რაც არ შეესაბამება საერთაშორისო ადამიანის უფლებათა სტანდარტებსა და ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებს, რომლებიც მოითხოვს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრას პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ასევე, იხილეთ ვენეციის კომისიის საკონსულტაციო [მოსაზრება](#), რომელიც ეწინააღმდეგება გენდერული კვოტების გაუქმებას.

¹¹ ქალთა პროცენტული წილი პარლამენტში კვლავ დაბალია ეუთოს წევრი ქვეყნების [საშუალო მაჩვენებელთან](#) შედარებით (32 პროცენტი 2024 წლის ოქტომბრის მდგომარეობით) და ასევე გლობალურ [საშუალო მაჩვენებელთან](#) შედარებით, რომელიც 27 პროცენტია.

სიაში და კანდიდატთა პირველი ათეულების მხოლოდ 22 პროცენტს შეადგენდნენ.¹² ეს სისტემური არასაკმარისი წარმომადგენლობა, გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად მიღებულ დადებით საკანონმდებლო ზომების გაუქმებასთან ერთად, ასევე ქალ პოლიტიკოსთა წინაშე არსებული მუდმივი ბარიერები, მათ შორის გენდერულად სპეციფიკური მუქარები, კვლავ ხელს უშლის ქალთა სრულფასოვან მონაწილეობას პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.¹³ 150 არჩეულ კანდიდატს შორის მხოლოდ 34 ქალია (23 პროცენტი), რაც პარლამენტის წინა შემადგენლობასთან შედარებით მცირედი გაუმჯობესებაა, წინა პარლამენტში, ვადის დასაწყისში, ეს მაჩვენებელი 21 პროცენტს შეადგენდა და ვადის განმავლობაში 19 პროცენტამდე შემცირდა.

სასურველია, ხელისუფლებამ საერთაშორისო სტანდარტებისა და ეუთოს წინაშე აღებული ვალდებულებების შესაბამისად, გაატაროს ეფექტიანი დროებითი სპეციალური ზომები, რათა საჯარო და პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მიმართ დისკრიმინაცია აღმოიფხვრას. მათი დადასტურებული ეფექტიანობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სავალდებულო გენდერული კვოტების აღდგენას, ასევე იმ მექანიზმის აღდგენას, რომლის მიხედვითაც, თუ პარლამენტის წევრი ქალი უარს იტყვის მანდატზე, მისი ადგილი პარტიის სიაში შემდეგ ქალ კანდიდატს უნდა გადაეცეს.

IV. სამართლებრივი ჩარჩო და საარჩევნო სისტემა

საქართველო დემოკრატიული არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებული საერთაშორისო და რეგიონული შეთანხმებების წევრია.¹⁴ საპარლამენტო არჩევნები რეგულირდება 1995 წლის კონსტიტუციით, 2011 წლის საარჩევნო კოდექსით, 1997 წლის „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ (LPU) კანონით და ცენტრალური საარჩევნო

¹² საქართველოს ერთობისა და განვითარების პარტია" და „შეცვალე საქართველო" ქალთა წარმომადგენლობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩეოდნენ – 52 და 51 პროცენტი, შესაბამისად. „საქართველოსთვის" სიაში ქალები 45 პროცენტს შეადგენდნენ. „ძლიერი საქართველოს" კოალიციაში ქალთა წარმომადგენლობა 30 პროცენტი იყო, ხოლო „კოალიცია ცვლილებისთვის" სიაში – 26 პროცენტი. „ერთიანობა საქართველოს გადასარჩენად" კოალიციაში ეს მაჩვენებელი 23 პროცენტს შეადგენდა. „ქართული ოცნების" სიაში ქალები 16 პროცენტს შეადგენდნენ, აქედან მხოლოდ ორი იყო პირველ ათეულში, ხოლო 21-დან 51-ე პოზიციამდე სიაში არც ერთი ქალი კანდიდატი არ იყო.

¹³ 2022 წელს გამოქვეყნებულ [გაეროს ანგარიშში საქართველოში პოლიტიკაში ჩართულ ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ](#) ნათქვამია, რომ „[ქალ] რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (54 პროცენტი) აცხადებდა, რომ მათ განუცდიათ რაიმე ფორმის შევიწროება ან ძალადობა თანამდებობაზე ყოფნისას ან წინასაარჩევნო კამპანიის დროს. [...] პოლიტიკაში ჩართულ ქალთა მიმართ ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმებია ფსიქოლოგიური ძალადობა და სოციალური მედიის მეშვეობით განხორციელებული ძალადობა."

¹⁴ საქართველო არის 1965 წლის [საერთაშორისო კონვენციის რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ](#), 1966 წლის [სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის](#), 1979 წლის [ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის](#) და 2006 წლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ [კონვენციის](#) მონაწილე სახელმწიფო.

კომისიის (ცესკო) რეგულაციებით.¹⁵ ბოლო საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საარჩევნო კოდექსში 20-ზე მეტი ცვლილება შევიდა, რომელთაგან ბოლო 2024 წლის ივნისში განხორციელდა. მიუხედავად ხშირი ცვლილებებისა, აღნიშნულმა შესწორებებმა ვერ უზრუნველყო დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ხანგრძლივი რეკომენდაციების გათვალისწინება ყოვლისმომცველი სამართლებრივი რეფორმის გატარების შესახებ.

2022 წლის საკანონმდებლო ცვლილებებმა, რომლებიც კონსულტაციებისა და პარტიათაშორისი მხარდაჭერით მიიღეს, ელექტრონული ტექნოლოგიების ფართო გამოყენება დაწერა და ითვალისწინებდა დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისისა და ვენეციის კომისიის მიერ წარსულში გაცემულ რამდენიმე რეკომენდაციას, საარჩევნო ორგანოების დაბალი რანგის წევრთა და ადგილობრივ დამკვირვებელთა მიუკერძოებლობის გაძლიერების, დამატებითი საფუძვლების დაწესების საარჩევნო უბნის შედეგების ავტომატური გადათვლის ინიცირებისთვის, საარჩევნო დავების გადაწყვეტის პროცესში ვადების გახანგრძლივების და წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების ანგარიშგებასა და ანგარიშვალდებულებაზე დამატებითი რეგულაციების დაწესების დამატების შესახებ. 2023 წელს მიღებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა, რომლითაც კანდიდატთა სიებში გენდერული კვოტების გამოყენების ვადა 2032 წლამდე გაგრძელდა, პარტიათაშორისი მხარდაჭერა მოიპოვა. ამის საპირისპიროდ, საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლებმაც აკრძალეს იურიდიული პირების მიერ პოლიტიკური პარტიებისთვის შემოწირულობები, შეამცირეს წლიური ხარჯების ზღვარი და გააუქმეს უფრო ფართო კონსენსუსის აუცილებლობა არაპარტიული ცესკოს წევრებისა და თავმჯდომარის წარდგენასა და დანიშვნაში, მხარი დაუჭირეს მხოლოდ მმართველმა პარტიამ და მისმა მოკავშირეებმა.¹⁶

2024 წელს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები ამოქმედდა ინკლუზიური საკონსულტაციო პროცესის ან ფართო პოლიტიკური მხარდაჭერის გარეშე. ცვლილებებმა გააუქმა გენდერული კვოტები პარლამენტის კანდიდატთა სიებში, შეცვალა საარჩევნო ადმინისტრაციის შიგნით გადაწყვეტილების მიღების პროცესი და ცესკოს მისცა საშუალება, განმეორებით კენჭისყრაში გვერდი აევილო უმრავლესობის ორი მესამედის მოთხოვნისათვის. ასევე, გაუქმდა ოპოზიციის მიერ წარდგენილი ცესკოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა, გადაიხედა ცესკოს წევრების დანიშვნის პროცედურა და კიდევ უფრო გაფართოვდა ანტიკორუფციული ბიუროს (ACB) უფლებამოსილება.¹⁷ გარდა ამისა,

¹⁵ სხვა შესაბამისი კანონებია: 1984 წლის „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, 1999 წლის „სისხლის სამართლის კოდექსი“, 1999 წლის „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“, 1999 წლის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ და 2004 წლის „კანონი მაუწყებლობის შესახებ“.

¹⁶ 2021 წლის აპრილში, ევროკავშირის მედიაციით მიღწეული [შეთანხმების](#) შემდეგ „ქართულ ოცნებასა“ და რამდენიმე ოპოზიციურ პარტიას შორის, 2021 წლის საკანონმდებლო ცვლილებებმა დააწესა კონსენსუსის მიღწევის პროცედურა ცესკოს არაპარტიული წევრებისა და თავმჯდომარის არჩევისთვის, პრეზიდენტის მიერ წარდგენილი ნომინაციების საფუძველზე. 2023 წლის ცვლილებებს პრეზიდენტმა ვეტო დაადო, თუმცა პარლამენტმა ვეტო დაძლია. იხილეთ 2023 წლის ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისისა და ვენეციის კომისიის [ერთობლივი მოსაზრება](#).

¹⁷ 1990 წლის ეუთოს [კოპენჰაგენის დოკუმენტის](#) 5.8 პარაგრაფის მიხედვით, კანონმდებლობა უნდა მიიღებოდეს საჯარო პროცესის დასრულების შემდეგ. პრეზიდენტმა ვეტო დაადო 2024 წლის

ამ საკანონმდებლო ცვლილებებმა უგულვებელყო ძირითადი დაინტერესებული მხარეების, ასევე დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისისა და ვენეციის კომისიის მიერ გამოთქმული შეშფოთება და გააუქმა დებულებები, რომლებიც ამ ორგანიზაციების რეკომენდაციების შესაბამისად იყო თავდაპირველად მიღებული, მათ შორის გენდერული კვოტების დანერგვა, ცესკოს წევრების კონსენსუსის საფუძველზე დანიშვნა და ცესკოში გადაწყვეტილების მიღების პროცესის დაცვის მექანიზმების უზრუნველყოფა.¹⁸

მთლიანობაში, სამართლებრივი ჩარჩო ქმნის სათანადო საფუძველს დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისთვის. თუმცა, სამართლებრივი ჩარჩოს ხშირმა გადახედვამ, მათ შორის იმ საკანონმდებლო ცვლილებებმა, რომლებიც არჩევნებამდე მოკლე ვადაში და ფართო პარტიათაშორისი მხარდაჭერის გარეშე მიიღეს, დააზიანა მისი სტაბილურობა და შექმნა შეშფოთების საფუძველი სავარაუდო პოლიტიკურ მანიპულაციასთან დაკავშირებით, რაც ეწინააღმდეგება ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებსა და საერთაშორისო კარგი პრაქტიკის პრინციპებს.¹⁹ ასევე, კანონი ზედმეტად კომპლექსურია, ზოგიერთ ასპექტში აკლია სიცხადე და კვლავაც შეიცავს ხარვეზებსა და შეუსაბამობებს, რაც ზოგჯერ დაინტერესებული მხარეების მხრიდან მის განსხვავებულ იმპლემენტაციას იწვევს.²⁰ გარდა ამისა, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების

საკანონმდებლო ცვლილებებს, გარდა იმ მუხლებისა, რომლებიც ანტიკორუფციულ ბიუროს (ACB) უფლებამოსილებებს ეხებოდა, თუმცა პარლამენტმა ვეტო დაძლია. მხოლოდ ერთ ცვლილებათა პაკეტს, რომელიც გენდერული კვოტების გაუქმებას მოიცავდა, მხარი ერთმა ოპოზიციურმა პარტიამ დაუჭირა, ხოლო ყველა სხვა ოპოზიციურმა პარტიამ კენჭისყრას ბოიკოტი გამოუცხადა.

¹⁸ იხილეთ 2023 წლის ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისისა და ვენეციის კომისიის [ერთობლივი მოსაზრება](#) და 2024 წლის [შემდგომი მოსაზრება](#), სადაც აღნიშნულია, რომ „ცვლილებები აშკარად არასაკმარისია, რათა უზრუნველყოს კონსენსუსზე დაფუძნებული პოლიტიკური პროცესი, რომელიც გადაწყვეტი მნიშვნელობისაა ცესკოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობისთვის, ასევე საზოგადოებრივი ნდობისთვის ამ ინსტიტუტის მიმართ“.

¹⁹ ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის 2002 წლის „[საარჩევნო საკითხებში კარგი პრაქტიკის კოდექსის](#)“ (კარგი პრაქტიკის კოდექსი) II.2.b ნაწილში ნათქვამია, რომ „საარჩევნო კანონმდებლობის ფუნდამენტური ელემენტები, განსაკუთრებით საარჩევნო სისტემა, საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესი [...] არ უნდა დაექვემდებაროს ცვლილებებს არჩევნებამდე ერთი წლით ადრე“. ამავე კოდექსის განმარტებითი მოხსენების 64-ე პუნქტში ხაზგასმულია, რომ „უნდა გამოვიჩინოთ სიფრთხილე, რათა თავიდან იქნას აცილებული [...] მანიპულაციის თუნდაც მხოლოდ გარეგნული შთაბეჭდილება“. ვენეციის კომისიის 2024 წლის [გადახედული განმარტებითი დეკლარაციის](#) მიხედვით, არჩევნებამდე ერთი წლის განმავლობაში საკანონმდებლო ცვლილებები დასაშვებია, თუ ისინი შეესაბამება საერთაშორისო საარჩევნო სტანდარტებს და ეფუძნება მთავრობასა და ოპოზიციას შორის კონსენსუსს და ფართო საზოგადოებრივ კონსულტაციებს“.

²⁰ საარჩევნო კოდექსი და სხვა შესაბამისი კანონმდებლობა შეიცავს მითითებებს დებულებებზე, რომლებიც ან გაუქმებულია, ან აღარ გამოიყენება. მაგალითად, საარჩევნო კოდექსის 51-ე და 186-ე მუხლები მიუთითებს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონის გაუქმებულ მუხლზე, რომელიც განსაზღვრავდა, თუ რომელი საარჩევნო სუბიექტები იყვნენ უფასო საეთერო დროის მიღების უფლების მქონე. საარჩევნო კოდექსი ასევე მოიცავს მრავალ დროებით ნორმას, რომლებიც კონკრეტული არჩევნებისთვის იქნა მიღებული და ამჟამად უმეტესწილად აღარ გამოიყენება. საარჩევნო კოდექსის 125-ე მუხლის (17) პუნქტით განმეორებითი არჩევნებისთვის დადგენილი ორკვირიანი ვადა არ იძლევა საკმარის დროს არჩევნების ორგანიზებისთვის იმ შემთხვევაში, თუ საჩივრების საფუძველზე შედეგები გაუქმდება. 45-ე მუხლის (3.1) პუნქტი კრძალავს ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლების წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობას, თუმცა ეს შეზღუდვა არ ვრცელდება სპეციალური საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებზე. ზოგიერთი

ოფისისა და ვენეციის კომისიის რამდენიმე ხანგრძლივი რეკომენდაცია კვლავაც შეუსრულებელი რჩება. ეს რეკომენდაციები უკავშირდება საარჩევნო კომისიების წევრთა წარდგენასა და დანიშვნის პროცესს, ამომრჩეველთა და კანდიდატთა რეგისტრაციის პირობებს, ადმინისტრაციული რესურსების არამიზნობრივი გამოყენებისა და ამომრჩევლებზე ზეწოლის პრევენციის ყოვლისმომცველი რეგულაციების შემუშავებას, წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებისა და მედიის საშუალებით აგიტაციის რეგულაციების გაძლიერებას და საარჩევნო დავების გადაწყვეტის ჩარჩოს განმტკიცებას.

აუცილებელია, ყოვლისმომცველი საკანონმდებლო რეფორმის გატარება, რათა შესრულდეს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ყველა შეუსრულებელი რეკომენდაცია და სამართლებრივი ჩარჩო მეტად შესაბამისობაში მოვიდეს ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებთან, საერთაშორისო სტანდარტებთან და კარგი პრაქტიკის პრინციპებთან. საჭიროა ეს განხორციელდეს, შემდეგი საარჩევნო ციკლის დაწყებამდე საკმარისი დროით ადრე, ინკლუზიური და გამჭვირვალე საკონსულტაციო პროცესის საფუძველზე.

2017 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების შესაბამისად, ეს იყო პირველი საპარლამენტო არჩევნები, რომლებიც სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარდა. 150-წევრიანი, ერთპალატიანი პარლამენტი აირჩევა პირდაპირი წესით, ოთხწლიანი ვადით, ერთიან მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში დახურული პარტიული სიებით. საპარლამენტო მანდატების განაწილებისთვის პარტიებმა უნდა გადალახონ ხუთპროცენტის საარჩევნო ბარიერი. 2024 წელს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით, პარტიულ სიებში კანდიდატების მინიმალური რაოდენობა 60-დან 30-მდე შემცირდა და პარტიებს მიეცათ უფლება, სიაში განსაზღვრული კანდიდატები დაესახელებინათ წარმომადგენლებად ამომრჩევლებისთვის 30 განსაზღვრულ ოლქიდან ერთ-ერთში.²¹

V. საარჩევნო ადმინისტრაცია

არჩევნებს ადმინისტრირებას უწევდა ცენტრალური საარჩევნო კომისია, 73 საოლქო და

ცნება ბუნდოვანია, მათ შორის: „სხვა საარჩევნო სუბიექტის სააგიტაციო მიზნებს ემსახურება“, „სხვა საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერისგან თავის შეკავების მიზნით გაკეთებული შემოწირულებები“ და „გაცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე პირები“. უფასო საეთერო დროის მიღების წესები არასაკმარისად არის განსაზღვრული იმ სიტუაციებისთვის, როდესაც საარჩევნო ბლოკების ჩამოყალიბება აკრძალულია. ამ გაურკვეველობამ აღმასრულებელ ორგანოებსა და სასამართლოებში დისკრეციული ინტერპრეტაციის ფართო შესაძლებლობები წარმოშვა, რამაც არაერთხელ გამოიწვია დავები და სანქციები (იხილეთ ქვეთავები: „მედია“, „წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება“ და „საარჩევნო დავების გადაწყვეტა“).

²¹ საარჩევნო პროცესში მონაწილე პარტიებს შეუძლიათ განსაზღვრული საარჩევნო ოლქებიდან კანდიდატი „დელეგატის“ სტატუსით წარადგინონ. არჩევნის შემთხვევაში, ასეთი პარლამენტის წევრი წარმომადგენლობას გაუწევს კონკრეტული ოლქის მოსახლეობას იმ პირობით, თუ მისი წარდგენილი პარტია, შესაბამის ოლქში ყველაზე მეტ ხმას მიიღებს. 2024 წლის არჩევნებზე ამ შესაძლებლობით მხოლოდ „ქართულმა ოცნებამ“ ისარგებლა.

3,111 საუბნო საარჩევნო კომისია.²² ყველა კომისია შედგება რვა არაპარტიული წევრისა და ცხრამდე წევრისგან, რომლებიც პარლამენტში წარმოდგენილი პარტიების მიერ არიან დანიშნული. ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო) და საოლქო საარჩევნო კომისიები მუდმივ ორგანოებს წარმოადგენს, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიები დროებითი ორგანოებია, რომლებიც ყოველი არჩევნების წინ იქმნება. კანონის მიხედვით, არაპარტიულმა წევრებმა უნდა დააკმაყოფილონ მოთხოვნები, რომლებიც მათ მიუკერძოებლობას უზრუნველყოფს და საჭიროა ჰქონდეთ სერტიფიცირება შესაბამისი თანამდებობისთვის. 2024 წლის არჩევნებისთვის, პირველად, ეს მოთხოვნა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებზეც გავრცელდა.²³ ქალები უმრავლესობას შეადგენდნენ ქვედა დონის კომისიების უმეტესობაში; თუმცა, ცესკოს 17 წევრიდან მხოლოდ 4 იყო ქალი.²⁴

საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების უმრავლესობა, განცხადებების განხილვისთვის გამოყოფილი შეზღუდული დროის მიუხედავად კანონით დადგენილ ვადაში შეიქმნა, თუმცა, შესარჩევი კანდიდატების არჩევანი შეზღუდული იყო და საუბნო საარჩევნო კომისიების დონეზე განაცხადების რაოდენობა მხოლოდ ერთი პროცენტით აღემატებოდა საჭირო მინიმუმს, რაც უმეტეს ვაკანტურ პოზიციებზე კონკურენციას მინიმუმამდე ამცირებდა.²⁵ რამდენიმე პოლიტიკურმა პარტიამ აღნიშნა, რომ გაუჭირდათ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრობის კანდიდატების მოძიება; ხოლო ბევრ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიაში დაფიქსირდა წევრთა მნიშვნელოვანი გადინება, ხშირად მას შემდეგ, რაც მათ საარჩევნო ტრენინგი უკვე გავლილი ჰქონდათ. საოლქო საარჩევნო კომისიებმა ამის მიზეზად დაასახელეს დაბალი ანაზღაურება, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების როლებისა და პასუხისმგებლობების არასაკმარისი გაცნობიერება, ასევე ზოგიერთ შემთხვევაში აღნიშნავდნენ რომ კანდიდატებს არ სურდათ პოლიტიკური პარტიების

²² 67 საარჩევნო უბნისა და 42 ქვეყნის ჩათვლით, სადაც ხმის მიცემა ორგანიზებული იყო ქვეყნის საზღვრებს მიღმა. დამატებითი საუბნო საარჩევნო კომისიები შეიქმნა სასჯელაღსრულების დაწესებულებებსა და სტაციონარებში გახსნილ 13 საარჩევნო უბანში. არჩევნები არ ჩატარდა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ტერიტორიებზე, რომლებიც ამჟამად საქართველოს მთავრობის კონტროლს მიღმაა. იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) 2024 წლის [გადაწყვეტილება](#) საქმეზე „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ“

²³ არაპარტიული წევრები ვერ იქნებიან საარჩევნო სუბიექტები, მათი წარმომადგენლები, დამკვირვებლები, მედიის წარმომადგენლები, ასევე პირები, რომლებიც ბოლო ორ საყოველთაო არჩევნებში პარტიის მიერ კომისიის წევრებად ან წარმომადგენლებად იყვნენ დანიშნული, მონაწილეობდნენ არჩევნებში როგორც საარჩევნო სუბიექტები, ან ბოლო საყოველთაო არჩევნების შემდეგ რომელიმე პოლიტიკური პარტიის შემომწირველები იყვნენ.

²⁴ საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა 67 პროცენტი და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა 73 პროცენტი ქალი იყო; საოლქო საარჩევნო კომისიების წამყვანი პოზიციების 55 და საუბნო საარჩევნო კომისიების წამყვანი პოზიციები 78 პროცენტი ქალებს ეკავათ.

²⁵ საარჩევნო პერიოდისთვის, თითოეულ საოლქო საარჩევნო კომისიას ხუთ მუდმივ წევრთან ერთად სამი დროებითი არაპარტიული და ცხრა პარტიის მიერ დანიშნული წევრი დაემატა. ცესკომ დროებითი არაპარტიული საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების 219 ვაკანტური ადგილის შესავსებად 263 განაცხადი მიიღო. საოლქო საარჩევნო კომისიების 56 პროცენტში, მიღებული განაცხადების რაოდენობა ზუსტად ემთხვეოდა ვაკანტური ადგილების რაოდენობას. მოთხი დღის განმავლობაში, საოლქო საარჩევნო კომისიებმა 24,425 აპლიკანტიდან 24,047 არაპარტიული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი შეარჩიეს. საუბნო საარჩევნო კომისიების 9,090 ხელმძღვანელი პოზიციებისთვის საოლქო საარჩევნო კომისიებმა 9,111 განაცხადი მიიღეს. არაერთ ვაკანსიაზე გამოცხადებული კონკურსი ხელახლა ჩატარდა კანდიდატთა არასაკმარისი რაოდენობისა და დაკავებულ თანამდებობებზე უარის თქმის გამო.

წარმომადგენლობა.²⁶ საუბნო საარჩევნო კომისიების არაპარტიული წევრების გაწვევისა და ჩანაცვლებისთვის დროის განსაზღვრული ჩარჩო არ არსებობს, რამაც გამოიწვია ის, რომ ჩანაცვლებული წევრების ნაწილი სათანადო გადამზადების გარეშე დარჩა, რაც უარყოფითად აისახა მათი მუშაობის ხარისხზე არჩევნების დღეს, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო კარგ პრაქტიკის სტანდარტებს.²⁷

საარჩევნო ადმინისტრაციის სტაბილურობისა და მისი წევრების პროფესიული უნარების გაუმჯობესების მიზნით, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების ჩანაცვლების შესაძლებლობა უნდა იყოს შეზღუდული არჩევნების დღემდე გონივრულ ვადაში, რათა ყველა წევრმა შეძლოს შესაბამისი ტრენინგის გავლა.

საარჩევნო ადმინისტრაციამ ტექნიკური სამზადისი დროულად და ეფექტურად წარმართა. გამჭვირვალობის ხელშეწყობის მიზნით, ცესკო რეგულარულად ატარებდა სხდომებს, რომლებიც პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა, დაუყოვნებლივ აქვეყნებდა თავის გადაწყვეტილებებს და სხვა რელევანტურ მასალას ვებგვერდზე. თუმცა, გადაწყვეტილებების მიღების პროცესს ზოგჯერ კოლეგიალობა აკლდა; ოპოზიციის წევრები აღნიშნავდნენ, რომ მათთან ინფორმაცია შეზღუდულად ზიარდებოდა და რომ ისინი მარგინალიზაციის სამიზნე ხდებოდნენ. შედეგად, ისინი ხშირად თავს იკავებდნენ წინააღმდეგობრივ საკითხებზე ხმის მიცემისგან, რაც საბოლოოდ გადაწყვეტილებების მიღებას უბრალო უმრავლესობით განაპირობებდა.²⁸ პარტიების მიერ დანიშნული წევრები მინიმალურად იყვნენ ჩართულნი საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობაში არჩევნების დღემდე, ხოლო არჩევნების დღეს პარტიების მიერ დანიშნული საუბნო კომისიების წევრების დიდი რაოდენობა საარჩევნო უბნებზე გადატვირთულობას იწვევდა, რაც მათი მუშაობის ეფექტიანობას არ აუმჯობესებდა. მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო

²⁶ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ აღნიშნა, რომ ამბროლაურის, ბოლნისის, მთაწმინდის (თბილისი) და საგარეჯოს ოლქებში ზოგიერთი პარტიის მიერ დანიშნული წევრი არ იყო ინფორმირებული მათი კომისიის წევრად დანიშვნის შესახებ ან არ ფლობდა ინფორმაცია იმაზე, თუ ვინ წარადგინა ის.

²⁷ იხ. „[კარგი პრაქტიკის კოდექსი](#)“ II.3.1.გ პარაგრაფი, სადაც აღნიშნულია, რომ „საარჩევნო კომისიების წევრებმა უნდა გაიარონ სტანდარტული ტრენინგი“.

²⁸ 2024 წელს მიღებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა შეცვალა ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების მიღების პროცესი და დაუშვა იმავე სხდომაზე საკითხებზე ხელახალი კენჭისყრა მარტივი უმრავლესობით, იმ შემთხვევაში, თუ წევრთა სრული შემადგენლობის ორი მესამედის მხარდაჭერის მოპოვება ვერ მოხერხდა. ცესკოს რამდენიმე რეგულაცია სადავო აღმოჩნდა, რომელთაგან ზოგი სასამართლოში გასაჩივრდა (იხ. „საარჩევნო დავების გადაწყვეტა“). მაგალითად, ცესკომ საუბნო საარჩევნო კომისიების პასუხისმგებლობების განაწილების ვადა გადასწია არჩევნების დღემდე შვიდ დღემდე, რაც „პროცედურების დროული და ერთიანი“ განხორციელების საჭიროებით გაამართლა. თუმცა, ოპოზიციამ შეშფოთება გამოთქვა, რომ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების ადრეული დანიშვნა მნიშვნელოვან პოზიციებზე, შეიძლებოდა მათი მმართველი პარტიის ზეწოლის ქვეშ მოქცევის მიზეზი გამხდარიყო. ასევე, ცესკოს მიერ საზღვარგარეთ ხმის მიცემის და დიპლომატიურ წარმომადგენლობებში საარჩევნო უბნების გახსნის დებულებების განხორციელებამ კრიტიკა გამოიწვია, რადგან ის საზღვარგარეთ ხმის მიცემის ხელმისაწვდომობის შეზღუდვად შეფასდა. არჩევნების დღის შემდეგ, ოპოზიციის მიერ დანიშნულმა ცესკოს წევრებმა ცესკოს ზოგიერთი შესყიდვის გადაწყვეტილება გააპროტესტეს, ხმის მიცემის ბიულეტენების დაბალი ხარისხის გამო. ასევე, არაერთმა დაინტერესებულმა მხარემ გააკრიტიკა ცესკოს გადაწყვეტილებების ნაკლებად გამჭვირვალობა ელექტრონული მოწყობილობების აუდიტთან დაკავშირებით.

სადამკვირვებლო მისიასთან საუბრებში ჩართულ მხარეთა უმრავლესობა ნდობას უცხადებდა საარჩევნო ადმინისტრაციას მისი ტექნიკურ და ორგანიზაციული კომპეტენციების გამო, ბევრმა გამოთქვა წუხილი ბოლოდროინდელი საკანონმდებლო ცვლილებების მიმართ, რომლებიც ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრთა შერჩევისა და წარდგენის პროცესზე კონტროლის მმართველი პარტიისთვის გადაცემას, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში კონსენსუსის საჭიროების გაუქმებას და ყველა დონეზე ცესკოს არაპარტიულ წევრებსა და მმართველ პარტიის შორის აღქმულ კავშირებს ეხებოდა.²⁹

სასურველია, საარჩევნო ადმინისტრაციის მიუკერძოებლობის გაძლიერების მიზნით, ყველა დონეზე საარჩევნო კომისიების წევრთა დანიშვნის პროცესი გადაიხედოს, რათა თავიდან იქნას აცილებული რომელიმე პოლიტიკური პარტიის მიერ საარჩევნო კომისიების დომინირება. კომისიების მუშაობის ეფექტურობის გასაუმჯობესებლად და გადატვირთულობის თავიდან აცილების მიზნით, კომისიის წევრთა რაოდენობა, განსაკუთრებით საუბნო საარჩევნო კომისიების დონეზე, სასურველია იყოს შესაბამისობაში რეალურ საჭიროებებთან.

საარჩევნო ადმინისტრაციამ ყოვლისმომცველი ტრენინგ-პროგრამა მოამზადა საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის, საარჩევნო სუბიექტებისთვის და მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ტრენინგის გავლა სავალდებულო იყო, პარტიების მიერ დანიშნული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მონაწილეობა დაბალი იყო.³⁰ ხდომები, რომლებშიც მონაწილეობდნენ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლები, ინფორმაციული და ინტერაქტიული იყო, თუმცა ისინი სრულად არ მოიცავდა საუბნო საარჩევნო კომისიების წინასაარჩევნო პასუხისმგებლობებს, რამაც გამოიწვია შეუსაბამოები გარკვეული პროცედურების შესრულებაში.³¹ ცესკომ ამომრჩეველთა ინფორმირებისა და განათლების

²⁹ ბოლოდროინდელმა საკანონმდებლო ცვლილებებმა ცესკოს არაპარტიული წევრების, მათ შორის თავმჯდომარის, დასახელების პასუხისმგებლობა პრეზიდენტისგან პარლამენტის თავმჯდომარეზე გადააწინაწინა და გააუქმა ოპოზიციის მიერ წარდგენილი თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა, რითაც ცესკოს შერჩევისა და დანიშვნის პროცესზე სრული კონტროლი მმართველ პარტიას მიანიჭა. ცესკოს რვა არაპარტიული წევრი, მათ შორის თავმჯდომარე, პარლამენტის მიერ შეირჩევა ღია კონკურსის საფუძველზე პარლამენტის თავმჯდომარის მიერ წარდგენილი კანდიდატებიდან. ისინი აირჩვიან პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის სამი მეხუთედის მხარდაჭერით, ან, თუ პირველ კენჭისყრაზე შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, უბრალო უმრავლესობით. [„საარჩევნო საკითხთა კარგი პრაქტიკის კოდექსის“](#) II.3.1 პუნქტი ხაზს უსვამს, რომ „საარჩევნო კანონმდებლობის გამოყენებაზე პასუხისმგებელი უნდა იყოს მიუკერძოებელი ორგანო“.

³⁰ ცესკოს მიერ მოწოდებული მონაცემების თანახმად, „ტრადიციული“ საარჩევნო უბნებიდან პარტიების მიერ დანიშნული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მხოლოდ 37 პროცენტი და ტექნოლოგიებით აღჭურვილი უბნებიდან 46 პროცენტი დაესწრო საწყის ტრენინგებს, რომლებიც კომისიების სრულ შემადგენლობაზე იყო გათვლილი. მესამე ეტაპზე ეს მაჩვენებლები შემცირდა, შესაბამისად, 32 და 55 პროცენტამდე. მეორე ეტაპის შემდეგ გამართულ დამატებით ტრენინგებს, შესაბამისი პარტიული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მხოლოდ 20 და 24 პროცენტი დაესწრო.

³¹ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის გრძელვადიანი დამკვირვებლების მიერ მონახულებულ არაერთ საუბნო საარჩევნო კომისიაში გამოვლინდა პროცედურების არასათანადო ცოდნა, რომელიც ეხებოდა ამომრჩეველთა სიებში

ინტენსიური კამპანიები წამოიწყო, რაც პირისპირ შეხვედრებს, აუდიო-ვიზუალური მასალის მედიასა და ვებგვერდზე განთავსებას და კენჭისყრის დღის სიმულაციური სავარჯიშოების ჩატარებას მოიცავდა; საინფორმაციო კამპანიები ამომრჩეველთა სარეგისტრაციო მონაცემების ვერიფიკაციაზე, საარჩევნო პროცედურებსა და ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებასა და საარჩევნო ბიულეტენების ნამდვილობის დადგენაზე ფოკუსირდებოდა.

ცესკომ მრავალი ნაბიჯი გადადგა სხვადასხვა ტიპის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საარჩევნო პროცესის ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად, მათ შორის ვებგვერდზე ცვლილებების შეტანით, ამომრჩეველთა საინფორმაციო მასალების ხელმისაწვდომ ფორმატში მიწოდებით და საარჩევნო უბნებში დამხმარე საშუალებების შეთავაზებით. ამომრჩეველთა განათლების მასალები მოიცავდა ქვესტურ ენაზე შესრულებულ თარგმანებსა და ვიდეორგოლებს სმენადაქვეითებული მოქალაქეებისთვის. მიუხედავად ამ ძალისხმევისა, საარჩევნო ორგანოების, მათ შორის საოლქო საარჩევნო კომისიების ოფისებისა და საარჩევნო უბნების, ზოგადი ინფრასტრუქტურის ფიზიკური ხელმისაწვდომობა, კვლავაც არ იყო დამაკმაყოფილებელი (იხ. კენჭისყრის დღე).

სასურველია, სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებმა, ასევე სხვა შესაბამისმა ჩართულმა მხარეებმა, კოორდინირებული ძალისხმევის ფარგლებში მიიღონ აუცილებელი ზომები, რათა უზრუნველყონ სხვადასხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ხელმისაწვდომობა მთლიან საარჩევნო პროცესზე, მათ შორის საარჩევნო კომისიებისა და საარჩევნო უბნებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის გამოყოფით.

VI. საარჩევნო ტექნოლოგიები

2022 წლის საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, რომლებიც საარჩევნო უბნებზე ელექტრონული ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვას ითვალისწინებდა, 2023 წლის აგვისტოში კერძო მომწოდებელ კომპანიად შეირჩა *Smartmatic*, რომელმაც უზრუნველყო ამომრჩეველთა იდენტიფიკაციის მოწყობილობების (VIDs), ხმების დამთვლელი ოპტიკური მოწყობილობების (VCDs) და მათი კონფიგურაციისთვის საჭირო ტექნიკური მხარდაჭერის მიწოდება. ამ არჩევნებისთვის, 2,263 საარჩევნო უბანი (75 პროცენტი) აღჭურვილი იყო ხმების დამთვლელი ოპტიკური მოწყობილობებით (VCDs) და ამომრჩეველთა იდენტიფიკაციის მოწყობილობებით (VIDs), რაც ამომრჩეველთა დაახლოებით 90 პროცენტს ფარავდა, ხოლო დანარჩენ საარჩევნო უბნებზე ტრადიციული იდენტიფიკაციისა და ხმის მიცემის მეთოდები გამოიყენეს.³² ცესკომ წინასწარი შედეგების გადასაცემად პლანშეტები უზრუნველყო ქვეყნის მასშტაბით ყველა საარჩევნო უბანში.

ცვლილებების შეტანის ან გადასატანი საარჩევნო ყუთით ხმის მიცემის შესახებ განცხადებების დამუშავებას.

³² ამომრჩეველთა იდენტიფიკაციის (VID) და ხმების დამთვლელი (VCD) მოწყობილობები გამოიყენებოდა საარჩევნო უბნებზე, რომლებზეც დარეგისტრირებული იყო მინიმუმ 300 ამომრჩეველი და რომლებიც განთავსებული იყო მუნიციპალურ ცენტრებში ან მათგან 20 კილომეტრის რადიუსში.

კანონის თანახმად, ხმების დამთვლელი მოწყობილობებით მიღებული შედეგები წინასწარ შედეგებად ითვლება, ხოლო საბოლოო შედეგების შემაჯამებელ ოქმებში მხოლოდ სავალდებულო ხელით გადათვლილი შედეგები აისახება.³³ ამომრჩევლების ახალი ტექნოლოგიების გასაცნობად ცესკომ განახორციელა ფართომასშტაბიანი ამომრჩეველთა საგანმანათლებლო კამპანიები და განაცხადა, რომ საპილოტე პროექტებმა და საინფორმაციო კამპანიებმა დაახლოებით 600,000 ამომრჩეველი დააფარა.³⁴ ამ წინასწარჩევნო დღის ტექნოლოგიური სატესტო დემონსტრაციების შედეგად გამოიკვეთა ხმის მიცემის ფარულობის შესაძლო დარღვევები, რომლებიც არჩევნების დღემდე არ აღმოფხვრეს. ზოგიერთი სამოქალაქო დამკვირვებლის თქმით, წინასწარჩევნო პერიოდის საპილოტე პროექტებმა ხმის მიცემის ფარულობის შესაძლო დარღვევები წარმოაჩინა, თუმცა ისინი არჩევნების დღემდე არ გამოსწორებულა (იხ. „არჩევნების დღე“).

კანონი არ ითვალისწინებს ელექტრონული ტექნოლოგიების დამოუკიდებელ ვერიფიკაციასა და სერტიფიცირებას, რაც საერთაშორისო კარგი პრაქტიკის მოთხოვნებს არ შეესაბამება.³⁵ 2023 წლის ოქტომბერში ცესკომ კერძო კომპანია დაიქირავა აუდიტის ჩასატარებლად, რომელმაც დაადასტურა, რომ მოწყობილობები შეესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტებსა და ქვეყნის სამართლებრივ მოთხოვნებს.³⁶ 2024 წლის ოქტომბერში იმავე კომპანიამ განმეორებითი აუდიტი ჩაატარა, რომლის მიხედვითაც დადგინდა, რომ ცესკოს მიერ პროგრამულ უზრუნველყოფაში შეტანილი სისტემური და ფუნქციური განახლებები არ ზღუდავდა ხმის მიცემის პროცესის მთლიანობას, სანდოობასა და უსაფრთხოებას.³⁷ თუმცა, ამ მეორე აუდიტის შესახებ ანგარიშები მხოლოდ

³³ თითოეულ საარჩევნო უბანს მინიმუმ ერთი ამომრჩეველთა იდენტიფიკაციის მოწყობილობა (VID) ჰქონდა ყოველ 700 დარეგისტრირებულ ამომრჩეველზე, ხოლო უფრო დიდ უბნებზე გამოყენებული იყო ხუთამდე ურთიერთდაკავშირებული VID. მოწყობილობები სკანირებას უკეთებდნენ ამომრჩევლის ელექტრონული პირადობის მოწმობის მანქანით ამოსაკითხ ზონას, თუმცა არ ახორციელებდნენ ბიომეტრიული მონაცემების დამუშავებას. VID მოწყობილობებში ჩაიტვირთა მხოლოდ კონკრეტული საუბნო საარჩევნო უბნისთვის განკუთვნილი ამომრჩეველთა სიები. თითოეული საარჩევნო უბანი აღჭურვილი იყო მინიმუმ ორი საარჩევნო ყუთით, რომლებზეც დამონტაჟებული და ურთიერთდაკავშირებული იყო ხმების დამთვლელი მოწყობილობები (VCD). დამატებითი საარჩევნო ყუთი მიეწოდებოდა იმ უბნებს, სადაც 2,700-ზე მეტი ამომრჩეველი იყო დარეგისტრირებული ან თუ წინა არჩევნებში ამ უბანზე ამომრჩეველთა აქტივობა 1,200-ს აჭარბებდა. წინასწარი შედეგები ცესკოში გადაიგზავნა დაცული ვირტუალური კერძო ქსელის (VPN) მეშვეობით.

³⁴ ცესკომ 2018 წლის შემდეგ საარჩევნო ტექნოლოგიები 8 შუალედურ არჩევნებში გამოსცადა და 11 სექტემბერს ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ სატესტო კენჭისყრაში 598 საარჩევნო უბანზე გამოიყენა, რის შედეგადაც 122,864 ამომრჩეველს მიეცა შესაძლებლობა, თავად გაცნობოდა საარჩევნო ტექნოლოგიებს.

³⁵ 2022 წლის ევროპის საბჭოს სახელმძღვანელოს მე-8 პარაგრაფის მიხედვით, რომელიც [საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების \(ICT\) საარჩევნო პროცესებში გამოყენებას შეეხება](#), ICT სისტემების დანერგვამდე აუცილებელია მათი შეფასება დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ. 2017 წლის ევროპის საბჭოს რეკომენდაციის მე-33 პარაგრაფი, რომელიც [ელექტრონული ხმის მიცემის სტანდარტებს](#) ეხება, განსაზღვრავს: „ელექტრონული ხმის მიცემის სისტემის კომპონენტები უნდა იყოს ხელმისაწვდომი ვერიფიკაციისა და სერტიფიცირების პროცესისთვის.“

³⁶ იხილეთ 2023 წლის [ანგარიში](#), რომელიც მომზადებულია ამერიკული კომპანიის „Pro V&V“-ის მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე.

³⁷ იხილეთ 2024 წლის [აუდიტის ანგარიშები](#). აუდიტი ჩატარდა სამ ეტაპად და დაადგინა, რომ დადგენილი უსაფრთხოების ზომების დაცვა უზრუნველყოფილი იყო, მათ შორის: ხმების დამთვლელი მოწყობილობები (VCD) არ იყო დაკავშირებული ინტერნეტთან, ამომრჩეველთა

კენჭისყრის დღის შემდეგ გამოქვეყნდა, რის გამოც პროცესში ჩართულ მხარეებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, დროულად გასცნობოდნენ აუდიტის მიგნებებს.³⁸

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო საერთაშორისო მისიასთან საუბრისას, პროცესში ჩართული მხარეების უმეტესობა მხარს უჭერდა საარჩევნო ტექნოლოგიების დანერგვას. მიუხედავად ამისა, ზოგიერთმა მხარემ გამოხატა შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ შეზღუდული ინფორმაცია იყო ხელმისაწვდომი მოწყობილობების დანერგვასა და აუდიტში ჩართული გარე მომწოდებლების, მათი საქმიანობისა და კონტრაქტების პირობების შესახებ.³⁹ გარდა ამისა, დაინტერესებულ მხარეებს არ ჰქონდათ სრული წვდომა საარჩევნო ტექნოლოგიების დანერგვის ყველა ეტაპის ზედამხედველობაზე, დეტალური დოკუმენტაციის განხილვაზე და აუდიტების შესწავლაზე, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო კარგი პრაქტიკის პრინციპებს.⁴⁰ მაშინ, როცა საარჩევნო ადმინისტრაციამ დამატებითი ძალისხმევა გასწია მოწყობილობების მიერ ამომრჩეველთა იდენტიფიკაციის შესაძლებლობის შესახებ გავრცელებული მცდარი შეხედულებების გასაქარწყლებლად, ახალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული შეზღუდული გამჭვირვალობა ხელს უწყობდა სპეკულაციებს ხმების დამთვლელი მოწყობილობების (VCD) შესაძლო არამიზნობრივი გამოყენებისა და მოწყვლადობის შესახებ (იხ. „არჩევნების დღე“).

საარჩევნო ტექნოლოგიების გამოყენების მიმართ ნდობის განსამტკიცებლად, სასურველია, კანონმდებლობაში მკაფიოდ იყოს გაწერილი ამომრჩეველთა იდენტიფიკაციისა და ხმების დამთვლელი მოწყობილობების დამოუკიდებელი მესამე მხარის მიერ ვერიფიკაციისა და სერტიფიცირების პროცესი. მიზანშეწონილია, შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს რეალურად მიეცეთ შესაძლებლობა, დეტალურად გაეცნონ ტექნოლოგიების დანერგვის პროცესის ყველა ეტაპს, მათ შორის ტექნიკურ დოკუმენტაციას, პროგრამული უზრუნველყოფის წყაროს კოდს, მოწყობილობების კონფიგურაციასა და აუდიტის პროცედურებს.

იდენტიფიკაციის მოწყობილობებში (VID) ჩატვირთული იყო მხოლოდ კონკრეტული უბნის ამომრჩეველთა სიები, ხოლო პლანშეტების მეშვეობით შედეგების უსაფრთხო გადაცემის პროცესში მონაცემთა შეცვლის შესაძლებლობა გამორიცხული იყო. აუდიტი შემოიფარგლა მხოლოდ იმ კონკრეტული მახასიათებლებისა და პროგრამული უზრუნველყოფის ცვლილებების შეფასებით, რომლებიც წინა აუდიტის შემდეგ განხორციელდა.

³⁸ სამივე ეტაპის ანგარიში გამოქვეყნდა არჩევნების დღის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ აუდიტის ორი ეტაპი არჩევნებამდე დასრულდა.

³⁹ 2022 წლის ევროპის საბჭოს [სახელმძღვანელო](#) მითითებების მე-7 პარაგრაფში აღნიშნულია, რომ „გამჭვირვალობის მოთხოვნები მიზნად უნდა ისახავდეს საჯარო კონტროლის შესაძლებლობის უზრუნველყოფას. უნდა არსებობდეს შესაბამისი პროცესები საზოგადოების მიერ წარმოდგენილი კომენტარების, კითხვებისა და წინადადებების მიღებისთვის, მათზე რეაგირებისთვის და განხილვისთვის, ასევე დასკვნების ფორმირებისა და დამუშავებისთვის.“

⁴⁰ იხილეთ 2017 წლის რეკომენდაცია [CM/Rec\(2017\)5-ის დებულებების განხორციელების სახელმძღვანელო მითითებების 31-33 პარაგრაფები ელექტრონული ხმის მიცემის სტანდარტების შესახებ](#), რომლებიც განსაზღვრავენ გამჭვირვალობის ზომებს, მათ შორის აღნიშნულია, რომ „ელექტრონული ხმის მიცემის სისტემის კომპონენტებზე და მათ შესახებ ინფორმაციაზე, კერძოდ, დოკუმენტაციაზე, პროგრამული უზრუნველყოფის წყაროს კოდზე და კონფიდენციალურობის ხელშეკრულებებზე, საჯარო წვდომა უნდა იყოს უზრუნველყოფილი დაინტერესებული მხარეებისა და ფართო საზოგადოებისათვის, საარჩევნო პროცესის დაწყებამდე საკმარისად დიდი დროით ადრე.“

VII. ამომრჩეველთა უფლებები და რეგისტრაცია

ხმის მიცემის უფლება აქვს კენჭისყრის დღეს 18 წელს მიღწეულ ყველა მოქალაქეს, გარდა იმ პირებისა, რომლებიც სასჯელს იხდიან განსაკუთრებულად მძიმე დანაშაულისთვის. საერთაშორისო სტანდარტებისა და დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ წარსულში გაცემული რეკომენდაციების მიუხედავად, მოქალაქეებს, რომლებიც სასამართლოს გადაწყვეტილებით ქმედუუნაროდ არიან გამოცხადებული და სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში იმყოფებიან, ჩამორთმეული აქვთ ხმის მიცემის უფლება.⁴¹

პირებს, რომლებიც სასამართლოს მიერ ინტელექტუალური ან ფსიქოსოციალური შეზღუდულობის საფუძველზე ქმედუუნაროდ არიან გამოცხადებული და რომელთაც სტაციონარული მოვლა სჭირდებათ, უნდა მიეცეთ ხმის მიცემის უფლება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ამომრჩეველთა რეგისტრაცია პასიურ და უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს. ცესკო პასუხისმგებელია ამომრჩეველთა ერთიანი სიის (UVL) მართვაზე, რომელიც სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (PSDA) და სხვა სახელმწიფო უწყებების მონაცემებზეა დაფუძნებული.⁴² მოქმედი საიდენტიფიკაციო დოკუმენტების მქონე ამომრჩევლები ავტომატურად შეჰყავთ ამომრჩეველთა ერთიანი სიაში მათი მიმდინარე ან წარსული საცხოვრებელი მისამართის საფუძველზე.⁴³ თუმცა, კანონით, ვადაგასული დოკუმენტების მქონე მოქალაქეები სიიდან ამოირიცხებიან. რეგისტრაციის აღსადგენად,

⁴¹ გაეროს 2006 წლის [შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციის \(CRPD\)](#) მე-12 და 29-ე მუხლები ავალდებულებს სახელმწიფოებს, „აღიარონ, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები სრულად სარგებლობენ სამართლებრივი ქმედუუნარანობით სხვებთან თანაბარ პირობებში“. აგრეთვე, CRPD-ის [კომიტეტის ზოგადი კომენტარი №1](#) აღნიშნავს, რომ „პირის გადაწყვეტილების მიღების უნარი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის პოლიტიკური უფლებების განხორციელებიდან გამორიცხვის დასაბუთებად, მათ შორის ხმის მიცემისა და არჩევნებში კენჭისყრის უფლების ჩათვლით“.

⁴² ამომრჩეველთა სპეციალური სიები შედგა საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის, რომლებიც კენჭისყრის დღეს სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ, ასევე საავადმყოფოებში, სტაციონარულ დაწესებულებებში, სასჯელაღსრულების დაწესებულებებსა და საზღვარგარეთ მყოფი, ასევე სახლს მიჯაჭვული ამომრჩევლებისთვის. საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩევლები, რომლებიც საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო აღრიცხვაზე იმყოფებოდნენ, ავტომატურად შეიყვანეს საზღვარგარეთ ხმის მიცემთა სპეციალურ სიებში, ხოლო სხვებს შესაძლებლობა ჰქონდათ რეგისტრაცია 7 ოქტომბრამდე გაეკლოთ. საერთო ჯამში, 95,910 ამომრჩეველს მიეცა საზღვარგარეთ ხმის მიცემის შესაძლებლობა. გადასატანი ყუთით ხმის მიცემა ხელმისაწვდომი იყო იმ ამომრჩევლებისთვის, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ახერხებდნენ საარჩევნო უბანში მისვლას, ასევე სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, დროებითი მოთავსების იზოლატორებში, საავადმყოფოებში და/ან რთულად მისადგომ ადგილებში მყოფი პირებისთვის, ასევე სამხედროებისა და უსაფრთხოების სამსახურების თანამშრომლებისთვის, რომლებიც კენჭისყრის დღეს პროფესიულ მოვალეობას ასრულებდნენ.

⁴³ იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე ამომრჩევლები დარეგისტრირდნენ ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. რეგისტრაციის მისამართის არმქონე ამომრჩევლებს შესაძლებლობა ჰქონდათ მიემართათ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის და 5 ოქტომბრამდე ეცნობებინათ ფაქტობრივი მისამართის შესახებ.

მათ უნდა განეხილებინათ დოკუმენტები და 8 ოქტომბრამდე წარედგინათ შესაბამისი განაცხადი.⁴⁴ კანონი საშუალებას აძლევს რეგისტრაციის მისამართის არმქონე ამომრჩევლებს დარჩნენ ამომრჩეველთა ერთიანი სიაში მათი ბოლო რეგისტრაციის მისამართის მიხედვით; ეს დებულება დროებითია და 2026 წელს ძალას დაკარგავს.⁴⁵ ამომრჩეველთა სიიდან ვადაგასული საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ან რეგისტრაციის მისამართის არარსებობის გამო ამორიცხვა წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისო სტანდარტებთან, რადგან რეგისტრაციის აღდგენის პროცესი მოქალაქეებს ზედმეტ ტვირთად აწევს და შესაძლოა, მათი ხმის მიცემის უფლების დაკარგვის მიზეზი გახდეს.⁴⁶

ხმის მიცემის უფლების მქონე ყველა ამომრჩევლის საარჩევნო უფლების ეფექტური განხორციელების უზრუნველსაყოფად, სასურველია, ხელისუფლებამ გაატაროს სათანადო საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ცვლილებები, რათა უზრუნველყოფილი იყოს ყველა ამომრჩევლის, მათ შორის, პირადობის მოქმედი დოკუმენტებისა ან რეგისტრირებული მისამართის არმქონე პირების, საარჩევნო სიებში შეყვანა.

ამომრჩეველთა საბოლოო ერთიან სიაში 3,508,294 ამომრჩეველი შედიოდა. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ უწყვეტი ძალისხმევა გაიღო მონაცემთა სიზუსტის გასაუმჯობესებლად.⁴⁷ ამომრჩევლებს არაერთი შესაძლებლობა ჰქონდათ მათ შესახებ დაცული მონაცემები ონლაინ, სამთავრობო სერვისცენტრებსა და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ოფისებში გადაემოწმებინათ და საჭიროების შემთხვევაში, მათში ცვლილებების შეტანა მოეთხოვათ. საარჩევნო უბნებზე, ამომრჩეველთა წინასწარი სიები, ერთი თვით ადრე თვალსაჩინოდ იყო ხელმისაწვდომი ამომრჩევლებისთვის საკუთარი მონაცემების გადასამოწმებლად. ცესკოს ინფორმაციით, ოთხმა პოლიტიკურმა პარტიამ და

⁴⁴ 2023 წელს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად 2011 წლის ივლისამდე გაცემული უვადო პირადობის დამადასტურებელი მოწმობები 2024 წლის ივლისში ძალადაკარგულად გამოცხადდა. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის დროული განახლებისთვის სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ ფართომასშტაბიანი კამპანია წამოიწყო და მოწმობების გაცემა უსასყიდლოდ დაიწყო. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემებით, 14 ოქტომბრამდე, ამომრჩეველთა ერთიან სიაში ცვლილებების შეტანის ვადის ამოწურვამდე, დაახლოებით 260,000 მოქალაქედან, რომლებიც უვადო პირადობის მოწმობებს ფლობდნენ, 195,016-მა შეძლო პირადობის მოწმობის უსასყიდლოდ აღება. ვადაგასული პირადობის მოწმობის მქონე დანარჩენ მოქალაქეთაგან, 25,733-ს გააჩნდა მოქმედი პასპორტი, რაც მათ ხმის მიცემის შესაძლებლობას აძლევდა.

⁴⁵ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (PSDA) ინფორმაციით, 12 სექტემბრიდან 8 ოქტომბრის ჩათვლით, დაახლოებით 1,400 მოქალაქე, რომლებიც ადრე არ ფლობდნენ მოქმედ დოკუმენტს ან რეგისტრირებულ მისამართს, შეყვანილ იქნა ამომრჩეველთა ერთიან სიაში. 8-14 ოქტომბერს ამომრჩეველთა ერთიან სიაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელი იყო მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

⁴⁶ [გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარის №25](#) მე-11 პარაგრაფი ვალდებულებას აკისრებს ხელმომწერ სახელმწიფოებს, „მიიღონ ეფექტიანი ზომები, რათა ხმის მიცემის უფლების მქონე ყველა პირმა შეძლოს ამ უფლებით სარგებლობა. იმ შემთხვევაში, თუ რეგისტრაცია სავალდებულოა, სახელმწიფოებმა უნდა შეუწყონ ხელი ამ პროცესს“.

⁴⁷ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ მონაცემთა სიზუსტის გასაუმჯობესებლად სიიდან ამოიღო დუბლირებული ჩანაწერები და გარდაცვლილი ამომრჩევლების მონაცემები. სააგენტო დაუკავშირდა იმ მოქალაქეებს, რომელთა მონაცემები არასრული იყო, ჩაატარა ადგილზე ინსპექცია და აცნობა იმ პირებს, რომელთა პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებს ვადა ეწურებოდა. საარჩევნო პერიოდში სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ, სხვადასხვა სამართლებრივი საფუძველით, 956 მოქალაქეს გაუუქმა რეგისტრაცია.

ორმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ მოითხოვა ერთიანი საარჩევნო სიის ასლები, თუმცა არცერთ მათგანს გადამოწმების შედეგად კორექტირების მოთხოვნა არ წარუდგენია.

მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებთან საუბრებში პროცესში ჩართულ მხარეთა უმრავლესობას არ გამოუთქვამს განსაკუთრებული შეშფოთება ამომრჩეველთა სიების სიზუსტისა და ინკლუზიურობის თაობაზე, ზოგიერთი მათგანი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა მისამართზე მრავლობითი რეგისტრაციის რამდენიმე შემთხვევას, როდესაც კონკრეტულ მისამართზე მცხოვრები პირებისთვის, იმავე მისამართზე უცნობი ამომრჩევლები იყვნენ რეგისტრირებული.⁴⁸ არჩევნების შემდეგ, ოპოზიციამ განაცხადა, რომ ზოგიერთი ამომრჩევლის, მათ შორის საზღვარგარეთ მცხოვრები ამომრჩევლების მონაცემების სავარაუდო ბოროტად გამოყენების შესახებ და მოითხოვა წვდომა იმ ამომრჩეველთა სიაზე, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს არჩევნებში. საარჩევნო ადმინისტრაციამ უარყო ბრალდებები და მოთხოვნაზე უარი განაცხადა, მიზეზად მონაცემთა დაცვის რეგულაციები და ამგვარი წვდომის მოთხოვნაზე სამართლებრივი საფუძვლის არარსებობა დაასახელა.

VIII. კანდიდატთა უფლებები და რეგისტრაცია

საქართველოს პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს ხმის მიცემის უფლება, არჩევნების დღეს 25 წლის ან უფროსია და საქართველოში სულ მცირე 10 წლის განმავლობაში უცხოვრია. კანდიდატების სიას მხოლოდ პოლიტიკური პარტიები წარადგენენ, ხოლო კანდიდატს არ შეუძლია ერთდროულად რამდენიმე პარტიის წევრობა.⁴⁹ ბინადრობის ხანგრძლივი მოთხოვნა, ასევე შეზღუდვები იმ პირებისთვის, რომლებიც სასამართლოს გადაწყვეტილებით კანდიდატობის უფლების გარეშე დარჩნენ ან სასჯელს იხდიან, დანაშაულის სიმძიმის მიუხედავად, და დამოუკიდებელი კანდიდატურებისთვის სამართლებრივი რეგულაციების არარსებობა ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს, კარგ პრაქტიკას და დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის წინა რეკომენდაციებს.⁵⁰

⁴⁸ რამდენიმე ამომრჩეველმა, თბილისის დიდუბის, ნაძალადევისა და საბურთალოს ოლქებიდან და ასევე ქუთაისიდან, ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას აცნობეს, რომ მათ მისამართებზე აღმოაჩინეს დარეგისტრირებული პირები, რომლებიც მანამდე აღნიშნულ მისამართებზე არ ცხოვრობდნენ. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ (PSDA) ასეთი პირების რეგისტრაციის გაუქმების შესახებ 259 განაცხადი მიიღო. ხელისუფლებამ მსგავსი ჩანაწერები ამომრჩეველთა ერთიან სიაში იმ საკანონმდებლო დებულებებს დაუკავშირა, რომლებიც მოქალაქეებს აძლევს შესაძლებლობას, ამომრჩეველთა სიაში რეგისტრაციისთვის შეინარჩუნონ ადრე რეგისტრირებული საცხოვრებელი მისამართი.

⁴⁹ მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა წინასაარჩევნო ბლოკებს არ ითვალისწინებს, რამდენიმე პოლიტიკურმა პარტიამ საკუთარ კანდიდატთა სიაში სხვა პარტიების წარმომადგენლები შეიყვანა, რომლებიც ამ მიზნით თავიანთი თავდაპირველი პარტიის წევრობაზე უარს აცხადებდნენ. ცესკომ ოთხი კანდიდატის რეგისტრაციაზე უარი თქვა, მათ მიერ სხვა პარტიასთან შესაძლო კავშირის ან რეგისტრაციის დოკუმენტაციაში პარტიული კუთვნილების შესახებ სავალდებულო განცხადებაში აღმოჩენილი შეუსაბამობების გამო.

⁵⁰ [გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი ნომ. 25](#)-ის მე-15 პარაგრაფი აცხადებს, რომ „პირებს, რომლებსაც უფლება აქვთ კენჭი იყარონ, არ უნდა შეეზღუდოთ ეს უფლება

პარტიებისა და კანდიდატების რეგისტრაცია ინკლუზიური იყო. იმ პარტიებს, რომლებიც პარლამენტში არ არიან წარმოდგენილი და ვალდებულნი არიან, შეაგროვონ სულ მცირე 25,000 მხარდამჭერი ხელმოწერა ამომრჩევლებისგან, ცესკოში განცხადების შეტანა 15 ივლისამდე შეეძლოთ, ხოლო ხელმოწერების წარდგენა – 1 აგვისტომდე. 30 არასაპარლამენტო განმცხადებელიდან, ცესკომ 11-ს რეგისტრაციაზე უარი უთხრა არასაკმარისი ხელმოწერების ან სხვა მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო, ხოლო 2 განაცხადი განუხილველი დატოვა.⁵¹ პარლამენტში წარმოდგენილი პარტიები გათავისუფლებული იყვნენ მხარდამჭერთა ხელმოწერების შეგროვების ვალდებულებისგან, რაც მათ შესაძლებლობას აძლევდა, რეგისტრაციისთვის უფრო გვიანი ვადით ესარგებლათ და საარჩევნო ბიულეტენში წინა რიგითი ნომერი შეენარჩუნებინათ. 30 აგვისტოს ვადის ამოწურვამდე, პარლამენტში წარმოდგენილმა ათმა პარტიამ რეგისტრაციის განაცხადი შეიტანა.

საერთო ჯამში, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 27 პოლიტიკური პარტია დაარეგისტრირა საარჩევნო სუბიექტებად, რომლებსაც კანდიდატთა სიების წარდგენა 26 სექტემბრამდე შეეძლოთ. 6 ოქტომბრისთვის განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე, ცესკომ რეგისტრაცია გაუწია 19 წარდგენილი კანდიდატთა სიიდან 18-ს.⁵² მიუხედავად იმისა, რომ ბევრმა პოლიტიკურმა პარტიამ აიღო ვალდებულება დაეცვა ნებაყოფლობითი შიდა გენდერული კვოტები, 1,184 საპარლამენტო კანდიდატიდან მხოლოდ 341 (29 პროცენტი) იყო ქალი.

IX. საარჩევნო კამპანია

საარჩევნო კამპანიის ოფიციალური 60-დღიანი პერიოდი, რომელიც 27 აგვისტოს დაიწყო, კანდიდატთა რეგისტრაციის პერიოდს ერთ თვეზე მეტი ხნით დაემთხვა, რამაც გამოიწვია მედიაში უფასო საეთერო დროის განაწილებასთან დაკავშირებული დავები და ფინანსური ანგარიშგების ვადების სხვადასხვაობა.⁵³ კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული

დაუსაბუთებელი ან დისკრიმინაციული მოთხოვნით, როგორცაა განათლება, საცხოვრებელი ადგილი, წარმოშობა ან პოლიტიკური აფილიაცია“. გარდა ამისა, [„ვარგი პრაქტიკის კოდექსის“](#) სახელმძღვანელო მითითება I. 1.1 c iii განსაზღვრავს, რომ „ბინადრობის ხანგრძლივობის მოთხოვნის დაწესება ქვეყნის მოქალაქეებისთვის შესაძლებელია მხოლოდ ადგილობრივი ან რეგიონალური არჩევნებისთვის“. 1990 წელს გამოცემული [„უეთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის“](#) 7.5 პარაგრაფის მიხედვით, წევრმა სახელმწიფოებმა „პატივი უნდა სცენ მოქალაქეთა უფლებას, დისკრიმინაციის გარეშე წარადგინონ საკუთარი კანდიდატურა პოლიტიკური ან საჯარო თანამდებობის დასაკავებლად, როგორც დამოუკიდებელმა პირებმა, ისე პოლიტიკური პარტიის ან ორგანიზაციის წარმომადგენლის რანგში“.

⁵¹ ერთი პარტიის განაცხადი უარყოფილ იქნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მისი რეგისტრაციის გაუქმების გამო, ხოლო მეორე პარტიის განაცხადი უარყვეს პარტიის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველზე.

⁵² ჩაბარებული კანდიდატთა ერთი სია შეიცავდა ნაკლოვანებებს, რომლებიც განმცხადებლებს ვერ აღმოფხვრეს, რის შედეგადაც ის არ შეესაბამებოდა მოთხოვნილ რაოდენობრივ კრიტერიუმს.

⁵³ კანდიდატთა რეგისტრაცია დასრულდა არჩევნების დღემდე 20 დღით ადრე, მას შემდეგ, რაც ამოიწურა კანონით განსაზღვრული ვადა წარდგენილ სიებში არსებული ნაკლოვანებების

წინასაარჩევნო დუმილის პერიოდი; აკრძალულია მხოლოდ წინასაარჩევნო რეკლამების გავრცელება და აგიტაცია კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბნებში ან მათ მიმდებარედ. კანონმდებლობა ითვალისწინებს საარჩევნო კამპანიის თანასწორ პირობებს, როგორცაა მუნიციპალურ სივრცეებსა და პლაკატებისთვის განკუთვნილ ადგილებზე თანაბარი ხელმისაწვდომობა. თუმცა, აღნიშნული დებულებები პრაქტიკაში სრულად ვერ უზრუნველყოფდა თანაბარ პირობებს, რადგან ზოგიერთ მუნიციპალიტეტში ოპოზიციურ პარტიებს სირთულეები ექმნებოდათ პლაკატებისთვის განკუთვნილი ადგილების მოპოვებაში.⁵⁴

2021 წელს საარჩევნო კოდექსში შევიდა ცვლილებები, რომლებიც საჯარო სექტორის თანამშრომლების მიერ აგიტაციის რეგულაციების გამკაცრებას ისახავდა მიზნად და ნაწილობრივ შეესაბამებოდა დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის წარსულში გაცემულ რეკომენდაციებს. თუმცა, საარჩევნო რეგულაციები სრულად ვერ უზრუნველყოფს ადმინისტრაციული რესურსების შესაძლო ბოროტად გამოყენების პრევენციას, რადგან შეზღუდვები ყველა საჯარო მოხელეზე არ ვრცელდება და იძლევა გარკვეული ზომების მიღების შესაძლებლობას, რომლებიც ამომრჩეველთა მოზიდვას ემსახურება.⁵⁵ დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა მაღალი რანგის თანამდებობის პირების მონაწილეობა წინასაარჩევნო კამპანიაში, ძირითადად მმართველი პარტიის სასარგებლოდ, რაც მოქმედ ხელისუფლებას არაპროპორციულ უპირატესობას ანიჭებდა და არღვევდა პარტიასა და სახელმწიფოს გამყოფ ზღვარს, რაც ეწინააღმდეგება ეუთოს ვალდებულებებსა და საერთაშორისო კარგ პრაქტიკას.⁵⁶ წინასაარჩევნო პერიოდში სახელმწიფო და მუნიციპალური პროექტების

გასწორებისთვის. ეს პროცესი ოფიციალური წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებიდან 40 დღის შემდეგ დასრულდა.

⁵⁴ 10 მუნიციპალიტეტში ოპოზიციამ თავდაპირველად აღნიშნა, რომ სააგიტაციო მასალის გასაკრავი საჯარო ადგილების უმეტესობა დაკავებული იყო „ქართული ოცნების“ მიერ, ხოლო ბილბორდებზე წვდომა შეზღუდული იყო, რადგან ისინი უკვე „ქართულ ოცნებას“ ჰქონდა დაქირავებული. [დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ვენეციის კომისიის 2016 წლის ერთობლივი სახელმძღვანელო მითითებების II.B.1.3 პარაგრაფის თანახმად](#), რომელიც ადმინისტრაციული რესურსების საარჩევნო პროცესში არასწორი გამოყენების პრევენციასა და მასზე რეაგირებას ეხება, „თუ საჯარო შენობებისა და ობიექტების გამოყენება საარჩევნო კამპანიის მიზნებისთვის ნებადართულია, იურიდიული ჩარჩო უნდა ითვალისწინებდეს თანასწორ შესაძლებლობებს და მკაფიო პროცედურას ასეთი რესურსების სამართლიანად განაწილებისთვის პარტიებისა და კანდიდატებისთვის“.

⁵⁵ კანონის თანახმად, აკრძალულია წინასაარჩევნო აგიტაციის ჩატარება სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებით ორგანიზებულ ღონისძიებებზე, ასევე საჯარო სექტორში დასაქმებულთათვის სამუშაო საათებში ან სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს. დამატებით, კანონი კრძალავს საარჩევნო სუბიექტებისთვის სახელმწიფო ან მუნიციპალურ ბალანსზე არსებული სივრცეებისადმი უთანასწორო წვდომას, სახელმწიფო რესურსების გამოყენებას წინასაარჩევნო კამპანიის პროცესში და საჯარო სექტორში დასაქმებულთა მონაწილეობით შეხვედრების გამართვას. [2018 წლის საქართველოს შესახებ შესაბამისობის მეორე მოხსენების მეორე დანართში](#) GRECO ამბობს, რომ „დებულება, რომელიც მაღალი რანგის თანამდებობის პირებს წინასაარჩევნო აგიტაციის შეუზღუდავად წარმოების უფლებას აძლევს, დიდი ხანია გასაუქმებელია“.

⁵⁶ ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის გრძელვადიანი დამკვირვებლების დაკვირვებით, დმანისის, ხარაგაულის, ქედის, ყვარლის, ოზურგეთის, რუსთავის, შუახევის, თბილისის, ზესტაფონისა და ზუგდიდის მერები და მათი მოადგილეები მონაწილეობდნენ წინასაარჩევნო კამპანიაში. ამბროლაურის მერმა განაცხადა, რომ წინასაარჩევნო პერიოდისთვის შვებულება აიღო.

განხორციელება კანონით აკრძალულია. თუმცა, წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებამდე რამდენიმე თვის განმავლობაში, ხელისუფლებამ წარმოადგინა ფინანსური სტიმულირების პაკეტი, რომლებიც სხვადასხვა სოციალური ფენის ფართო ჯგუფებზე გავრცელდა.⁵⁷ მიუხედავად იმისა, რომ ეს ქმედებები კანონის დარღვევას არ წარმოადგენდა, გამოითქვა შეშფოთება ხელისუფლების გულწრფელ განზრახვაზე, დაეცვა ამომრჩევლებისგან დამოუკიდებელი პოლიტიკური პროცესის პრინციპი და თავიდან აეცილებინა სახელმწიფო რესურსების გამოყენებით შესაძლო ზეწოლა. სექტემბერში პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც სასჯელმისჯილთა ფართო ჯგუფს ამნისტიას უწყესებდა.⁵⁸

სასურველია, საარჩევნო სუბიექტებმა, საჯარო მოხელეებმა და სახელმწიფო ინსტიტუტებმა თავი შეიკავონ ადმინისტრაციული რესურსების საარჩევნო მიზნებისთვის არამიზნობრივად გამოყენებისგან, რათა უზრუნველყოფილი იყოს თანაბარი საარჩევნო გარემო ყველა არჩევნებში ჩართული მხარისთვის. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისისა და GRECO-ს წარსულში გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად, მიზანშეწონილია დამატებითი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ზომების განხილვა, რომლებიც დაარეგულირებს მაღალი თანამდებობის პირების, მათ შორის მერების, საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობას და აღკვეთავს არსებული რეგულაციების გვერდის ავლას.

საარჩევნო სუბიექტებს, ზოგადად, შესაძლებლობა ჰქონდათ თავისუფლად ეწარმოებინათ წინასაარჩევნო კამპანია, ხოლო 18 საარჩევნო სია ერთმანეთს კონკურენციას უწევდა ნაკლებად ინტენსიურ კამპანიაში.⁵⁹ თუმცა, ამომრჩეველთა, განსაკუთრებით საჯარო სექტორში დასაქმებულთა და ეკონომიკურად მოწყვლადი ჯგუფების მიმართ დაშინების, მოსყიდვისა და ზეწოლის ხშირი ცნობები ზრდიდა შეშფოთებას იმის თაობაზე, რომ ზოგიერთ ამომრჩეველს შესაძლოა თავისუფლად ვერ გაეკეთებინა არჩევანი და ხმის

ეუთოს 1990 წლის [კოპენჰაგენის დოკუმენტის](#) 5.4 პარაგრაფი ხაზს უსვამს „სახელმწიფოსა და პოლიტიკური პარტიების მკვეთრი გამიჯვნის“ აუცილებლობას. [2016 წლის ODIHR-ისა და ვენეციის კომისიის ერთობლივი სახელმძღვანელო](#) მითითებების II.B.1.1 პარაგრაფის მიხედვით, „სამართლებრივი ჩარჩო უნდა უზრუნველყოფდეს ეფექტურ მექანიზმებს, რომლებიც საჯარო უწყებებს უკრძალავს თავიანთი პოზიციების უსამართლოდ გამოყენებას საარჩევნო კამპანიის მიზნებისთვის, მათ შორის, ოფიციალური საჯარო ღონისძიებების ჩატარებით“.

⁵⁷ 2024 წლის თებერვალში განათლების მინისტრმა სტუდენტური სტაჟირების პროგრამის დაწყების შესახებ [განაცხადა](#), რომელიც 2024 წლის სექტემბრიდან 3,000-მდე სტუდენტს ანაზღაურებდა სტაჟირებას შესთავაზებდა. იმავე თვეში, მთავრობამ 150,000-ზე მეტ პენსიონერს, რომლებმაც სესხები 2023 წლამდე აიღეს, საპროცენტო განაკვეთი [შეუმცირა](#). 2024 წლის აპრილში პარლამენტმა ძალიან სტრუქტურების თანამშრომლებისთვის პენსიების [ზრდა დაამტკიცა](#), ხოლო მთავრობამ 145,000 გადასახადის გადამხდელს 2021 წლამდე დაგროვილი საგადასახადო დავალიანება [ჩამოაწერა](#). 2024 წლის ივნისში პრემიერ-მინისტრმა [განაცხადა](#), რომ 1,855 პირი COVID-19 პანდემიის დროს დაკისრებული ჯარიმებისგან გათავისუფლდა, რაც ჯამში 5.6 მილიონ ლარს შეადგენს.

⁵⁸ [ოფიციალური შეფასებით](#), აღნიშნული კანონის მიღების შემდეგ სასჯელადსრულების დაწესებულებებიდან 1,000-ზე მეტი პატიმარი უნდა გათავისუფლებულიყო; კანონი ასევე შეეხო დაახლოებით 22,000 პირობით მსჯავრდებულს, მათგან 7,000 პირობითი მსჯავრისგან დაუყოვნებლივ გათავისუფლდა. კანონი ითვალისწინებდა სასჯელის სრულ ან ნაწილობრივ შემცირებას ფართო სპექტრის დანაშაულებისთვის იმ პირებისთვის, რომლებიც იხდიდნენ სასჯელს, იყვნენ პირობით მსჯავრდებულები ან პირობით გათავისუფლებულები.

⁵⁹ 18 რეგისტრირებული კანდიდატთა სიიდან, საარჩევნო კამპანიაში ყველაზე აქტიურად „ქართული ოცნება“ და ოთხი ძირითადი ოპოზიციური სია მონაწილეობდნენ.

მიცემისას შიშით ემოქმედა, რაც ეწინააღმდეგება ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებსა და საერთაშორისო სტანდარტებს.⁶⁰ ზოგიერთი საარჩევნო სუბიექტი მიმართავდა მეტად პოლარიზებულ რიტორიკას და სიმბოლოებს.⁶¹ ამასთან, კამპანიის ატმოსფეროზე უარყოფითი გავლენა იქონია ძალადობის ცალკეულმა შემთხვევებმა, ღონისძიებების ჩაშლამ, სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტებმა და საარჩევნო კამპანიის მასალების განადგურებამ, რომლებზეც ინფორმაციას როგორც მმართველი, ისე ოპოზიციური პარტიები ავრცელებდნენ.⁶² ოპოზიციური პარტიების განცხადებით, ისინი ხშირად თავს

⁶⁰ 21 ოქტომბერს „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარემ „საქართველოსთვის“ წევრებს მათი პოლიტიკური პოზიციების გამო „მკაცრი დასჯით“ დაემუქრა. ოპოზიციურმა პარტიებმა ამომრჩეველთა დაშინების შემთხვევები დააფიქსირეს დაკვირვების არეალში მოქცეული 64 მუნიციპალიტეტიდან მინიმუმ 10-ში. 16 მუნიციპალიტეტში პროცესში ჩართულმა მხარეებმა ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას შეატყობინეს საჯარო მოხელეებსა და სოციალური შემწეობის მიმღებ პირებზე სავარაუდო ზეწოლის შესახებ, რათა მათ მმართველი პარტიისთვის დაეჭირათ მხარი. 18 ოქტომბერს სახალხო დამცველმა [დაადასტურა](#) ამომრჩეველთა დაშინების თაობაზე მიღებული ინფორმაცია, მათ შორის პირადობის დამადასტურებელი მოწმობების ჩამორთმევის შემთხვევები, და მოუწოდა შესაბამის ორგანოებს, დაუყოვნებლივ დაეწყოთ გამოძიება. ODIHR-ის გრძელვადიანმა დამკვირვებლებმაც დააფიქსირეს მსგავსი ფაქტები. სამოქალაქო დამკვირვებლებმა გაავრცელეს ინფორმაცია ხმის ყიდვის შემთხვევებზე როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, ასევე კენჭისყრის დღეს, ასევე არჩევნებამდე საჯარო სექტორში ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მატებაზე. [ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის 7.7](#) პარაგრაფის მოთხოვნათა თანახმად, საარჩევნო კამპანია „სამართლიან და თავისუფალ გარემოში უნდა წარიმართოს, რომელშიც პარტიებსა და კანდიდატებს არც ადმინისტრაციული ქმედება, ძალადობა ან დაშინება უზღუდავს თავისი შეხედულებებისა და კვალიფიკაციის თავისუფლად წარდგენის შესაძლებლობას და არც ამომრჩევლებს უშლის ხელს გაეცნონ და განიხილონ აღნიშნული შეხედულებები ან მისცენ ხმა დასჯის შიშის გარეშე“. [გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის 1996 წლის ზოგადი კომენტარის](#) No. 25-ის მე-19 პარაგრაფის თანახმად, „ამომრჩევლებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა დამოუკიდებლად ჩამოაყალიბონ მოსაზრებები, ძალადობის, მუქარის, იძულებისა და მანიპულაციური ჩარევის გარეშე“.

⁶¹ „ქართული ოცნების“ ბანერებზე ოპოზიციური პარტიების ლიდერები არასახარბიელო მდგომარეობაში იყვნენ გამოსახულნი – ყელზე საყელურით. ბანერებზე ასევე წარმოდგენილი იყო მშვიდობიანი საქართველოსა და ომით დაზარალებული უკრაინის რეგიონების კონტრასტული გამოსახულებები, რითაც მიანიშნებდნენ, რომ „ქართული ოცნების“ გარდა სხვა პარტიის არჩევა შესაძლოა ომის საფრთხის მომტანი გამხდარიყო. პარტიამ ასევე შექმნა ტელევიზიის რეკლამები ლოზუნგებით: „არა ომს! არა აგენტებს!“ – რაც ოპოზიციური პოლიტიკოსების განცხადებების დამუშავებულ ვერსიებს იყენებდა, რათა მათთვის ომის მხარდაჭერა მიეწერათ; „არა LGBT პროპაგანდას!“ – რაც LGBT თემის წევრებს შეუფერებელ ქცევაში ადანაშაულებდა; და „არა ყალბი ამბების პროპაგანდას!“ – რაც ოპოზიციურად განწყობილ ჟურნალისტებს დეზინფორმაციის გავრცელებაში სდებდა ბრალს.

⁶² 16 სექტემბერს, პანკისში (ახმეტის მუნიციპალიტეტი) მიმდინარე აგიტაციის დროს, პარტია „ახალის“ ლიდერს ქვები დაუშინეს. 19 სექტემბერს, ზუგდიდში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებს თავს დაესხნენ წინასაარჩევნო კამპანიისას; „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მტკიცებით, თავდამსხმელები „ქართულ ოცნებასთან“ აფილირებული პირები იყვნენ, რასაც „ქართული ოცნება“ უარყოფს. 6 ოქტომბერს, გურჯაანში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო ღონისძიებაზე, სავარაუდოდ, „ქართული ოცნებასთან“ აფილირებული პირების მიერ განხორციელებულ თავდასხმას ერთი პირის ჰოსპიტალიზაცია მოჰყვა. 12 ოქტომბერს, „ქართული ოცნების“ აქტივისტი, სავარაუდოდ, შეეცადა პარტია „საქართველოსთვის“ წევრის ავტომობილით დაჯახებას; შემთხვევის შესახებ პოლიცია ინფორმირებულია. 22 ოქტომბერს, ზუგდიდში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტის ავტომობილს ქვები დაუშინეს. 23 ოქტომბერს, თბილისში, პარტია „საქართველოსთვის“ წევრს ჯგუფურად დაესხნენ თავს. 4 სექტემბერს, წყალტუბოში „ქართული ოცნების“ წევრი გარდაიცვალა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერის მიერ

იკავებდნენ არჩევნებთან დაკავშირებული ინციდენტების პოლიციისთვის შეტყობინებისგან, რადგან მიიჩნევდნენ, რომ სამართალდამცავი ორგანოები არ აჩვენებდნენ ინციდენტების გამოძიების სურვილს.

ხელისუფლებამ, საჭიროა, პროაქტიული ღონისძიებები გაატაროს, რათა თავიდან აიცილოს ამომრჩეველთა დაშინება, საჯარო მოხელეებზე ზეწოლა, ხმების მოსყიდვა და საარჩევნო ძალადობა, ასევე უზრუნველყოს ამომრჩეველების ინფორმირებულობა მათი უფლებების შესახებ. აღნიშნული შემთხვევების დაფიქსირებისას, აუცილებელია, მათზე სწრაფი რეაგირება, რათა უზრუნველყოფილი იყოს ეფექტური სამართლებრივი დაცვა და პასუხისმგებელი პირები კანონის წინაშე წარდგნენ.

საარჩევნო სუბიექტები წინასაარჩევნო კამპანიისთვის ტრადიციულ მეთოდებსა და ონლაინ აგიტაციას იყენებდნენ, თუმცა კამპანიის ღონისძიებები მთელი პერიოდის განმავლობაში ნაკლებხმაურიან გარემოში წარიმართა.⁶³ მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურ პარტიათა უმრავლესობამ თავიანთ პლატფორმებში სოციალური და ეკონომიკური საკითხები შეიტანა, წინასაარჩევნო გზავნილები უმეტესწილად გეოპოლიტიკური თემებით იყო გაჯერებული.⁶⁴ მმართველი პარტიის წარმომადგენლებმა ღიად განაცხადეს არჩევნების შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანის განზრახვის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რეგისტრაციის გაუქმებას, რაც მათი შეფასებით, პარტიის „დამანგრეველ პოლიტიკურ ხედვებს“ უკავშირდებოდა; ამასთან, საჯაროდ გაკეთდა განცხადებები ძირითადი ოპოზიციური პარტიების აკრძალვის შესაძლებლობის შესახებ, რაც ეწინააღმდეგება ეუთოს

მიყენებული სიტყვიერი შეურაცხყოფის შემდეგ. პარტიების „ახალი“, „საქართველოსთვის“ და „ძლიერი საქართველო - ლელო“ ლიდერებსა და აქტივისტებს დედოფლისწყაროში, გურჯაანში, თბილისსა და ქარელში კარდაკარის დროს შეურაცხყოფა მიყენეს. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისები ბათუმში, ქედამი, თბილისსა და ზესტაფონში დაარბიეს, დააზიანეს და გამარცხეს. ჩხოროწყუში, სავარაუდოდ, პარტია „საქართველოსთვის“ წევრმა „ქართული ოცნების“ აქტივისტის ავტომობილი დააზიანა.

⁶³ ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის გრძელვადიანმა დამკვირვებლებმა 20 მუნიციპალიტეტში 50 წინასაარჩევნო ღონისძიებას დააკვირდნენ, რომლებიც ექვსი საარჩევნო სუბიექტის მიერ იყო ორგანიზებული. მათი შეფასებით, წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიებათა დაახლოებით 88 პროცენტი ხელმისაწვდომი იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე, ზოგიერთმა პარტიამ დასკვნითი შეკრებები გამართა, რომლებსაც ათობით ათასი ადამიანი დაესწრო. 20 ოქტომბერს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა და ოპოზიციურმა პარტიებმა ევროკავშირში ინტეგრაციის მხარდამჭერი ერთობლივი მსვლელობა გამართეს, რომელზეც პრეზიდენტმა სიტყვით მიმართა მონაწილეებს. 23 ოქტომბერს, „ქართული ოცნების“ დასკვნით აქციას რეგიონებიდან ჩამოსული მოქალაქეების ფართო აუდიტორია ესწრებოდა. ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ მიიღო არაერთი შეტყობინება, რომლის მიხედვითაც საჯარო სექტორში დასაქმებულებს აღნიშნულ შეკრებაში მონაწილეობა დაევალოთ ან იძულებულები იყვნენ დასწრებოდნენ აქციას.

⁶⁴ მმართველმა პარტიამ არჩევნები მშვიდობასა და ომს შორის არჩევანად წარმოაჩინა, სადაც მშვიდობას „ქართული ოცნება“ განასახიერებდა, ხოლო ომს – ოპოზიცია. ოპოზიციური პარტიების უმეტესობამ კი ეს არჩევნები საქართველოს გეოპოლიტიკური კურსის განსაზღვრის რეფერენდუმად შეაფასა და გგამოთქვეს შიში, რომ მთავრობის პოლიტიკა ევროკავშირში გაწევრიანებას, რომელიც ქვეყნის კონსტიტუციური მიზანია, ხელს შეუშლიდა და მხარი დაუჭირეს „ქართულ ქარტიას“, რომელიც პრეზიდენტმა 2024 წლის მაისში წარადგინა და რომლის გამოცხადებული მიზანი იმ კანონების დაუყოვნებელი გაუქმება იყო, რომლებიც „ევროპულ გზას ეწინააღმდეგება“.

ავალდებულებებით განსაზღვრულ დემოკრატიული პლურალიზმის პრინციპს.⁶⁵ ქვეყნის პრეზიდენტი აქტიურად ჩაერთო წინასაარჩევნო პროცესში, ოპოზიციურ პარტიებთან გამართა საჯარო კონსულტაციები წინასაარჩევნო კოალიციების შექმნასა და პოტენციური მთავრობის შემადგენლობის შესახებ, რაც მისი მანდატის, ანუ სახელმწიფო უწყებებს შორის ნეიტრალური არბიტრის როლის შემსრულებლის, ფარგლებს შესაძლოა სცდებოდა.⁶⁶ გარდა ამისა, მმართველმა პარტიამ გააკრიტიკა სამოქალაქო საზოგადოების არაერთი ორგანიზაცია, რომლებიც, მათი შეფასებით, ოპოზიციის მხარდამჭერ საარჩევნო კამპანიაში აქტიურად მონაწილეობდნენ.⁶⁷

პოლიტიკური პარტიების პროგრამებში მკაფიოდ იკვეთებოდა ქალებისთვის განკუთვნილი წინასაარჩევნო გზავნილების ნაკლებობა. „ძლიერი საქართველო – ლელოს“ ქალმა კანდიდატებმა საჯაროდ წამოჭრეს ისეთი საკითხები, როგორცაა გენდერული თანასწორობა, გენდერული კვოტირება და სახელფასო სხვაობა, ხოლო „ქართულმა ოცნებამ“ წინასაარჩევნო კამპანიაში ყურადღება ტრადიციულ ოჯახურ ღირებულებებზე გამახვილა. ქალებს კანდიდატების რანგში შეზღუდული ხილვადობა ჰქონდათ – დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მიერ დაკვირვებული 50 წინასაარჩევნო ღონისძიებიდან, ქალი მომხსენებლები მხოლოდ 20 ღონისძიებაზე გამოვიდნენ სიტყვით, ხოლო დაკვირვების არეალში მოქცეულ შეკრებებზე ქალები მონაწილეთა 42 პროცენტს შეადგენდნენ. სამაუწყებლო მედიაში მთავარი ახალი ამბების ფარგლებში ქალი პოლიტიკური აქტორების წარმომადგენლობის წილი 8 პროცენტიდან (ტელეკომპანია „იმედი“) 28 პროცენტამდე (ტელეარხი „TV პირველი“) მერყეობდა.

სასურველია, ხელისუფლებამ გადადგას საჭირო ნაბიჯები, საჯარო და პოლიტიკურ ცხოვრებაში გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად და ქალებისთვის თანაბარი შესაძლებლობები უზრუნველყოს საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობისთვის,

⁶⁵ [კოპენჰაგენის 1990 წლის დოკუმენტის](#) 7.6 პარაგრაფი მონაწილე სახელმწიფოებს ავალდებულებს „პატივისცენ ინდივიდებისა და ჯგუფების უფლება, სრულ თავისუფლებაში შექმნან საკუთარი პოლიტიკური პარტიები [...] და უზრუნველყონ [...] გარანტიები, რათა მათ შეეძლოთ ერთმანეთთან კონკურენცია კანონისა და ხელისუფლების წინაშე თანაბარი მოპყრობის პირობებში“.

⁶⁶ კონსტიტუციის 49-ე მუხლის თანახმად, პრეზიდენტი არის „ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი“. კონსტიტუციის 56-ე მუხლის მიხედვით, მთავრობის ფორმირება პრეზიდენტის მანდატს სცდება, რადგან პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს პარლამენტს სთავაზობს ის პარტია, რომელმაც არჩევნებში ყველაზე მეტი მანდატი მოიპოვა. 2023 წლის [საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში](#) პრეზიდენტი აღწერილია, როგორც „პოლიტიკურად ნეიტრალური ფიგურა, რომელსაც არ აქვს პოლიტიკური ძალაუფლება [და] ასრულებს სიმბოლურ როლს ხელისუფლების შტოებს შორის არბიტრის სახით“. პრეზიდენტმა პრეზიდენტმა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას აცნობა, რომ მოქმედებდა კონსტიტუციის 78-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც ავალდებულებს სახელმწიფო ორგანოებს მიიღონ ზომები „საქართველოს ევროკავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად“.

⁶⁷ სხვადასხვა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის ინდივიდუალურ წევრებს საჯაროდ გამოუხატავთ მხარდამჭერა სხვადასხვა ოპოზიციური პარტიის მიმართ, მათ შორის ფინანსური შემოწირულობების გზით. „ქართულმა ოცნებამ“ განაცხადა, რომ ზოგიერთი სამოქალაქო ორგანიზაციის რიტორიკა ოპოზიციის ნარატივს იმეორებდა.

კონკრეტული, გაზომვადი და მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზნების და ამოცანების დასახვით. მიზანშეწონილია, განხილულ იქნას დამატებითი სპეციალური ზომების შემოღება, რომლებიც პოლიტიკურ პარტიებს ქალ კანდიდატების მხარდაჭერისკენ წახალისებს.

მოსახლეობის დაახლოებით 80 პროცენტს ინტერნეტზე წვდომა აქვს, ხოლო თითქმის ყველა იყენებს სოციალურ ქსელებს, განსაკუთრებით Facebook-ს, რომელიც ტელევიზიის შემდეგ ინფორმაციის მიღების მეორე ყველაზე მნიშვნელოვან წყაროდ ითვლება.⁶⁸ სიტყვის თავისუფლების ზოგადი საკანონმდებლო დებულებების გარდა, კანონმდებლობა არ არეგულირებს წინასაარჩევნო კამპანიას სოციალურ ქსელებში. არჩევნების წინა პერიოდში, სახელმწიფო ინსტიტუტებმა და მეთვალყურე ორგანიზაციებმა გამოხატეს შეშფოთება, რომ დეზინფორმაცია შესაძლოა საარჩევნო პროცესზე გავლენას ახდენდეს.⁶⁹ წინასაარჩევნო კამპანიის დროს, ფაქტების გადამოწმების ორგანიზაციებმა გამოავლინეს კოორდინირებული დეზინფორმაციის შემთხვევები. ამის მაგალითებია ანონიმური სოციალური ქსელების ანგარიშებიდან გავრცელებული ყალბი სიახლეები ან მანიპულაციური მასალები, რომლებიც ზოგჯერ სექსისტური ან ჰომოფობიური ხასიათის იყო და მიზნად ისახავდა წამყვანი ოპოზიციური კანდიდატების დისკრედიტაციას, ასევე, ცრუ მტკიცებები, რომ საარჩევნო ტექნოლოგიები ამომრჩეველთა არჩევანს გაამყდებდა.⁷⁰ ხელისუფლების მხრიდან აღნიშნული შემთხვევების მოგვარების მცდელობები არ დაფიქსირებულა.

ყველა საარჩევნო სუბიექტი აქტიურად აწარმოებდა კამპანიას სოციალურ ქსელებში, სადაც ყველაზე ხშირად „ძლიერი საქართველო – ლელო“, „კოალიცია ცვლილებისთვის“ და

⁶⁸ [2023 წლის IRI-ის საქართველოს საზოგადოებრივი აზრის კვლევის](#) მიხედვით, რესპონდენტების 53 პროცენტი ინფორმაციის წყაროდ სოციალურ ქსელებს ასახელებდა, ხოლო მათგან 91 პროცენტი მთავარ პლატფორმად Facebook-ს მიიჩნევდა.

⁶⁹ სექტემბერში ფაქტების გადამოწმებისა და დეზინფორმაციის გამომიების პლატფორმა *Myth Detector*-მა ახლადშექმნილი Facebook გვერდების გამოჩენის შესახებ [განაცხადა](#), რომლებიც პოლიტიკური პარტიების დისკრედიტაციას ისახავდნენ მიზნად. აგვისტოში *Meta*-მ [გამოაცხადა](#), რომ გააუქმა კოორდინირებული და არავთენტური ქცევის ქსელი, რომელიც რუსეთის ფედერაციიდან მოქმედებდა და საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დისკრედიტაციას ისახავდა მიზნად. 15 ოქტომბერს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გაავრცელა [განცხადება](#), რომლის მიხედვითაც „შინაგან პოლიტიკურ აქტორებთან დაკავშირებული ჯგუფები“ არჩევნების წინ ხელოვნური ინტელექტით მანიპულირებული მასალების გავრცელებას გეგმავდნენ „არეულობის გამოწვევის მიზნით“.

⁷⁰ იხილეთ *GRASS*-ის პროექტის *FactCheck*-ის [ანგარიშები](#) საარჩევნო პერიოდში გავრცელებული [ყალბი ინფორმაციის](#), [დეზინფორმაციისა](#) და [მანიპულაციური კონტენტის](#) შესახებ, აგრეთვე *Myth Detector*-ის ფაქტების გადამოწმების ანგარიშები. ორივე ორგანიზაცია ხელს აწერს საერთაშორისო [ფაქტების გადამოწმების ქსელის](#) (*International Fact-Checking Network*) [პრინციპებს](#) და *Meta*-ს [ფაქტების გადამოწმების პროგრამის](#) პარტნიორია. 9 ნოემბერს *ISFED*-მა [გაავრცელა ინფორმაცია](#) 7 ყალბი და 15 საეჭვო Facebook პროფილის შესახებ, რომლებიც საარჩევნო დარღვევებზე გავრცელებულ ინფორმაციას ამცირებდნენ და ცესკოს ნარატივს აძლიერებდნენ. ცესკომ უარყო რაიმე კავშირი აღნიშნულ პროფილებთან და ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული ანგარიში შეაფასა, როგორც საარჩევნო ადმინისტრაციის რეპუტაციის მიზანმიმართული დაზიანების მცდელობა.

„ქართული ოცნება“ აქვეყნებდნენ პოსტებს.⁷¹ „ქართული ოცნებასთან“ დაკავშირებული გზავნილები ყველაზე მაღალ ჩართულობას იწვევდა, ხოლო კამპანიის ძირითადი თემები ევროკავშირში ინტეგრაციას, ეკონომიკას და ადგილობრივ საკითხებს მოიცავდა. სამი ოპოზიციური კოალიცია კოორდინირებულად ავრცელებდა თავის გზავნილებს პარტიებისა და ლიდერების ანგარიშების მეშვეობით, რომლებიც ხშირად აკრიტიკებდნენ მთავრობას. ოფიციალურ ანგარიშებზე რიტორიკის ტონი ძირითადად ნეიტრალური იყო, ცილისმწამებლური და დამამცირებელი შინაარსის შემცველი პოსტები კი იშვიათად ფიქსირდებოდა.⁷² „ქართული ოცნების“ სოციალურ ქსელში განთავსებული კონტენტი ნაკლებად აღრმავებდა განხეთქილებას, ვიდრე პარტიის სხვა საარჩევნო კამპანიის კომუნიკაციები. ძირითადი საარჩევნო სუბიექტები, ასევე, აქტიურად იყენებდნენ ფასიან ონლაინ რეკლამებს.⁷³

X. წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება

წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების საკითხებს არეგულირებს კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ და საარჩევნო კოდექსი, რასაც ერთვის ანტიკორუფციული ბიუროს მიერ შემუშავებული რეგულაციები. 2023 წელს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის წარსულში გაცემული ზოგიერთი რეკომენდაციის შესაბამისად, შემცირდა პოლიტიკური პარტიების ყოველწლიური ხარჯების ზედა ზღვარი და აიკრძალა იურიდიული პირებისგან შემოწირულობების მიღება. თუმცა, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოების ჯგუფის (GRECO) მიერ წარსულში გაცემული რეკომენდაციებიდან რამდენიმე კვლავ შეუსრულებელი დარჩა, მათ შორის მესამე მხარის მიერ წარმოებული წინასაარჩევნო კამპანიის მკაფიო რეგულირების აუცილებლობა და წინასაარჩევნო კამპანიის შუალედური ფინანსური ანგარიშების დასკვნების კენჭისყრამდე გამოქვეყნებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმების დანერგვა.⁷⁴

⁷¹ 20 სექტემბრიდან 26 ოქტომბრის ჩათვლით, ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ Facebook-ზე, Instagram-ზე და TikTok-ზე 60-ზე მეტი საარჩევნო სუბიექტისა და პროცესში ჩართული მხარის აქტივობების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მონიტორინგი განახორციელა.

⁷² „ქართულმა ოცნებამ“ გაავრცელა ვიდეო, რომელიც ოპოზიციური პოლიტიკოსების დამონტაჟებულ განცხადებებს შეიცავდა, რითაც მიანიშნებდა, თითქოს ისინი ომს უჭერდნენ მხარს.

⁷³ კანონის თანახმად, ონლაინ რეკლამა უნდა აისახოს საარჩევნო კამპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში. შუალედური ანგარიშების მონაცემებით, პოლიტიკური პარტიების მიერ ონლაინ რეკლამაზე გაწეული ხარჯები 2.7 მილიონი ლარი იყო, საიდანაც „ქართულმა ოცნებამ“ დახარჯა 820,000 ლარი, „ძლიერმა საქართველომ – ლელომ“ 788,000 ლარი, ხოლო „ახალმა“ – 733,000 ლარი. [Meta Ad Library](#)-ის მონაცემებით, არჩევნებამდე ბოლო 30 დღის განმავლობაში ყველაზე მეტი თანხა ფასიან რეკლამაში „ახალის“ და „ქართული ოცნების“ ოფიციალურმა Facebook ანგარიშებმა დახარჯეს (70,000 ევრო და 60,200 ევრო, შესაბამისად), რასაც მოჰყვებოდა „ძლიერი საქართველო – ლელო“ 45,900 ევრო, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 32,200 ევრო და „გირჩი – მეტი თავისუფლება“ 31,000 ევრო.

⁷⁴ გარდა ამისა, [2023 წლის 23 აგვისტოს ანტიკორუფციული ბიუროს რეგულაცია პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობის შესახებ](#) არ ასახავს კანონმდებლობაში შეტანილ ბოლო ცვლილებებს, რომლებიც უკავშირდება საარჩევნო ბლოკების შექმნის აკრძალვას და იურიდიული პირებისგან შემოწირულობების მიღების შეზღუდვას.

A. შემოსავალი და ხარჯები

წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება შესაძლებელია როგორც საჯარო, ისე კერძო წყაროებიდან. პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ბოლო საპარლამენტო არჩევნებში ერთპროცენტთან ზღვარს გადალახავენ, ყოველწლიურად იღებენ საჯარო დაფინანსებას, რაც მათ მიერ მიღებული ხმების რაოდენობის პროპორციულია.⁷⁵ წინასაარჩევნო კამპანიების დაფინანსება ასევე შეიძლება განხორციელდეს ფიზიკური პირების მიერ გაღებული ფულადი ან არასამეწარმეო სახის შემოწირულებებით. მოქალაქეებს შეუძლიათ წლიურად გაიღონ არაუმეტეს 60,000 ლარის ოდენობის შემოწირულება.⁷⁶ იურიდიული, უცხოური, ანონიმური, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული და რელიგიური ორგანიზაციების მიერ გაღებული შემოწირულებები, ისევე როგორც ნაღდი ფულით გაღებული შემოწირულებები, აკრძალულია.

მმართველ პარტიას მნიშვნელოვანი ფინანსური უპირატესობა ჰქონდა კონკურენტებთან შედარებით. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, მან პოლიტიკური პარტიებისთვის განკუთვნილი წლიური ბიუჯეტის 41 პროცენტი მიიღო. 2024 წელსაც მან ყველაზე მეტი შემოწირულება მიიღო, რომელიც სხვა საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებულ შემოწირულებებს მნიშვნელოვნად აღემატებოდა.⁷⁷ რამდენიმე ოპოზიციურმა პარტიამ წინასაარჩევნო ბიუჯეტების შეზღუდულობაზე ისაუბრა, რაც შემოწირულებების ნაკლებობამ კიდევ უფრო გაამწვავა. მათი თქმით, ეს გამოწვეული იყო ამომრჩეველთა ეკონომიკური სირთულეებით და ხელისუფლების მხრიდან ამომრჩეველზე შესაძლო დაკვირვების შიშით. ანტიკორუფციულმა ბიურომ ყველა პოლიტიკური შემოწირულების დაახლოებით 75 პროცენტი შეისწავლა, რათა შემომწირველთა ფინანსური შესაძლებლობები დაედგინა.⁷⁸

2022 და 2023 წლებში მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით, პოლიტიკური პარტიების ყოველწლიური დანახარჯების ზედა ზღვარი ეროვნული მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 0.1 პროცენტიდან 0.04 პროცენტამდე შემცირდა, რაც 2024 წლისთვის 32

⁷⁵ 2020 წლის არჩევნების შემდეგ, 12.5 მილიონი ლარის წლიური განაწილება განხორციელდა 14 პარტიას შორის. 2021 წელს პოლიტიკურ გაერთიანებათა შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად, სახელმწიფო დაფინანსება აღარ ეკუთვნის იმ პარტიებს, რომლებიც ვერ ითვისებენ მათ მიერ მოპოვებული საპარლამენტო მანდატების ნახევარზე მეტს, ხოლო დაფინანსება ექვსი თვით უჩერდებათ იმ პარტიებს, რომელთა წევრთა ნახევარი საპარლამენტო სესიებს დაუსაბუთებლად არ ესწრება. ამ ცვლილებების შედეგად, ორი პარტია სახელმწიფო დაფინანსების მიღების უფლების გარეშე დარჩა.

⁷⁶ 1 ევრო დაახლოებით 3 ლარის ტოლფასია.

⁷⁷ „ქართული ოცნება“ წლიურად 5.2 მილიონ ლარს იღებდა, რასაც მოჰყვებოდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 2.2 მილიონი ლარით და „ევროპელი საქართველო“ 1.1 მილიონი ლარით. ანტიკორუფციული ბიუროს 2024 წლის 25 ოქტომბრის [მონაცემებით](#), „ქართულმა ოცნებამ“ 2024 წელს 14.5 მილიონი ლარი მოაგროვა, მეორე ადგილზე იყო „ახალი“ 9.5 მილიონი ლარით, ხოლო „ძლიერი საქართველო – ლელომ“ 6.6 მილიონი ლარი მოიზიდა.

⁷⁸ ანტიკორუფციული ბიუროს [ანგარიშის](#) თანახმად, 2024 წელს 16 პოლიტიკური პარტიისთვის გაღებული 1,190 შეწირულობა გადამოწმების პროცესშია. „ევროპული საქართველო“, „თაობები საქართველოსთვის“, „ქართული ოცნება“, „საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია“ და „სახალხო პარტია“ ის სუბიექტებია, რომლებსთვისაც ანტიკორუფციულმა ბიურომ ყველა მიღებული შეწირულობის გადამოწმება გადაწყვიტა.

მილიონ ლარს შეადგენდა. წინასაარჩევნო ფინანსური ანგარიშების მიხედვით, ყველა საარჩევნო სუბიექტის ხარჯი ამ ლიმიტს მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა. ყველაზე მეტი თანხა „ქართულმა ოცნებამ“ და „ახალმა“ დახარჯეს – შესაბამისად, 23.4 მილიონი და 10 მილიონი ლარი.

B. ფინანსების გამჭვირვალობა და ზედამხედველობა

2023 წლიდან პარტიებისა და წინასაარჩევნო კამპანიის ფინანსების ზედამხედველობა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ნაცვლად ახლადშექმნილ ანტიკორუფციულ ბიუროს (ACB) გადაეცა. ბიუროს აქვს დამოუკიდებელი ბიუჯეტი და საგრძნობლად გაზრდილი ადამიანური რესურსები წინა ზედამხედველობით ინსტიტუტთან შედარებით. თუმცა, ის არ არის კოლეგიური ორგანო – კანონით, ბიუროს წარმოადგენს მხოლოდ მისი ხელმძღვანელი, რომელიც უფლებამოსილია უწყების სახელით გადაწყვეტილებების მიღებაზე. ხელმძღვანელს ექვსწლიანი ვადით ნიშნავს პრემიერ-მინისტრი, თუმცა დანიშვნის პროცედურა სრულად ვერ უზრუნველყოფს ბიუროს დამოუკიდებლობას და ვერ იცავს მას შესაძლო პოლიტიკური გავლენისგან.⁷⁹

ანტიკორუფციული ბიუროსა და მისი გადაწყვეტილებების პოლიტიკური გავლენისგან სრული დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, საჭიროა ბიუროს ხელმძღვანელის დანიშვნის მექანიზმისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის გადახედვა.

პოლიტიკურ პარტიებს მოეთხოვებათ ყოველწლიური ფინანსური ანგარიშების წარდგენა და ანტიკორუფციული ბიუროს მიერ მოთხოვნილ ინფორმაციაზე პასუხის გაცემა.⁸⁰ მიუხედავად იმისა, რომ ანტიკორუფციულ ბიუროს საგამომიებო უფლებამოსილება არ აქვს, მას შეუძლია რეაგირება მოახდინოს როგორც წარდგენილ, ასევე მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე.⁸¹ ბიუროს უფლებამოსილება აქვს შეადგინოს

⁷⁹ ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელს პრემიერ-მინისტრი ირჩევს ექვსი წლის ვადით, იმ კანდიდატებიდან, რომლებიც კომისიამ შეარჩია და რომელიც შედგება სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებისა და ერთი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის წარმომადგენლისგან. ვენეციის კომისიამ [2023 წლის დასკვნაში, რომელიც ეხებოდა ანტიკორუფციული ბიუროს შესახებ კანონის დებულებებს](#), აღიარა, რომ შერჩევის პროცესში კონკურენციის ელემენტი არსებობდა, თუმცა აღნიშნა, რომ კომისიის შემადგენლობა, რომელშიც დომინირებდნენ პოლიტიკური უმრავლესობის წარმომადგენლები, „არ იყო საკმარისად პლურალისტური“. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის [Rec\(2003\)4](#)-ის 14-ე მუხლი თანახმად, წევრ სახელმწიფოებში პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო კამპანიების დაფინანსებასთან დაკავშირებით კორუფციის წინააღმდეგ მოქმედი საერთო წესების ფარგლებში „სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო კამპანიების დაფინანსების დამოუკიდებელი მონიტორინგი“. ODIHR-ისა და ვენეციის კომისიის, 2020 წლის [ერთობლივი სახელმძღვანელო მითითებების პოლიტიკური პარტიების რეგულაციების შესახებ](#), 277-ე პარაგრაფი კი რეკომენდაციას იძლევა, რომ „წევრთა დანიშვნის პროცედურა საგულდაგულოდ უნდა დაიგეგმოს, რათა თავიდან იქნას აცილებული პოლიტიკური ზეგავლენა წევრებზე“.

⁸⁰ ანტიკორუფციულ ბიუროს შეუძლია მიიღოს შეტყობინებები როგორც იურიდიული პირებისგან, ასევე ფიზიკური პირებისგან. ბიურომ ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას აცნობა, რომ ზოგიერთი სამოქალაქო ორგანიზაცია არ გამოეხმაურა მის მზადყოფნას თანამშრომლობაზე.

⁸¹ ACB-მა ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას აცნობა, რომ პარტიათა ანგარიშების სიზუსტეს ამოწმებს თავისი ექვსი სავალე მონიტორისა და მედია მონიტორინგის მონაცემებთან

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელიც შეუძლია სანქციების გამოწვევა, სასამართლოს დასტურის შემთხვევაში.⁸² კანონი პარტიების ფინანსებისა და საარჩევნო ხარჯების მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოებისთვის, ანტიკორუფციული ბიუროსთვის, სამთვიან ვადას აწესებს, რომელიც შესაძლებელია იმავე პერიოდით გახანგრძლივდეს, თუმცა ამ პროცესზე მოქმედებს ზოგადი ადმინისტრაციული წარმოების წესები,⁸³ რაც ამ მექანიზმის ეფექტურობას ზღუდავს. ბიუროს კენჭისყრამდე არც ერთი პარტიის მიმართ არ გამოუყენებია სანქციები საარჩევნო დაფინანსების დარღვევებზე, რაც ფინანსური მონიტორინგის სირთულით ახსნა. ამან შესაძლოა შეუმოწმებლად დატოვოს ისეთი საკითხები, როგორცაა შემოწირულებების ლიმიტების გვერდის ავლა და საარჩევნო ხარჯების არასრულად დეკლარირება.⁸⁴ რამდენიმე ოპოზიციურმა პარტიამ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიას აცნობა, რომ მათი ლიდერების ფინანსები ანტიკორუფციული ბიუროს შემოწმების ობიექტი გახდა, რაც მათთვის ზედამხედველობის პროცესის შერჩევით, თვითნებურ, დანერგვად აღიქმებოდა.⁸⁵

გამჭვირვალობის ხელშეწყობად და ყველა პოლიტიკური პარტიის მიმართ თანაბარი ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად, ანტიკორუფციულმა ბიურომ, სასურველია, შეიმუშაოს მკაფიო რეგულაციები, რომლებიც განსაზღვრავს პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის პროცედურებსა და მეთოდოლოგიას.

საარჩევნო სუბიექტები ვალდებულნი არიან, საარჩევნო კამპანიის ფინანსური ანგარიშები ანტიკორუფციულ ბიუროს წარუდგინონ ყოველ სამ კვირაში არჩევნების გამოცხადების

შედარებით. ACB-ს ასევე აქვს უფლება გამოიძახოს პირები გასაუბრებისთვის ან სასამართლოს მაგისტრატის წინაშე წარდგენის მოთხოვნის გზით მოითხოვოს ინფორმაცია.

⁸² კანონი უზრუნველყოფს დაჩქარებული პროცედურების გამოყენებას წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში, რაც გულისხმობს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების განხილვას, რომლებიც ანტიკორუფციულმა ბიურომ (ACB) წარადგინა, ასევე სასამართლოს გადაწყვეტილებების გასაჩივრებას.

⁸³ კანონი პარტიებისა და წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებასა და ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებულ დარღვევებზე პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის ექვსწლიან ვადას აწესებს. აღნიშნული არჩევნების დაწყებამდე, ანტიკორუფციულმა ბიურომ (ACB) მხოლოდ ერთი საჩივარი მიიღო პოლიტიკური პარტიების ფინანსებთან დაკავშირებით, რომელიც არჩევნების დღემდე განხილვის პროცესში რჩებოდა. ბიურომ ასევე მიიღო შეტყობინებები კომუნიკაციების კომისიისგან (ComCom) მაუწყებლების მიერ წინასაარჩევნო რეკლამისთვის უფასო საეთერო დროის, სხვა საარჩევნო სუბიექტისთვის, შესაძლო დათმობასთან დაკავშირებით, რომლებიც ასევე განხილვის ეტაპზე იმყოფებოდა.

⁸⁴ წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში, ანტიკორუფციულმა ბიურომ (ACB) ხუთი კანდიდატი დააჯარიმა, კანონის მოთხოვნის შესაბამისად ქონებრივი დეკლარაციების წარდგენის ვალდებულების შეუსრულებლობის გამო.

⁸⁵ „კოალიცია ცვლილებებისთვის“, „ძლიერი საქართველო - ლელო“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებმა ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას აცნობეს, რომ მათი ფინანსური საქმიანობა ანტიკორუფციული ბიუროს (ACB) გამოძიების პროცესში იყო. ODIHR-ის [2013 წლის სახელმძღვანელოს „საარჩევნო პროცესის სამართლებრივი ჩარჩოს განხილვის კრიტერიუმები“](#) 11.4 მუხლის თანახმად, „აუდიტის პარამეტრები მკაფიოდ უნდა განისაზღვროს და თანაბრად იქნეს გამოყენებული ყველა ანგარიშთან მიმართებით, რათა თავიდან იქნას აცილებული მიკერძოებული აუდიტი, რომელიც კონკრეტული კანდიდატისა თუ პარტიის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ შეიძლება იყოს გამოყენებული“.

შემდეგ, ხოლო საბოლოო ანგარიშები უნდა წარადგინონ საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან ერთ თვეში.⁸⁶ ყველა საარჩევნო სუბიექტმა დროულად წარადგინა შუალედური ფინანსური ანგარიშები, რომლებიც ანტიკორუფციულმა ბიურომ მისიერად გაასაჯაროვა ინტერნეტით.⁸⁷ ანგარიშები დეტალიზაციის დონით განსხვავდებოდა ერთმანეთისგან და მხოლოდ დასკანერებული დოკუმენტების სახით იყო ხელმისაწვდომი, რაც ართულებდა მონაცემთა გარე ანალიზს.⁸⁸ მიუხედავად იმისა, რომ ეს კანონით სავალდებულო არ იყო, ანტიკორუფციულმა ბიურომ კენჭისყრამდე ერთი დღით ადრე გამოაქვეყნა წინასაარჩევნო კამპანიის შუალედური ფინანსური ანგარიშების შესახებ დასკვნები, თუმცა ისინი შეიცავდა მხოლოდ შეზღუდულ ანალიზს საარჩევნო სუბიექტების ფაქტობრივი ფინანსური საქმიანობის შესახებ.⁸⁹ საერთო ჯამში, ანგარიშების არსებული სისტემა და რეალური ზედამხედველობის შეზღუდული მექანიზმები არ უწყობდა ხელს წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების ეფექტიან მონიტორინგს.

მიზანშეწონილია განიხილოს ფინანსური გამჭვირვალობის სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს პოლიტიკური პარტიების ანგარიშების ფორმატების ერთგვაროვნებას და ამ მონაცემების ხელმისაწვდომ და მარტივად აღსაქმელ ფორმატში წარდგენას, რითიც გაძლიერდება საზოგადოებრივი ზედამხედველობის მექანიზმები.

ანტიკორუფციულმა ბიურომ მესამე მხარის მიერ წარმოებული წინასაარჩევნო კამპანიის შესახებ არსებული დებულებები ისე განმარტა, რომ ამან შესაძლოა გამოხატვის თავისუფლებას შეზღუდვის საფრთხე შეუქმნა, თუმცა აღნიშნული მიდგომა

⁸⁶ სახელმწიფო დაფინანსების უფლების მქონე პარტიები ვალდებული არიან არჩევნების დანიშნვიდან კენჭისყრის დღემდე პერიოდში გაწეული ხარჯების შესახებ ანგარიში კენჭისყრიდან 12 დღის ვადაში წარმოადგინონ.

⁸⁷ პირველი შუალედური ანგარიში ყველა, 27-ვე პოლიტიკურმა პარტიამ წარმოადგინა, რომელიც საარჩევნო სუბიექტად იყო რეგისტრირებული, ხოლო მეორე და მესამე ანგარიშები – 18-ვე პარტიამ, რომელმაც კანდიდატთა სია წარადგინა. თუმცა, პარტია „ჩვენ“-მა მესამე შუალედური ანგარიში ვადაგადაცილებით ჩააბარა. წინასაარჩევნო კამპანიის შუალედური ფინანსური ანგარიშის [შაბლონი](#) მოიცავს 19 ფორმას, რომლებშიც უნდა აისახოს ინფორმაცია შემოწირულობების, საწევრო შენატანების, სესხების, პერსონალის ანაზღაურების, საქმიანი ვიზიტებისა და სარეკლამო ხარჯების, ასევე არამატერიალური აქტივებისა და უძრავი ქონების, სატრანსპორტო საშუალებებისა და დაქირავებული ან არენდით აღებული ქონების რეესტრების შესახებ.

⁸⁸ [პოლიტიკური პარტიების რეგულირების ერთობლივი სახელმძღვანელო](#) მითითებების 258-ე პარაგრაფის მიხედვით, „ინფორმაციის დიგიტალიზაცია და მისი რეგულირების ორგანოსთვის ციფრულ, მარტივად საძიებოდ და ხელახლა გამოყენებად ფორმატში წარდგენა ხელს უწყობს ზედამხედველობას და ამით მინიმუმამდე ამცირებს ქალაქდზე დაფუძნებული პროცედურების საჭიროებას“.

⁸⁹ ანტიკორუფციული ბიუროს (ACB) [ანგარიშის](#) თანახმად, 2024 წელს სააგენტომ დაიწყო 35 ადმინისტრაციული წარმოება, რომელიც პოლიტიკურ პარტიებსა და წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებას უკავშირდებოდა. ბიურომ ასევე შუალედური ფინანსური ანგარიშების განმარტებები მოითხოვა შემდეგი საარჩევნო სუბიექტებისგან: „ახალი“, „ქართული ოცნება“, „სტრატეგია აღმაშენებელი“, „ძლიერი საქართველო - ლელო“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. გარდა ამისა, ანგარიშში წარმოდგენილი იყო ინფორმაცია შემოწირულობების გადამოწმებისა და „გაცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე სუბიექტებთან“ დაკავშირებული გადაწყვეტილებების შესახებ.

თანმიმდევრულად არ გავრცელებულა ყველა არასაარჩევნო სუბიექტის კამპანიაზე.⁹⁰ წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას, ანტიკორუფციულმა ბიურომ რამდენიმე იურიდიული და ფიზიკური პირი „გაცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე სუბიექტებად“ დაასახელა, იმ მიზეზით, რომ ისინი კამპანიას ოპოზიციური გზავნილების შესაბამისად აწარმოებდნენ.⁹¹ ასეთი კლასიფიკაციის შედეგად, აღნიშნული ორგანიზაციები დაექვემდებარებოდნენ იმავე ფინანსურ რეგულაციებს, რომლებიც პოლიტიკურ პარტიებს ეხებათ, მათ შორის გარკვეული საქმიანობებისთვის საერთაშორისო დაფინანსების მიღების აკრძალვას.⁹² შესაბამისად, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ (TI Georgia), ამგვარ სტატუსით განსაზღვრული ანტიკორუფციული ბიუროს მიერ, იძულებული გახდა შეეწყვიტა საარჩევნო პროცესზე დაკვირვება. 1 ოქტომბერს, პრემიერ-მინისტრმა, მიუხედავად იმისა, რომ ბიუროს გადაწყვეტილებების კანონიერება დაადასტურა, მოუწოდა მას, გადაეხედა აღნიშნული მიდგომისთვის და წინასაარჩევნო პერიოდში მსგავსი გადაწყვეტილებებისგან თავი შეეკავებინა. 2 ოქტომბერს, ანტიკორუფციულმა ბიურომ ყველა შესაბამისი გადაწყვეტილება გააუქმა „ეროვნული ინტერესების“ გატარების საფუძველით.⁹³ ამასთან, პრემიერ-მინისტრის მოწოდების შემდეგ, ბიურომ რეაგირება აღარ მოახდინა მესამე მხარის

⁹⁰ 2020 წლის ODIHR-ისა და ვენეციის კომისიის [ერთობლივი სახელმძღვანელო მითითებების](#) 256-ე პარაგრაფის თანახმად, „მესამე პირებს უნდა ჰქონდეთ თავისუფლება, შეაგროვონ სახსრები და გამოხატონ მოსაზრებები პოლიტიკურ საკითხებზე, როგორც გამოხატვის თავისუფლების ნაწილი, და მათი საქმიანობა უპირობოდ არ უნდა აიკრძალოს. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ გარკვეული რეგულაციები, რომლებიც მსგავს ვალდებულებებსა და შეზღუდვებს უწესებს, გავრცელდეს იმ მესამე მხარეებზე, რომლებიც საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობენ, რათა უზრუნველყოფილ იქნას გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება.“

⁹¹ კანონი უფლებას აძლევს იმ სუბიექტებს, რომლებიც რეგისტრირებული არ არიან საარჩევნო სუბიექტებად, აწარმოონ წინასაარჩევნო კამპანია, თუ ისინი საჯაროდ განაცხადებენ ხელისუფლებაში მოსვლის განზრახვას, რის შემდეგაც ისინი ექვემდებარებიან წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების რეგულაციებს, როგორც „გაცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე სუბიექტები“. 27 აგვისტოს ანტიკორუფციულმა ბიურომ მოძრაობა „თავისუფლების მოედანი“ და ორგანიზაცია „ადმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის“, მათი დირექტორი და 24 წევრი „გაცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე სუბიექტებად“ [გამოაცხადა](#). 24 სექტემბერს ეს სტატუსი „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ და მისი აღმასრულებელი დირექტორს და ასევე, მოძრაობა „აირჩიე ევროპას“, მის დირექტორსა და საბჭოს წევრებსაც მიენიჭათ. მაშინ, როცა კანონის განმარტების თანახმად „გაცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე სუბიექტი“ არის პირი, რომელიც ხელისუფლებაში მოსვლის სურვილს ღიად აცხადებს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ ამ დებულების ინტერპრეტაცია ფართო ჭრილში განიხილა და ის ნებისმიერ საარჩევნო კამპანიის საქმიანობაზე, მათ შორის რომელიმე საარჩევნო სუბიექტის საწინააღმდეგო კამპანიაზე გავრცელა.

⁹² ანტიკორუფციულმა ბიურომ ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას აცნობა, რომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კვლავაც შეეძლო გრანტების ან საერთაშორისო დონორებისგან სხვა სახის ფინანსური დახმარების მიღება, როგორც არასამთავრობო და მონიტორინგის ორგანიზაციას, თავისი ყოველდღიური საქმიანობისთვის.

⁹³ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას აცნობეს, რომ აღნიშნული სტატუსი შესაძლოა, საარჩევნო მონიტორინგში მონაწილეობის შესაძლებლობას შეზღუდავდა ამ ორგანიზაციებისათვის, ხოლო ანტიკორუფციულ ბიუროს სურდა, თავიდან აეცილებინა საარჩევნო პროცესის დისკრედიტაცია.

მიერ „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ ჩატარებულ საარჩევნო კამპანიაზე.⁹⁴ საერთო ჯამში, ანტიკორუფციულმა ბიურომ და სასამართლომ ფართო დისკრეციული უფლებამოსილება გამოიყენეს მესამე მხარის მიერ წარმოებულ სავარაუდო საარჩევნო კამპანიებზე რეაგირებისას, რაც პოლიტიკურ გავლენაზე მიუთითებს.

გამჭვირვალობის გაძლიერების მიზნით, სასურველია, მესამე მხარის მიერ წარმოებულ წინასაარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული საკანონმდებლო დებულებები განმტკიცდეს და დაზუსტდეს, ხოლო მათი გამოყენება ემყარებოდეს მკაფიო, ობიექტურ და განჭვრეტად კრიტერიუმებს, რათა თავიდან იქნას აცილებული თვითნებური აღსრულება, რამაც შესაძლოა გამოხატვის თავისუფლება ხელყოს.

პარტიებისა და წინასაარჩევნო კამპანიის ფინანსების მონიტორინგისთვის სპეციალიზებული ზედამხედველობის ორგანოს შექმნა შესაბამისობაში იყო დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და GRECO-ს წინა რეკომენდაციებთან. თუმცა, ანტიკორუფციული ბიუროს მიერ საკანონმდებლო დებულებების შერჩევითა და არათანმიმდევრულმა გამოყენებამ გააჩინა ეჭვები მისი პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაციის შესახებ. გარდა ამისა, წინასაარჩევნო კამპანიის ფინანსებზე ზედამხედველობის გამჭვირვალობა და ეფექტიანობა კიდევ უფრო შეზღუდული იყო საკანონმდებლო ხარვეზებით, გასაჯაროებული მონაცემების შეზღუდული ხელმისაწვდომობით, ასევე ბიუროს აუდიტის პროცესში არსებული პროცედურული ბუნდოვანებებითა და არათანმიმდევრულობით.

XI. მედია

დეტალური ინფორმაციის მიღება

A. მედია გარემო

მედია გარემო მრავალფეროვანი, თუმცა ძალზედ პოლარიზებულია, რაც ფართო პოლიტიკური ძალაუფლების მქონე სტრუქტურებს კიდევ უფრო აძლიერებს.⁹⁵ მედიასაშუალებები საქმიანობენ ფინანსურად რთულ გარემოში, სადაც სარეკლამო ბაზრის სიმცირე დამატებით გამოწვევას ქმნის; შედეგად, მედიასაშუალებები მნიშვნელოვნად დამოკიდებულნი არიან პოლიტიკურ და ბიზნესინტერესებზე, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს.⁹⁶ საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს (GPB) და

⁹⁴ სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია „გაერთიანებული ნეიტრალური საქართველო“ აქტიურად ეწეოდა კამპანიას ძირითადი ოპოზიციური პარტიების წინააღმდეგ, ონლაინ ვიდეოებისა და საჯარო განცხადებების მეშვეობით რათა ამომრჩევლები მათი მხარდაჭერისგან გადაერწმუნებინა.

⁹⁵ ყველაზე პოპულარულ ტელეკომპანიებს შორის არიან: „იმედი“, „რუსთავი 2“ და „PosTV“, რომლებიც აღქმულია, როგორც „ქართული ოცნებასთან“ აფილირებული მედია და „მთავარი არხი“, „TV პირველი“ და „ფორმულა“ – როგორც ოპოზიციასთან აფილირებული.

⁹⁶ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ [საერთაშორისო პაქტის \(ICCPR\) ზოგადი კომენტარი No. 25](#), პარაგრაფი 25 აღნიშნავს, რომ პაქტის 25-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებების განხორციელებისთვის აუცილებელია „თავისუფალი პრესა და სხვა მედია, რომელსაც შეუძლია ცენზურის ან შეზღუდვების გარეშე საზოგადოებრივ საკითხებზე კომენტარის გაკეთება და საზოგადოების ინფორმირება“. ასევე, იხილეთ 2018 წლის ერთობლივი დეკლარაცია, რომელიც მიღებულია გაეროს, ეუთოს, ამერიკის სახელმწიფოების ორგანიზაციის (OAS) და აფრიკის ადამიანის და ხალხთა უფლებების კომისიის (ACHPR) წარმომადგენლების მიერ. დეკლარაცია მიუთითებს, რომ

აჭარის ტელევიზიასა და რადიოს, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან, შეზღუდული აუდიტორია ჰყავთ, ხოლო პოლიტიკური ინფორმაციის გავრცელების მთავარ წყაროდ კვლავაც რჩებიან კომერციული სატელევიზიო მაუწყებლები. შედარებით მცირე ზომის, ძირითადად ინტერნეტზე დაფუძნებული მედიასაშუალებები, რომლებიც, მიჩნეულია რომ, უფრო დამოუკიდებელ გაშუქებას უზრუნველყოფენ, მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებულნი საერთაშორისო გრანტებზე. შესაბამისად, „უცხოური ზეგავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონმა, შესაძლოა იმოქმედოს მათ საქმიანობაზე.

ჟურნალისტების უსაფრთხოება კვლავაც სერიოზულ შეშფოთებას იწვევს, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში მათ წინააღმდეგ განხორციელებული თავდასხმების, დაშინებისა და ზეწოლის შემთხვევების გამო, მათ შორის კენჭისყრის დღეს.⁹⁷ მიუხედავად სამოქალაქო ცილისწამების პროცესებთან დაკავშირებული საკანონმდებლო გარანტიებისა, ბოლო პერიოდში საჯარო პირების მიერ შეტანილი სარჩელები უმეტესად ოპოზიციურად განწყობილი მედიასაშუალებებისა და ჟურნალისტების წინააღმდეგ წყდებოდა, რაც ძირს უთხრის საგამომიებო ჟურნალისტებს და კიდევ უფრო ართულებს ფინანსურად მცირე მედია გარემოს.⁹⁸ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო საერთაშორისო მისიასთან საუბარში პროცესში ჩართული მხარეების უმეტესობამ, ასევე აღნიშნა, რომ საჯარო ინფორმაციაზე წვდომა სერიოზულ ბარიერებთან არის დაკავშირებული, ხოლო შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილებები წლების განმავლობაში განხილვის პროცესში რჩება.⁹⁹

ხელისუფლებამ შეასრულოს მედიის თანამშრომლების უსაფრთხოების დაცვის ვალდებულება ეფექტური და დროული დაცვის ზომების გატარებით. სახელმწიფო უწყებებმა დაუყოვნებლივ გამოიძიონ და პასუხისგებაში მისცენ პირები, რომლებიც ჩართულნი არიან ჟურნალისტებსა და სხვა მედიის წარმომადგენლებზე თავდასხმებში ან მათ მიმართ არასათანადო მოპყრობაში.

პოლიტიკოსებმა და საჯარო პირებმა უნდა შეიკავონ თავი ისეთი ქმედებებისგან, რომლებიც მედიის დამოუკიდებლობას ზიანს აყენებს, მათ შორის რეგულატორულ ორგანოებში პოლიტიკური ჩარევით ან კომერციულ, საზოგადოებრივ და საზოგადოებრივი მომსახურების მედიაზე კომერციული კონტროლის დაწესებით.

⁹⁷ ევროპის საბჭოს (CoE) ჟურნალისტთა უსაფრთხოების პლატფორმის 30 ოქტომბრის [საფრთხის შეტყობინების](#) შემთხვევით, საარჩევნო დღეს დაფიქსირდა მინიმუმ 15 ინციდენტი, რომლებიც მოიცავდა 22 ჟურნალისტისა და მედიის წარმომადგენლის მიმართ განხორციელებულ სიტყვიერ და ფიზიკურ თავდასხმებს, შეურაცხყოფას, დაშინებასა და საქმიანობის შეზღუდვას. 13 ნოემბერს, სპეციალურმა საგამომიებო სამსახურმა განაცხადა, რომ დაიწყო გამოძიება 50 ინციდენტზე, რომლებიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს ჟურნალისტების პროფესიული საქმიანობის უკანონო ხელშეშლასთან არჩევნების მიმდინარეობისას.

⁹⁸ [საქართველოს დემოკრატიის ინიციატივის](#) (Georgian Democracy Initiative) მონაცემებით, არჩევნებამდე წარმოებაში იყო 36 მიმდინარე ცილისწამების საქმე, რომელთა უმეტესობა საჯარო პირების მიერ იყო ინიცირებული და ძირითადად ტელეკომპანია „ფორმულას“, „მთავარ არხსა“ და „ტვ პირველის“ წინააღმდეგ მიმართული. წლის დასაწყისიდან, მხოლოდ „ტვ პირველს“ სასამართლოს მიერ დაკისრებული აქვს ჯამში 45,565 ლარის ოდენობის ზიანის ანაზღაურება.

⁹⁹ 2023 წლის 22 ნოემბერს, პარლამენტის თავმჯდომარის მიერ გამოცემული [დადგენილებით](#), აკრედიტებულ ჟურნალისტებს პარლამენტში შესვლა შეეზღუდათ. 2024 წლის 28 სექტემბერს, სახალხო დამცველმა ხელისუფლებას [მოუწოდა](#), საჯარო ინფორმაციაზე წვდომის კანონმდებლობა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოიყვანოს და უზრუნველყოს მისი აღსრულება.

B. სამართლებრივი ჩარჩო

საკანონმდებლო ნორმების თანახმად, მაუწყებლები ვალდებული არიან დაიცვან მიუკერძოებლობა, სამართლიანობა და პლურალიზმი; თუმცა, აღნიშნული მხოლოდ თვითრეგულაციას ემყარება. მაშინ, როცა უფასო და ფასიანი რეკლამის, ასევე დებატების მარეგულირებელი დებულებები, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (ComCom) პირდაპირი ზედამხედველობის ქვეშ ექცევა. კანონი მაუწყებელთა უმრავლესობას, მათ შორის კომერციულ მაუწყებლებს, ავალდებულებს, მნიშვნელოვანი ოდენობის საეთერო დრო გამოუყონ საარჩევნო სუბიექტებს.¹⁰⁰ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის წინა რეკომენდაციის საპირისპიროდ, უფასო საეთერო დრო და დებატებში მონაწილეობა მხოლოდ კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს მიენიჭათ.¹⁰¹ პარტია „საქართველოსთვის“ ცდილობდა დამატებითი სამართლებრივი საფუძვლებით უფასო საეთერო დროის მოპოვებას, თუმცა კომუნიკაციების კომისიამ (ComCom) და სასამართლოებმა ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს.¹⁰² გარდა ამისა, წინასაარჩევნო აგიტაციის შესახებ არსებული შეზღუდული დებულებებისა და მათი ვიწრო ინტერპრეტაციის საფუძველზე, რომლებიც კრძალავს საარჩევნო კამპანიას, რომელიც „სხვა საარჩევნო სუბიექტის წინასაარჩევნო მიზნებს ემსახურება“, კომუნიკაციების კომისიამ და სასამართლოებმა ექვსი მაუწყებელი დააჯარიმეს და ოპოზიციური პარტიებისთვის მედიაში აგიტაციის შესაძლებლობები შეზღუდეს (იხილეთ ასევე *საარჩევნო დავების გადაწყვეტა*).¹⁰³

¹⁰⁰ არჩევნებამდე 50 დღით ადრე, საჯარო და საზოგადოებრივი მაუწყებლები ვალდებული იყვნენ, ყოველ საათში, საერთო ჯამში, 5 წუთი უფასო საეთერო დრო გამოეყოთ, რომელიც კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს შორის უნდა განაწილებულიყო; ხოლო კომერციულ ტელეკომპანიებს, რომლებსაც ქვეყნის მასშტაბით მაუწყებლობის უფლება აქვთ, საარჩევნო სუბიექტებისთვის, ყოველ სამ საათში, 7.5 წუთი უნდა გამოეყოთ. გარდა ამისა, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა (GPB), კანონის შესაბამისად, 12 „არაკვალიფიციურ“ საარჩევნო სუბიექტს, თითო საათში, 5 წუთი უფასო საეთერო დრო გამოუყო, ხოლო მათი წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიებების გასაშუქებლად, თითოეულს, დღეში არაუმეტეს 20 წუთი პირდაპირი ეთერი დაუთმო.

¹⁰¹ კანონის შესაბამისად, უფასო საეთერო დროის მიღების უფლება აქვთ იმ პოლიტიკურ პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს, რომლებიც წარმოდგენილი არიან პარლამენტში და სახელმწიფო დაფინანსებას იღებენ. ODIHR-ისა და ვენეციის კომისიის 2021 წლის [ერთობლივი მოსაზრების მიხედვით](#), „იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო გამოყოფს მედიასივრცეს, შესაბამისმა რეგულაციამ უნდა უზრუნველყოს, რომ უფასო საეთერო დრო და ბეჭდური სივრცე სამართლიანად განაწილდეს ყველა პარტიას შორის, კანონის წინაშე თანასწორი მოპყრობის პრინციპის დაცვით.

¹⁰² მაუწყებელს შეუძლია პოლიტიკური პარტია კვალიფიციურად ცნოს, თუ ის ოთხ „დამოწმებულ“ საზოგადოებრივი აზრის კვლევაში მინიმუმ ოთხპროცენტთან მხარდაჭერას მიიღებს. თუმცა, კანონში საზოგადოებრივი აზრის კვლევის „დამოწმებულად“ აღიარებისთვის დაწესებული მოთხოვნები ზედმეტად რთული და არაერთმნიშვნელოვანია. მას შემდეგ, რაც ტელეკომპანია „ფორმულას“ სასამართლომ 5,000 ლარით დააკისრა ჯარიმა იმის გამო, რომ მან „საქართველოსთვის“ უფასო საეთერო დრო გამოუყო, საზოგადოებრივი აზრის კვლევების საკმარისი გადამოწმების გარეშე, სხვა ტელეკომპანიებმა თავი შეიკავეს აღნიშნული პარტიისთვის უფასო საეთერო დროის გამოყოფისგან. კომუნიკაციების კომისიამ (ComCom) ODIHR-ის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიას აცნობა, რომ ერთერთმა მაუწყებელმა „საქართველოსთვის“ უფასო საეთერო დრო გამოყო, თუმცა ვერ წარმოადგინა ამ გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლები, რაც კანონის დარღვევად შეფასდა.

¹⁰³ ცესკომ და სასამართლომ, „მოქალაქეები“, „ევროპული საქართველო“ და „სტრატეგია აღმაშენებელი“ 10,000 ლარით დააჯარიმეს, ხოლო „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი“, ტელეკომპანია და

სასურველია, გადაიხედოს უფასო საეთერო დროის განაწილებისა და დებატებში მონაწილეობის არსებული სისტემა, რათა ყველა კანდიდატს მიეცეს თანაბარი შესაძლებლობები წინასაარჩევნო კამპანიის განმავლობაში. წინასაარჩევნო კამპანიის დროს, დაკავშირებული დარღვევების მიმართ დაუყოვნებლივ უნდა ამოქმედდეს სამართლებრივი მექანიზმები. მიზანშეწონილია, კანონში შევიდეს ცვლილებები, რომლებიც ფინანსური სანქციების ნაცვლად პრიორიტეტს მიანიჭებს დაკარგული საეთერო დროის ანაზღაურებას.

კომუნიკაციების კომისია (ComCom) ხუთი წევრისგან შემდგარი კოლეგიური ორგანოა, რომელიც მაუწყებლობის ლიცენზირებასა და ზედამხედველობაზეა უფლებამოსილი. ის პასუხისმგებელია მედიასთან დაკავშირებული საჩივრების განხილვაზე, რომლებიც, საარჩევნო კოდექსის დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, სავალდებულო სასამართლო განხილვას ექვემდებარება.¹⁰⁴ წინასაარჩევნო კამპანიის განმავლობაში, კომისიის სხდომები ონლაინ გადაიცემოდა, ხოლო ადმინისტრაციული პროტოკოლები და გადაწყვეტილებები ვებგვერდზე ქვეყნდებოდა, თუმცა ზოგჯერ დაგვიანებით. მიუხედავად 2023 წელს მაუწყებლობის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებებისა, რომლებმაც ღია კონკურსის საფუძველზე კანდიდატთა შერჩევისთვის კონკურსის კომისიის შექმნა დააწესა, კანონში არ არის გათვალისწინებული აღნიშნული კომისიის შერჩევის პროცესის გამჭვირვალობა. გარდა ამისა, მთავრობის გავლენა კომუნიკაციების კომისიის წევრების დანიშვნის პროცესზე კვლავ შენარჩუნებულია, რაც მისი დამოუკიდებლობის გარანტიას ვერ უზრუნველყოფს.¹⁰⁵ კომუნიკაციების კომისიას ასევე გააჩნია გადაჭარბებული სანქციების უფლებამოსილება, რადგან მაუწყებლობის შესახებ კანონის განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრების შემდეგ, მას შეუძლია მაუწყებლის ლიცენზიის შეჩერება.¹⁰⁶ მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო პერიოდში, ეს ზომა, არ ყოფილა

რადიო „აჭარა“, „მთავარი არხი“, „ტვ პირველი“, „ფორმულა“ და „სილვ მედია“ გააფრთხილეს, რადგან აღნიშნულმა პარტიებმა, კანდიდატთა ფორმალურ რეგისტრაციამდე, განაცხადეს, რომ სხვა პოლიტიკურ პარტიას უერთდებოდნენ, რის შემდეგაც მათთვის უფასო საეთერო დროის გამოყოფა გაგრძელდა. აღნიშნული რეკლამების შინაარსი მიჩნეულ იქნა, როგორც „სხვა საარჩევნო სუბიექტის საარჩევნო მიზნებისთვის გამიზნული“. კომუნიკაციების კომისიამ ODIHR-ის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიას აცნობა, რომ კანონი ყველა მაუწყებლის მიმართ თანაბრად დაიცვა.

¹⁰⁴ 27 აგვისტოს, კომუნიკაციების კომისიამ დაიწყო 55 ტელეკომპანიის რაოდენობრივი მონიტორინგი, ასევე 7 ტელეკომპანიის რაოდენობრივი და თვისებრივი მონიტორინგი, თუმცა კენჭისყრის დღემდე არანაირი დასკვნა არ გამოუქვეყნებია.

¹⁰⁵ მთავრობას შენარჩუნებული აქვს უფლებამოსილება ჩაერიოს პროცესში, სანამ შერჩეული კანდიდატების მოკლე სია პრეზიდენტს გადაეგზავნება, „კვალიფიკაციის მოთხოვნებისა და შერჩევის პრინციპების განხილვის“ მეშვეობით. კომუნიკაციების კომისიის წევრები პარლამენტის მიერ უბრალო უმრავლესობით აირჩევიან. გაეროს, ეუთოსა და ამერიკის სახელმწიფოების ორგანიზაციის (OAS) წარმომადგენლების [2003 წლის ერთობლივ დეკლარაციაში](#) აღნიშნულია, რომ „ყველა საჯარო ორგანო, რომელსაც მედიის ფორმალური რეგულირების უფლებამოსილება გააჩნია, დაცული უნდა იყოს ჩარევისგან [...] მათ შორის, ისეთი დანიშვნის პროცესით, რომელიც გამჭვირვალეა, უზრუნველყოფს საზოგადოებრივ ჩართულობას და არ ექვემდებარება რომელიმე კონკრეტული პოლიტიკური პარტიის კონტროლს.“

¹⁰⁶ იხილეთ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის (ICCPR) [ზოგადი კომენტარი №34](#), რომლის 34-ე პარაგრაფი განსაზღვრავს, რომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვები უნდა იყოს „ყველაზე ნაკლებად ჩარევადი საშუალება იმ ალტერნატივებიდან,

გამოყენებული, 2023 წლის საკანონმდებლო ცვლილებებმა კომუნიკაციების კომისიის უფლებამოსილება გააფართოვა და შემოიღო აღმასრულებელი ზომები „სიძულვილის ენის“, „ტერორიზმისკენ წაქეზებისა“ და „ბილწისტყვაობის“ წინააღმდეგ, კანონის ევროკავშირის აუდიო-ვიზუალური მედიის მომსახურების დირექტივასთან (AVSMD) შესაბამისობაში მოყვანის გაცხადებული მოტივით.¹⁰⁷

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დამოუკიდებლობის გასაძლიერებლად, სასურველია, მისი წევრების დანიშვნის პროცედურა გადაიხედოს.

კანონის თანახმად, მაუწყებლები პასუხისმგებელი არიან პოლიტიკური რეკლამების შინაარსზე.¹⁰⁸ „ქართული ოცნების“ საჩივრების საფუძველზე, სამი ტელეკომპანია არაერთხელ დაჯარიმდა, რადგან უარი თქვა ეთერში გაეშვა „ქართული ოცნების“ კონკრეტული წინასაარჩევნო რეკლამები, რომლებიც, მათი განმარტებით, არღვევდა კანონმდებლობას, მათ შორის „სიძულვილის ენის“ შესახებ დებულებებს.¹⁰⁹ ზოგიერთი ტელეკომპანიის მიერ კომუნიკაციების კომისიისთვის მიმართული წინასწარი განმარტების მოთხოვნები პროცედურული საფუძველით არ დაკმაყოფილდა. შედეგად, მთავრობასთან დაკავშირებულმა ორმა ტელეკომპანიამ, რომელთა მონიტორინგსაც დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია ახორციელებდა, 11 ოქტომბრიდან შეწყვიტა ოპოზიციური პარტიების წინასაარჩევნო რეკლამების გაშუქება.¹¹⁰ სასამართლომ „ძლიერი საქართველო – ლელოს“ და „ერთიანობა – საქართველოს გადასარჩენად“ მიერ შეტანილი სარჩელები დააკმაყოფილა და მთავრობასთან დაკავშირებული რამდენიმე ტელეკომპანია

რომლებიც მათ დამცავ ფუნქციას შეიძლება ემსახურობდეს, და უნდა შეესაბამებოდეს დაცული ინტერესის პროპორციულობის პრინციპს“.

¹⁰⁷ მიუხედავად იმისა, რომ AVMSD კრძალავს „ძალადობის ან სიძულვილის წაქეზებას“ და „საზოგადოებრივ მოწოდებებს ტერორისტული დანაშაულის ჩასადენად“, ის არ ეხება „ბილწისტყვაობის“ კონცეფციას. „მაუწყებლობის შესახებ“ კანონი „ბილწისტყვაობას“ ორაზროვნად განსაზღვრავს, როგორც „მოქმედებას, რომელიც ეწინააღმდეგება საზოგადოებაში დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს და არ ატარებს სოციალურ-პოლიტიკურ, კულტურულ, საგანმანათლებლო ან სამეცნიერო ღირებულებას“.

¹⁰⁸ 2021 წლის [უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება](#) და 2024 წლის [კომუნიკაციების კომისიის სახელმძღვანელო მითითებები](#) მაუწყებლებს ავალდებულებს, უზრუნველყონ, რომ მათი კონტენტი შეესაბამებოდეს კონსტიტუციასა და კანონმდებლობას, მათ შორის გაურკვეველ დებულებებს, როგორცაა „აგრესიისა და ქაოსის წაქეზება“ და „სახიფათო ქმედებები“. 2009 წლის გაეროს, ეუთოს, ამერიკის სახელმწიფოების ორგანიზაციის (OAS) და აფრიკის ადამიანის და ხალხთა უფლებათა კომისიის (ACHPR) [ერთობლივ დეკლარაციაში](#) აღნიშნულია, რომ მედია უნდა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან, თუ ის ავრცელებს პარტიებისა და კანდიდატების მიერ პირდაპირ გაკეთებულ უკანონო განცხადებებს.

¹⁰⁹ ტელეკომპანიები „მთავარი არხი“, „ტვ პირველი“ და „ფორმულა“ თითოეული 15,000 ლარით დაჯარიმდნენ იმის გამო, რომ მათ არ განათავსეს რეკლამები, სადაც სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები წარმოდგენილი იყვნენ „ზნეობრივი დეგრადაციის“ კონტექსტში, ხოლო ომისა და მშვიდობის არჩევანი – უკრაინაში ომით დაზარალებული რეგიონების კადრებით იყო ილუსტრირებული.

¹¹⁰ 10 ოქტომბერს, „იმედმა“ და „PolsTV-მ“ განაცხადეს, რომ „კოლექტიური ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რეკლამებს აღარ გაუშვებდნენ, რათა „დისბალანსი აღმოეფხვრათ“.

დაჯარიმდა¹¹¹. თუმცა, კანონის მიერ დაჩქარებული განხილვის მექანიზმის არარსებობის გამო, დარღვევები ვერ გამოსწორდა, რამაც კანდიდატებისთვის თანაბარი საარჩევნო შესაძლებლობების უზრუნველყოფას ხელი შეუშალა.¹¹²

პარტიებისა და კანდიდატების მიერ პირდაპირ გაკეთებული უკანონო განცხადებების გავრცელებისთვის, მედიას პასუხისმგებლობა არ უნდა დაეკისროს, იქნება ეს პირდაპირი ეთერის ტრანსლაციის თუ რეკლამის ფარგლებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასამართლო აღნიშნულ განცხადებებს უკანონოდ ცნობს ან ისინი პირდაპირ ძალადობისკენ წაქეზებას წარმოადგენენ.

C. წინასაარჩევნო კამპანიის მედია გაშუქება

18 სექტემბრიდან 25 ოქტომბრამდე, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ ჩაატარა ექვსი ტელეკომპანიისა და ორი ონლაინ მედიასაშუალებების რაოდენობრივი და თვისებრივი მონიტორინგი.¹¹³ მედიამონიტორინგმა აჩვენა, რომ ყველა მონიტორინგის ქვეშ მყოფი ტელევიზია მიკერძოებულად აშუქებდა მოვლენებს, ხოლო კომერციული ტელეკომპანიები, მიუხედავად კანონით დაკისრებული ვალდებულებისა, არ იცავდნენ ახალი ამბების მიუკერძოებლად გაშუქების მოთხოვნას. საზოგადოებრივი მაუწყებელი (GPB) საარჩევნო სუბიექტების გაშუქებისას უმეტესწილად ნეიტრალურ ან პოზიტიურ ტონს ინარჩუნებდა (89 პროცენტი), თუმცა მისი საარჩევნო გაშუქების უმეტესი ნაწილი (61 პროცენტი) „ქართულ ოცნებას“ დაეთმო. იმის გამო, რომ ოპოზიციური პარტიების უმრავლესობის წარმომადგენლებმა საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გამართულ ერთადერთ დებატში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს, მმართველი და ძირითადი ოპოზიციური პარტიების შორის დებატები არ გამართულა.

ტელეკომპანიების უმეტესობამ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების ძირითადი ნაწილი „ქართულ ოცნებას“ დაუთმო. კომერციული ტელევიზიების ტონი ასახავდა მაუწყებლების ფართოდ აღქმულ პარტიულ კუთვნილებას. „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“, „ფორმულამ“, „იმედი“, „მთავარმა არხმა“, „რუსთავი 2“-მა და „TV პირველმა“, შესაბამისად, 61, 56, 82, 52, 80 და 51 პროცენტი დაუთმეს „ქართულ ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქებას. ტელეკომპანია „ფორმულაზე“ „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანიის 89

¹¹¹ „ძლიერი საქართველოს“ საჩივრების საფუძველზე, „იმედი“ და „რუსთავი 2“ დაჯარიმდნენ მათი ფასიანი რეკლამების ეთერში გაშვების შეწყვეტისთვის, მიუხედავად იმისა, რომ პარტიას უფასო საეთერო დრო არ ეკუთვნოდა. „ძლიერი საქართველოს“ მოთხოვნა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ არ დაკმაყოფილდა. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საჩივრების საფუძველზე, „იმედი“, „რუსთავი 2“, „მესტრო“ და „PosTV“ დაჯარიმდნენ, რადგან მათ არ ეთერში გაუშვეს აღნიშნული პარტიის რეკლამები.

¹¹² იხილეთ ეუთოს [1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის](#) 7.8 პარაგრაფი, რომელიც უზრუნველყოფს „მედიაზე შეუფერხებელ წვდომას არადისკრიმინაციული პრინციპით ყველა იმ პოლიტიკური გაერთიანებისა და პირისთვის, რომელიც საარჩევნო პროცესში მონაწილეობის სურვილს გამოთქვამს“. ასევე, იხილეთ „კარგი პრაქტიკის კოდექსის“ I.2.3 სექცია, რომელიც თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას მოითხოვს.

¹¹³ საზოგადოებრივი მაუწყებელი, ფორმულა, იმედი, მთავარი არხი, ტვ პირველი და რუსთავი 2, ასევე [netgazeti.ge](#) და [tabula.ge](#).

პროცენტი ნეგატიურ ტონალობაში იყო, მაშინ როცა „კოალიცია ცვლილებებისთვის“ გაშუქების 88 პროცენტი პოზიტიური იყო. ტელეკომპანია „იმედზე“ „საქართველოსთვის“ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების 89 პროცენტი ნეგატიურ ტონალობაში მიმდინარეობდა, ხოლო „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების 80 პროცენტი – პოზიტიური იყო. „მთავარ არხზე“ „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების 90 პროცენტი ნეგატიურ ტონალობაში ხდებოდა, მაშინ როცა „კოალიცია ცვლილებებისთვის“ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების 82 პროცენტი პოზიტიური იყო. „რუსთავი 2“-ზე „ერთიანობა – საქართველოს გადასარჩენად“ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების 66 პროცენტი ნეგატიურ ტონალობაში იყო, მაშინ როცა „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების 68 პროცენტი პოზიტიური იყო. „TV პირველზე“ „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების 91 პროცენტი ნეგატიურ ტონალობაში მიმდინარეობდა, მაშინ როცა „კოალიცია ცვლილებებისთვის“, „ძლიერი საქართველო“ და „ერთიანობა – საქართველოს გადასარჩენად“ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების, შესაბამისად, 50, 54 და 56 პროცენტი პოზიტიური იყო.

საერთო ჯამში, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის სადამკვირვებლო მისიის მიერ მონიტორინგის ქვეშ მყოფი კომერციული მედიასაშუალებები პოლიტიკურ პროპაგანდისთვის გამოიყენებოდა, რაც ძირს უთხრიდა ახალი ამბების დამოუკიდებელ გაშუქებას და ამდაგრებდა პოლიტიკური განხეთქილების რიტორიკას. პოლიტიკური პარტიების პროგრამების მიუკერძოებელი ანალიზის ნაკლებობა და წამყვანი პოლიტიკური ფიგურებისა და ძირითადი ოპოზიციური პარტიების დებატებში მონაწილეობაზე უარი ზღუდავდა ამომრჩეველთა შესაძლებლობას ინფორმირებული არჩევანი გაეკეთებინათ.

XII. ეროვნულ უმცირესობათა მონაწილეობა

საქართველომ უმცირესობათა უფლებების დაცვის შესახებ ძირითადი საერთაშორისო კონვენციების რატიფიცირება მოახდინა. კონსტიტუცია უზრუნველყოფს სრულ პოლიტიკურ უფლებებს და კრძალავს დისკრიმინაციას ეროვნების, ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიის ან ენის საფუძველზე, თუმცა ეთნიკური უმცირესობების უფლებებისთვის კონკრეტული სამართლებრივი რეგულაციები შეზღუდულად არსებობს.¹¹⁴ საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს პოლიტიკური პარტიების შექმნას,

¹¹⁴ ეს მოიცავს 2015 წლის „სახელმწიფო ენის შესახებ“ კანონის რეგულაციებს, რომლებიც უზრუნველყოფს ეროვნულ უმცირესობათა ენებზე საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებას, ასევე მათ გამოყენებას საჯარო დაწესებულებებსა და ოფიციალურ ღონისძიებებზე; აღნიშნული უფლებები ვრცელდება მხოლოდ იმ ტერიტორიებზე, სადაც ეროვნული უმცირესობები ცხოვრობენ. საარჩევნო კოდექსი ითვალისწინებს, რომ ეროვნული უმცირესობების ენების გამოყენება საარჩევნო პროცესებში შესაძლებელია იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც ეროვნული უმცირესობები კომპაქტურად ცხოვრობენ. ეროვნულ უმცირესობებზე ასევე ვრცელდება დისკრიმინაციის აღმოფხვრასა და თანასწორობის ხელშეწყობასთან დაკავშირებული რიგი დებულებები, რომლებიც გაწერილია „ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ“ კანონში, „სახელმწიფო ენის შესახებ“ კანონში, მთავრობის 2025-2028 წლების პროგრამაში, საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის 2022-2030 წლების ეროვნულ სტრატეგიაში, ასევე სხვა სახელმწიფო სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებში.

რომლებიც ეთნიკურ დაპირისპირებას უწყობენ ხელს ან რეგიონულ ხასიათს ატარებენ.

ეროვნული უმცირესობები კვლავ არასაკმარისად არიან წარმოდგენილნი საჯარო და პოლიტიკურ ცხოვრებაში.¹¹⁵ მოსახლეობის 13 პროცენტს ეროვნული უმცირესობები შეადგენენ, რომელთაგან ყველაზე დიდი ჯგუფებია აზერბაიჯანელები (6.3 პროცენტი) და სომხები (4.5 პროცენტი). თუმცა, ამ არჩევნებში კანდიდატთა მხოლოდ დაახლოებით 5 პროცენტი იყო ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი, ხოლო მათგან მცირე ნაწილს ეკავა პრიორიტეტული პოზიცია საარჩევნო სიებში.¹¹⁶ წინასაარჩევნო ღონისძიებებში ნაკლებად იყო გათვალისწინებული ეროვნული უმცირესობებისთვის სპეციალურად მიმართული გზავნილები, და მათ წარმომადგენლებს იშვიათად ჰქონდათ შესაძლებლობა გამომსვლელთა რიგებში ყოფილიყვნენ. გარკვეულ შემთხვევებში, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში უმცირესობათა ენების გამოყენებაც დაფიქსირდა.¹¹⁷ სულ მცირე ერთ შემთხვევაში კი პოლიტიკური ოპონენტის სავარაუდო კუთვნილება ეროვნულ უმცირესობასთან გამოყენებული იქნა, როგორც დამაკნინებელი ბრალდება.¹¹⁸

ცესკომ მიიღო ხელშემწყობი ზომები ამომრჩეველთა განათლებისა და საარჩევნო მასალების, მათ შორის ბიულეტენების, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე მომზადებით. თუმცა, კანონით ცესკოს ენიჭება დისკრეცია, განსაზღვროს უმცირესობათა ენებზე მიწოდებული მასალების მოცულობა, რაც მათ ხელმისაწვდომობაში შეუშაბამობებს იწვევს.¹¹⁹ გარდა ამისა, იმ რეგიონებში, სადაც ეროვნული უმცირესობების

¹¹⁵ 2024 წელს გამოქვეყნებულ ევროპის საბჭოს [საკონსულტაციო კომიტეტის მეოთხე მოსაზრებაში](#), რომელიც შეეხება ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენციას, აღნიშნულია: „სახელმწიფო დონეზე ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობა ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებში კვლავაც ძალიან იშვიათია ან საერთოდ არ არსებობს [...] იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც ეროვნული უმცირესობები მნიშვნელოვან რაოდენობით ცხოვრობენ, მათი წარმომადგენლობა ადგილობრივ საკრებულოებში არაპროპორციულად დაბალია [...] ორი მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებით“.

¹¹⁶ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები კანდიდატთა პირველ ათეულში 6 პროცენტს შეადგენდნენ. არც ერთი საარჩევნო სია არ წარუძღვებოდა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი, ხოლო სამ საარჩევნო სიაში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები საერთოდ არ იყვნენ. ეროვნულ უმცირესობათა ყველაზე მაღალი პროცენტული წილი დაფიქსირდა „ქართული ერთიანობისა და განვითარების პარტიის“ (19 პროცენტი), „ჩვენი ერთიანი საქართველოს“ (16 პროცენტი) და „ტრიბუნას“ (13 პროცენტი) სიებში, თუმცა არც ერთმა მათგანმა საარჩევნო ბარიერი ვერ გადალახა.

¹¹⁷ სადამკვირვებლო მისიამ დაკვირვებულ წინასაარჩევნო ღონისძიებებში დააფიქსირა, რომ აზერბაიჯანული ენა გამოყენებული იყო „ახალი“-ს მიერ მცხეთაში გამართულ შეხვედრაზე და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ კაბალში ჩატარებულ ღონისძიებაზე. აზერბაიჯანურ ენაზე ბანერები განათავსეს „ახალმა“, „ქართულმა ოცნებამ“ და „ძლიერმა საქართველო – ლელომ“ საგარეჯოში. „საქართველოსთვის“ პარტიამ სომხურ ენაზე აგიტაციის მასალები დაარიგა ახალქალაქში, ხოლო „ძლიერმა საქართველო – ლელომ“ აზერბაიჯანურ ენაზე – გარდაბანში.

¹¹⁸ 11 ოქტომბერს, *PosTV*-მ, „ძლიერი საქართველო – ლელოს“ ერთ-ერთი ლიდერს დააბრალა რომ სომხური წარმოშობის იყო; სახალხო დამცველმა აღნიშნული მაუწყებლობა დისკრიმინაციულად შეაფასა.

¹¹⁹ კანონის თანახმად, იმ საარჩევნო უბნებში, სადაც ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები ცხოვრობენ, ამომრჩეველთა სიები შესაბამისი უმცირესობის ენებზე უნდა გამოქვეყნდეს ცესკოს ვებგვერდზე. თუმცა, ბიულეტენების უმცირესობების ენებზე მომზადება დამოკიდებულია ცესკოს მიერ განსაზღვრულ საჭიროებაზე. თუ ბიულეტენები მზადდება უმცირესობის ენაზე, შესაძლებელია,

წარმომადგენლები მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ძირითადი ტრენინგები უპირატესად ქართულ ენაზე მიმდინარეობდა; მხოლოდ ალტერნატიულ გზად იყო შეთავაზებული მათ მშობლიურ ენებზე შედგენილი წერილობითი მასალა. ელექტრონული ხმის მიცემის ტექნოლოგიების მომხმარებლის ინტერფეისი ხელმისაწვდომი მხოლოდ ქართულ ენაზე იყო, რაც ზღუდავდა საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებსა და ეროვნული უმცირესობების ამომრჩევლებს, სრულად გაეგოთ და ეფექტურად ემუშავათ ამ მოწყობილობებთან.¹²⁰ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა მხოლოდ ორი პროცენტს შეადგენდნენ.¹²¹ არჩევნებში არჩეული ექვსი პარლამენტარი ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელია, თუმცა არც ერთი მათგანი არ არის ქალი.

ინფორმაციაზე თანაბარი ხელმისაწვდომობისა და საარჩევნო პროცესში სრულფასოვანი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია განისაზღვროს მკაფიო სახელმძღვანელო წესები, რომლებიც დაარეგულირებს ამომრჩეველთა ინფორმაციისა და საარჩევნო მასალების უმცირესობათა ენებზე მიწოდებას. გარდა ამისა, იმ რეგიონებში, სადაც კანონით გათვალისწინებულია საარჩევნო მასალების უმცირესობათა ენებზე უზრუნველყოფა, ელექტრონული ხმის მიცემის ტექნოლოგიების ინტერფეისი ასევე უნდა იყოს ხელმისაწვდომი შესაბამის ენებზე.

XIII. საარჩევნო დავების გადაწყვეტა

2022 წელს საარჩევნო დავების განხილვის ზოგიერთი ვადა გახანგრძლივდა, ხოლო დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ვადები შემცირდა, რაც ნაწილობრივ ასახავს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისისა და ვენეციის კომისიის წარსულში გაცემულ რეკომენდაციებს. თუმცა, საარჩევნო დავების განხილვის ვადების უმეტესობა კვლავინდებურად ხანგრძლივია და საარჩევნო დარღვევებზე დროულ და ეფექტიან რეაგირებას ვერ უზრუნველყოფს.¹²² სააპელაციო სასამართლოში

თუმცა სავალდებულო არ არის, რომ სარეგისტრაციო ჟურნალი და შემაჯამებელი ოქმები ასევე იმავე ენაზე იყოს მომზადებული. გარდა ამისა, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დებულებას, რომელიც უზრუნველყოფს ამომრჩეველთა განათლებისა და ინფორმირების ხელმისაწვდომობას უმცირესობების ენებზე.

¹²⁰ ევროპის საბჭოს რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ მოქმედი კომისიის (ECRI) 2023 წლის ანგარიშში საქართველოს შესახებ აღნიშნულია, რომ 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, ეთნიკური სომხების 44.5%-ს და ეთნიკური აზერბაიჯანელების 73.9%-ს სახელმწიფო ენას არასათანადოდ ფლობდნენ. [ევროპის საბჭოს 2017 წლის რეკომენდაციების პირველ პუნქტში ელექტრონულ ხმის მიცემაზე \(E-voting\)](#) მითითებულია, რომ ელექტრონული ხმის მიცემის სისტემის ამომრჩევლის ინტერფეისი უნდა იყოს ადვილად გასაგები და მოსახმარი ყველა ამომრჩევლისთვის.

¹²¹ ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) მონაცემებით, საოლქო საარჩევნო კომისიების 1,241 წევრიდან 24 ეთნიკურად სომეხია, ხოლო 1 – აზერბაიჯანელი.

¹²² კანონი განსაზღვრავს ორდღიან ვადას საოლქო საარჩევნო კომისიებისა და ცესკოს გადაწყვეტილებების გასაჩივრებისთვის და მათი განხილვისთვის, ხოლო მხარეებს მხოლოდ ერთი ან ორი დღე ეძლევათ შემდგომი გასაჩივრებისთვის, რის შემდეგაც სააპელაციო სასამართლომ საქმე ორ დღეში უნდა გადაწყვიტოს. საარჩევნო ადმინისტრაციას ათდღიანი ვადა აქვს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის მოთხოვნებზე და მათთან დაკავშირებულ სასამართლო გადაწყვეტილებებზე რეაგირებისთვის, მაშინ როცა კომუნიკაციების კომისიასა (ComCom) და

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე დაჩქარებული განხილვის მექანიზმი არ არსებობს, რის შედეგადაც ზოგიერთი საჩივრის განხილვა არჩევნებამდე ვერ დასრულდა.¹²³ კანონი არ უზრუნველყოფს სამართლებრივი დავების წარმოების თანაბარ შესაძლებლობას ყველა მხარისთვის, რაც საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამება. ფართო სამართლებრივი უფლებამოსილება მხოლოდ საარჩევნო სუბიექტებსა და დამკვირვებელ ორგანიზაციებს აქვთ, მაშინ როცა ამომრჩევლებს შეუძლიათ მხოლოდ საკუთარი რეგისტრაციის ან ამომრჩეველთა სიაში ჩართვის საკითხზე საჩივრის შეტანა.¹²⁴ საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს ზემდგომ კომისიაში, შემდეგ კი რაიონულ ან საქალაქო სასამართლოში, ხოლო სააპელაციო სასამართლო საარჩევნო დავებისთვის საბოლოო ინსტანციას წარმოადგენს.

სამართლებრივი დაცვის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, სასურველია, საარჩევნო დავების გადაწყვეტის მექანიზმი გადაიხედოს, რათა გაფართოვდეს ამომრჩეველთა სამართლებრივი სტატუსი და შესაბამისად შეიცვალოს სამართლებრივი ვადები ისე, რომ საკმარისი დრო გამოიყოს საჩივრებისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების განხილვისთვის, ხოლო პროცესები ჩატარდეს სათანადოდ დაჩქარებული პროცედურის დაცვით, საერთაშორისო კარგი პრაქტიკის შესაბამისად.

საარჩევნო ადმინისტრაციაში შესული საჩივრების უმეტესობა, ცესკოს ან საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებმა განიხილეს, რაც ამ ორგანოების კოლეგიურ ხასიათს ასუსტებდა და გამჭვირვალობაზე ნეგატიურ გავლენას ახდენდა.¹²⁵ კენჭისყრის დღემდე, საარჩევნო ადმინისტრაციაში შეტანილი 231 საჩივრიდან მხოლოდ 25 (11

სასამართლოს მაუწყებლების მიერ ჩადენილ სამართალდარღვევებზე რეაგირებისთვის მხოლოდ ორი დღე ეძლევათ. კომისიის თავმჯდომარის მიერ ოქმის შედგენაზე უარის შემთხვევაში, გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ორ დღეში; ხოლო ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენებისას, მომჩივანსა და სასამართლოს თითო-თითო დღე აქვთ გასაჩივრებისთვის და განჩინების გამოტანისთვის. „[კარგი პრაქტიკის კოდექსის](#)“ II.3.3.g სახელმძღვანელო მითითება რეკომენდაციას უწევს, რომ „პირველ ინსტანციაში (როგორც საჩივრის წარდგენისთვის, ასევე განჩინების გამოტანისთვის) ვადა უნდა იყოს სამი-ხუთი დღე“.

¹²³ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით, მხარეებს 10 დღე აქვთ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის, ხოლო სააპელაციო სასამართლოს ვადა გადაწყვეტილების მიღებისთვის 30 დღემდეა. მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო სასამართლო, როგორც წესი, გადაწყვეტილებებს 15 დღის განმავლობაში იღებდა, ეს დროის შეზღუდვა „[ძლიერი საქართველოს](#)“ და „[ერთიანი ნაციონალური მოძრაობის](#)“ შესაძლებლობებს ზღუდავდა, ეწარმოებინათ წინასაარჩევნო კამპანია „[იმედსა](#)“ და „[რუსთავი 2](#)“-ზე, რადგან ეს მაუწყებლები ოპოზიციური რეკლამების ეთერში გაშვებაზე უარს აცხადებდნენ, სანამ სასამართლო საბოლოო გადაწყვეტილებას არ გამოიტანდა.

¹²⁴ [სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის \(ICCPR\)](#) 2.3(a) მუხლის თანახმად, „ნებისმიერ პირს, ვისი უფლებები ან თავისუფლებები, როგორც ეს დოკუმენტშია აღიარებული, დაირღვევა, მას, უნდა მიეცეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება“. „[კარგი პრაქტიკის კოდექსის](#)“ II.3.3.f სახელმძღვანელო მითითების მიხედვით, „საარჩევნო ოლქში რეგისტრირებულ ყველა კანდიდატს და ამომრჩევლებს უნდა ჰქონდეს სააპელაციო უფლება“.

¹²⁵ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეებს აქვთ უფლება, საჩივრის განხილვაზე უარი განაცხადონ ისე, რომ ის საარჩევნო კომისიის სხდომაზე არ განიხილოს; საჩივრების უმეტესობა, თავმჯდომარეებმა, სწორედ ამ წესით უარყვეს. თავმჯდომარეები ასევე ერთპიროვნულად იღებენ გადაწყვეტილებას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების შედგენაზე.

პროცენტი) განიხილეს საჯარო სხდომებზე¹²⁶. ცესკო ინარჩუნებს ონლაინ მონაცემთა ბაზას, რომელიც მოიცავს საარჩევნო კომისიებისა და სასამართლოების მიერ განხილულ საჩივრებს და ეს ბაზა, ზოგადად, სრულყოფილი იყო.¹²⁷ თუმცა, სასამართლოებმა და ადმინისტრაციულმა ორგანოებმა არ გამოაქვეყნეს გასაჩივრებული საქმეების შესახებ გადაწყვეტილებები და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევების განაჩენები, რაც პირადი მონაცემები დამუშავებისთვის, არასაკმარისი ადამიანური რესურსის ქონით ახსნეს, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოები ვალდებული იყვნენ ზემოთ ხსენებული გადაწყვეტილებები გამოეყენებინათ.¹²⁸

საარჩევნო კომისიებში, არჩევნების დღემდე, შეტანილი 231 საჩივრის უმეტესობა, საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებასა და ფუნქციონირებას, გადასატანი ყუთის ამომრჩეველთა სიებს, ადმინისტრაციული რესურსების სავარაუდო ბოროტად გამოყენებასა და წინასაარჩევნო კამპანიის დარღვევებს ეხებოდა.¹²⁹ მიუხედავად იმისა, რომ საჩივრების უმეტესობა არსებითად განიხილეს, ისინი ხშირად მტკიცებულებების არარსებობის საფუძველზე სათანადო გამოძიების გარეშე უარყვეს.¹³⁰ კომუნიკაციების კომისიამ და საარჩევნო ადმინისტრაციამ დაახლოებით 50 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევაზე აღძრა საქმე, რომელთა უმეტესობა ეთერში უფასო დროის განაწილების წესების დარღვევასა და ადმინისტრაციული რესურსების არამიზნობრივ გამოყენებას უკავშირდებოდა; სასამართლომ ყველა ეს საქმე დააკმაყოფილა.¹³¹ თბილისის საქალაქო სასამართლომ საჯარო სხდომებზე 50-ზე მეტი საარჩევნო დავა განიხილა, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლომ 27 აპელაციაზე

¹²⁶ ცესკომ წინასაარჩევნო საჩივრებიდან 40-დან 17 ღია სხდომებზე განიხილა, ხოლო 191 საჩივრიდან 183-ზე საოლქო საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებებს ხელი მხოლოდ თავმჯდომარეებმა მოაწერეს, რაც გადაწყვეტილებების ერთპიროვნული მიღების მანიშნებელია.

¹²⁷ ცესკომ არ გამოაქვეყნა სამი პოლიტიკური პარტიის წინააღმდეგ შედგენილი ექვსი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომლებიც სასამართლომ კომუნიკაციების კომისიის მიერ საეთერო დროის წესების დარღვევასთან დაკავშირებით მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე შეადგინა. ასევე, საარჩევნო სუბიექტებისთვის დაკისრებულ სანქციების შესახებ, სასამართლოს გადაწყვეტილებები საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის.

¹²⁸ საერთო სასამართლოების შესახებ კანონი ავალდებულებს, რომ ყველა სასამართლო გადაწყვეტილება ონლაინ გამოქვეყნდეს, განზოგადებული პერსონალური მონაცემებით.

¹²⁹ ამთგან, 15 საჩივარი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა დანიშვნას შეეხებოდა, სადაც სავარაუდოდ იკვეთებოდა მათი კავშირი ან მხარდაჭერა მმართველი პარტიისადმი, ხოლო 83 საჩივარი, ძირითადად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (UNM) მიერ, შეტანილი იყო ერთსა და იმავე დღეს, კონკრეტულ უბნებში და საუბნო საარჩევნო კომისიების გვიან გახსნასა და მათ მუშაობას ეხებოდა. დაახლოებით 110 საჩივარი საარჩევნო კამპანიის წესების სავარაუდო დარღვევასა და ადმინისტრაციული რესურსების არამიზნობრივ გამოყენებას ეხებოდა, აქედან 11 დაკმაყოფილდა. სულ 70 საჩივარში მოითხოვეს სადისციპლინო ღონისძიებების გატარება, საიდანაც 5 დაკმაყოფილდა. ჯამში, 140 საჩივარი „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ (UNM) შეიტანა, 5 – „კოალიცია ცვლილებებისთვის“-მა, ხოლო 1 – „ქართულმა ოცნებამ“ (GD).

¹³⁰ საოლქო საარჩევნო კომისიებმა ადმინისტრაციული რესურსების სავარაუდო არამიზნობრივი გამოყენებასთან დაკავშირებულ ბევრ საჩივარზე უარი განაცხადეს მხოლოდ სავარაუდო დამრღვევის უარყოფის ან პასუხის საფუძველზე.

¹³¹ კანონი საარჩევნო კამპანიის პერიოდში ადმინისტრაციული რესურსების სავარაუდო არამიზნობრივი გამოყენების შესახებ საჩივრებისთვის ერთდღიან, ძალზედ მოკლე ვადებს აწესებს, რაც განსხვავდება სხვა საარჩევნო საჩივრებისთვის განსაზღვრული ვადებისგან. თუმცა, სასამართლოებმა ასეთ საქმეებზე საარჩევნო დავებისთვის დადგენილი სტანდარტული ვადები გამოიყენეს.

იმსჯელა და მათგან 2 ნაწილობრივ დააკმაყოფილა.¹³² ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სასამართლოში საქმეების განხილვამ და გადაწყვეტილებების მიღებამ გამოავლინა როგორც საკანონმდებლო ბუნდოვანებები, ასევე მისი გამოყენების შეუსაბამობები (*ასევე იხილეთ მედია და წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება*).¹³³ ზოგიერთ გადაწყვეტილებასა და განაჩენს აკლდა საკმარისი დასაბუთება, განსაკუთრებით, როდესაც სამართლებრივი განმარტება საკამათო იყო, რაც სასამართლოს მიუკერძოებლობის თაობაზე ეჭვებს ბადებდა.¹³⁴

საარჩევნო დავების გადაწყვეტის პროცესის გამჭვირვალობისა და ნდობის გაზრდის მიზნით, სასურველია, საარჩევნო კომისიებმა ყველა დავა კოლეგიალურად და საჯარო სხდომებზე განიხილონ, საჩივრების არსის სრულყოფილი შესწავლის საფუძველზე. საჭიროა, ყველა სასამართლო აქტი, გადაწყვეტილება და ოქმი სათანადოდ იყოს დასაბუთებული, ეყრდნობოდეს კანონის მკაფიო განმარტებას და ოპერატიულად ქვეყნდებოდეს ინტერნეტში.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ (შსს) 25 ოქტომბრის მდგომარეობით, არჩევნებთან დაკავშირებულ ძალადობისა და ქონების დაზიანების 31 შემთხვევაზე დაიწყო გამოძიება; თუმცა, არცერთ შემთხვევაში არ წარდგენილა ბრალი. მთელი საარჩევნო პერიოდის განმავლობაში, სამართალდამცავ ორგანოებში, საარჩევნო ადმინისტრაციასა და სასამართლო სისტემაში ნდობა პოლიტიკურად მგრძობიარე საკითხების ეფექტურად და

¹³² პირველი ინსტანციის სასამართლოებში არ დაკმაყოფილდა ცესკოს გადაწყვეტილებების გასაჩივრება ისეთ საკითხებზე, როგორცაა საზღვარგარეთ საარჩევნო უზნების გახსნა, საარჩევნო კომისიების წევრების ანაზღაურების განსაზღვრა და პროცედურული ვადების კორექტირება. პირველადი ინსტანციის საქმეებში, დაკმაყოფილდა მხოლოდ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეების მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის სანქციების მოთხოვნა, ასევე, ერთ შემთხვევაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სარჩელი დაკმაყოფილდა, რომელიც საარჩევნო ოლქის კომისიის მიერ მერიის თანამშრომლის ადმინისტრაციული რესურსების არამიზნობრივი გამოყენებისთვის პასუხისმგებლობის თავიდან არიდებას ეხებოდა, რასაც გაფრთხილება მოჰყვა. დანარჩენი საქმეები არ დაკმაყოფილდა. ერთ შემთხვევაში, რომელიც საეთერო დროის გამოყენებას ეხებოდა, დაკისრებული ჯარიმა შემცირდა, ხოლო მეორე შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ ცესკოს რეგისტრაციაზე უარის გადაწყვეტილება გააუქმა და მისი ხელახალი განხილვა დაავალა.

¹³³ კანონი შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ დებულებებს უფასო საეთერო დროის მიღების უფლების, მაუწყებლების ვალდებულებების, წინასაარჩევნო ბლოკების აკრძალვისა და საეთერო დროის გამოყენებაზე დაწესებული შეზღუდვების შესახებ, რაც უკავშირდება „სხვა საარჩევნო სუბიექტის წინასაარჩევნო მიზნებისთვის“ კამპანიის წარმოებას. ამასთან, კანდიდატების რეგისტრაციისა და წინასაარჩევნო კამპანიის ვადებს შორის შეუსაბამობამ გამოიწვია, რომ ცესკომ, კომუნიკაციების კომისიამ და სასამართლოებმა სანქციები დააკისრეს სამ ოპოზიციურ პარტიასა და ექვს მაუწყებელს, რომლებიც მმართველი პარტიის წინააღმდეგ რეკლამებს ავრცელებდნენ და მიჩნეულ იქნა, ისეთი საჯაროდ გამოცხადებული კოალიციის სასარგებლოდ, რომელსაც სამართლებრივი სტატუსი არ გააჩნდა. ამავდროულად, საარჩევნო ადმინისტრაციამ არ გამოიყენა იგივე ლოგიკა „ქართული ოცნების“ კანდიდატების მიერ ადმინისტრაციული რესურსების სავარაუდო არამიზნობრივი გამოყენების შემთხვევებში და განმარტა, რომ მსგავსი შეზღუდვები მხოლოდ კანდიდატების რეგისტრაციის დასრულების შემდეგ ვრცელდება.

¹³⁴ მაგალითად, საქმეები რომლებიც ეხებოდა საჯარო მოხელეებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის წევრების მიერ პირადი სოციალური ქსელების მეშვეობით მმართველი პარტიის მხარდამჭერ სავარაუდო წინასაარჩევნო აგიტაციის შემთხვევებს, მოხელეთა განმარტებაზევე დაყრდნობით არ დააკმაყოფილეს. ანალოგიურ შემთხვევებში, როდესაც საქმე ოპოზიციის მხარდამჭერებს ეხებოდათ, მათ სანქციები დააკისრეს.

მიუკერძოებლად გადაწყვეტის კუთხით კვლავ დაბალი იყო. ეს გარემოება, აღნიშნულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების გაჭიანურებასთან და დაზარალებულ მხარეებთან არასაკმარის კომუნიკაციასთან ერთად, ზღუდავდა დაზარალებულ პირების მზადყოფნას განეცხადებინათ პრეტენზიები.¹³⁵ გარდა ამისა, შეზღუდული ვადები, არასათანადო გამოძიება და საჩივრების განხილვა, კანონმდებლობის არათანმიმდევრული გამოყენება და პროცედურული გაუმჭვირვალობა ერთობლივად ძირს უთხრიდა ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის უფლებას, რაც ეუთოს ვალდებულებებსა და საერთაშორისო სტანდარტებს ეწინააღმდეგება.¹³⁶

XIV. არჩევნებზე დაკვირვება

საარჩევნო კოდექსი ადგილობრივ და საერთაშორისო დამკვირვებლებსა და ასევე საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებს არჩევნების მთელ პროცესზე დაკვირვების შესაძლებლობას აძლევს.¹³⁷ ცესკომ ინკლუზიური მიდგომით აკრედიტაცია მიაწია 101 სადამკვირვებლო ორგანიზაციას, რომელთა მიერ დანიშნული 23,153 დამკვირვებელი მონაწილეობდა საარჩევნო პროცესის მონიტორინგში, ასევე 76 საერთაშორისო ორგანიზაციასა და დიპლომატიურ წარმომადგენლობას, რომელთაც ჯამში 1,713 დამკვირვებელი ჰყავდათ. გამჭვირვალობის ხელშეწყობის მიზნით, რამდენიმე ადგილობრივმა სადამკვირვებლო ჯგუფმა ჩაატარა გრძელვადიანი დაკვირვება, რომლის ფარგლებშიც შეფასდა სამართლებრივი ჩარჩო, წინასაარჩევნო გარემო, ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენება და საარჩევნო დავების გადაწყვეტა.¹³⁸

¹³⁵ საჯაროდ გავრცელებული ზოგიერთი შემთხვევის მიხედვით, როდესაც პარტიული ქონებისა და წინასაარჩევნო მასალების დაზიანება მოხდა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქმის წარმოება არ დაიწყო, ოფიციალური სამართლებრივი შეტყობინების არარსებობის საფუძველზე. ეს და სხვა საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული შემთხვევები განხილული იყო თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის (IATF) სხდომებზე, რომლის მანდატი საჯარო მოხელეთა მიერ საარჩევნო დარღვევების პრევენციასა და მათზე რეაგირებას მოიცავს. კენჭისყრის დღემდე სამართლიანი არჩევნების უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფმა ცხრა შეხვედრა გამართა, სადაც ძირითადად მედიის მიერ გავრცელებული საკითხები განიხილებოდა. ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა ინციდენტებზე მათ მხოლოდ შეზღუდული ინფორმაცია მიაწოდეს და შეხვედრებში მონაწილეობაზე უარი თქვეს, რადგან მიიჩნევდნენ, რომ ჯგუფის მუშაობა არაეფექტური იყო.

¹³⁶ [1990 წლის ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის](#) 5.10 პარაგრაფის თანახმად, თითოეულ პირს უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალება ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების გასაჩივრებისთვის, რათა ფუნდამენტური უფლებების დაცვა გარანტირებული იყოს. აგრეთვე იხილეთ 2022 წლის გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის [დასკვნითი დაკვირვებები](#), სადაც გამოთქმულია შემოთავაზება სახელმწიფოში სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მუდმივ ნაკლებობაზე გავრცელებული ცნობების თაობაზე.

¹³⁷ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც კენჭისყრის დღემდე მინიმუმ ერთი წლით ადრე არიან რეგისტრირებული, ასევე უცხოური და საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომელთა წესდებებიც საარჩევნო დაკვირვებას და/ან ადამიანის უფლებების დაცვას ითვალისწინებს, შეუძლიათ შეიტანონ განაცხადი დამკვირვებლის აკრედიტაციის მისაღებად.

¹³⁸ სხვა ორგანიზაციებთან ერთად, *სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ* (ISFED) შეაფასა საარჩევნო სამართლებრივი ჩარჩო, საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობა და წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება; *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია* (GYLA) ყურადღებას ამახვილებდა ადამიანის უფლებებზე, კანონის უზენაესობაზე და

მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო დაკვირვების გარემო შესამჩნევი იყო, ბევრმა ადგილობრივმა დამკვირვებელმა აღნიშნა, რომ „უცხოური ზეგავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის სტიგმატიზაციის ეფექტმა, როგორც არჩევნებამდე, ასევე საარჩევნო პროცესის განმავლობაში, მათ საქმიანობაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა. ამასთან, შეუსრულებლობის შემთხვევაში შესაძლო სანქციებმა ხელი შეუშალა მათ თავისუფლად ფუნქციონირებას ზეწოლისგან დაცულ გარემოში. ზოგიერთი ორგანიზაცია ასევე აღმოჩნდა სახელმწიფო უწყებებისა და მმართველი პარტიის მიერ დისკრედიტაციის კამპანიის სამიზნე, რომლის მიზანი მათი სანდოობისადმი საზოგადოების ნდობის შერყევა იყო.¹³⁹ კენჭისყრის დღეს, რამდენიმე ადგილობრივმა დამკვირვებელმა ჯგუფმა განაცხადა მათი წარმომადგენლების დაშინებისა და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების მხრიდან მათ საქმიანობაში ჩარევის შემთხვევებზე (*იხილეთ კენჭისყრის დღე*). საარჩევნო დამკვირვებლების საქმიანობის დაცვის მექანიზმების ვერ უზრუნველყოფა ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებს.¹⁴⁰

2022 წლის დეკემბერში მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებმა აამოქმედა ნორმები, რომლებიც პოლიტიკურ პარტიებთან აფილირებულ პირებს ადგილობრივი დამკვირვებლის სტატუსით მოქმედებას უკრძალავს. მიუხედავად ამისა, ზოგიერთმა პოლიტიკურმა პარტიამ მაინც დაარეგისტრირა მათთან დაკავშირებული პირები ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფების მეშვეობით, რათა საარჩევნო უბნებზე საკუთარი წარმომადგენლობა გაეზარდათ. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის ანგარიშების მიხედვით, ასეთი პირები ხშირად ერეოდნენ საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობაში და მონაწილეობდნენ ამომრჩეველთა აღრიცხვაში, ხშირად მმართველი პარტიის სახელით (*იხილეთ კენჭისყრის დღე*).¹⁴¹ ადგილობრივი დამკვირვებლების პოლიტიკური

დემოკრატიულ მმართველობაზე; *საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო* (TI Georgia) აკვირდებოდა პოლიტიკური დაფინანსებასა და გენდერული საკითხებს, ხოლო *მრავალეროვანი საქართველო* (PMMG) ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი უმცირესობების უფლებების უჭერდა მხარს.

¹³⁹ 24 სექტემბერს, ანტიკორუფციულმა ბიურომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ „გაცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე სუბიექტად“ მოიხსენია, რის შედეგადაც ორგანიზაციამ დროებით შეაჩერა არჩევნებზე დაკვირვება. აღნიშნული საქმიანობა მხოლოდ 2 ოქტომბერს განახლდა, მას შემდეგ, რაც ანტიკორუფციულმა ბიურომ ორგანიზაციას აღნიშნული სტატუსი გაუუქმა.

¹⁴⁰ [1990 წლის ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის](#) 8-ე პარაგრაფის თანახმად, „მონაწილე სახელმწიფოები მიიჩნევენ, რომ როგორც უცხოელი, ასევე ადგილობრივი დამკვირვებლების ყოფნა ხელს უწყობს საარჩევნო პროცესის გაუმჯობესებას“.

¹⁴¹ სამოქალაქო დამკვირვებელთა შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი წარმომადგენლობით ორი ორგანიზაცია – ადვოკატებისა და იურისტების საერთაშორისო ობსერვატორია (2,491 დამკვირვებელი) და „პოლიტიკისა და სამართლის დამკვირვებელი“ (2,654 დამკვირვებელი), ასევე საქართველოს ტრენინგისა და განვითარების ინსტიტუტი (1,364 დამკვირვებელი) – მმართველ პარტიასთან კავშირის ნიშნებს ავლენდნენ. მეორე მხრივ, „თავისუფალი ხმა“ (1,610 დამკვირვებელი), „მონიტორინგის ცენტრი – საზოგადოება“ (1,038 დამკვირვებელი), „სოციალური გარემო“ (206 დამკვირვებელი) და „ამერიკის მხარდამჭერთა ლიგა“ (234 დამკვირვებელი) სხვადასხვა ოპოზიციურ ძალებთან ასოცირდებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ჯგუფებმა, წინა არჩევნების მსგავსად, მნიშვნელოვანი რაოდენობის დამკვირვებლები განათავსეს უბნებზე, მათ თავიანთი დაკვირვებების შესახებ რაიმე ანგარიში არ გამოუქვეყნებიათ.

მიზნებისთვის გამოყენებამ შესაძლოა დააზიანა მათი სადამკვირვებლო როლი და ზოგიერთ შემთხვევაში ხელი შეუწყო გარემოს, რომელიც ამომრჩეველთა დაშინებას აღრმავებდა.

არჩევნებზე დაკვირვების სანდოობის უზრუნველსაყოფად, სასურველია, ხელისუფლებამ უზრუნველყო, რომ ადგილობრივ დამკვირვებლებს შეეძლოთ საქმიანობა ზეწოლისა და დაშინების გარეშე და ჰქონდეთ შეუფერხებელი წვდომა ყველა შესაბამის ინფორმაციაზე.

პარტიული და არაპარტიული დაკვირვების მკაფიო გამიჯვნის უზრუნველსაყოფად, საჭიროა, პოლიტიკური პარტიებმა თავი შეიკავონ დამკვირვებლის სტატუსის არამიზნობრივი გამოყენებისგან.

XV. კენჭისყრის დღე

კენჭისყრის დღის პროცედურები, ზოგადად, მოწესრიგებულად ჩატარდა, თუმცა იგი ხასიათდებოდა დამაბული გარემოთი, რასაც განაპირობებდა ამომრჩევლებზე ზეწოლის ფართოდ გავრცელებული ნიშნები, მრავალი შემთხვევა, როდესაც ამომრჩევლები ზეწოლას განიცდიდნენ და ამომრჩეველთა თვალთვალი, რომელიც ძირითადად მმართველი პარტიის სტრუქტურებისა და მათთან დაკავშირებული პირების მიერ ხორციელდებოდა; ასევე გამოვლინდა საარჩევნო უბნებზე გადატვირთულობა და ხმის საიდუმლოების დაცვის ხშირი დარღვევები. გარდა ამისა, დაფიქსირდა ფიზიკური დაპირისპირებისა და დაშინების რამდენიმე ინციდენტი.¹⁴² შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩევლებისთვის საარჩევნო უბნებზე წვდომა მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა, რადგან საარჩევნო უბნების დაახლოებით 65 პროცენტი ეტლით მოსარგებლე პირებისთვის რთულად მისადგომი იყო, ხოლო 38 პროცენტს არ ჰქონდა მათთვის შესაფერისი შიდა დაგეგმარება.

A. უბნების გახსნა და კენჭისყრის პროცესი

საარჩევნო უბნების უმეტესობა დროულად გაიხსნა, მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა დაგვიანებისა, რაც ორგანიზაციულ პრობლემებსა და ამომრჩეველთა იდენტიფიკაციისა და ხმების დათვლის მოწყობილობების (VIDs და VCDs) გამართვის სირთულეებს უკავშირდებოდა. დამკვირვებელთა შეფასებით, 223 საარჩევნო უბნიდან 212-ში, უბნის გახსნის პროცესი დადებითად შეფასდა და ძირითადად პროცედურები დაცული იყო. უარყოფითი შეფასებები ძირითადად საარჩევნო კომისიის წევრების მიერ

¹⁴²

ყველაზე შესამჩნევი ინციდენტები მარნეულსა და თბილისში მოხდა, სადაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები ფიზიკური დაპირისპირების შედეგად დაშავდნენ, ერთ-ერთ მათგანს კი ჰოსპიტალიზაცია დასჭირდა. ხობში, თბილისში, წალენჯიხასა და ზუგდიდში როგორც ოპოზიციის, ისე მმართველი პარტიის მხარდამჭერებს შორის სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირებები მოხდა. ოპოზიციურმა პარტიებმა ცხრა სხვადასხვა ლოკაციაზე საარჩევნო უბნების მიმდებარედ, სავარაუდო კრიმინალური ჯგუფების ყოფნა დააფიქსირეს. კენჭისყრის დღეს, [პრეზიდენტმა](#) და [სახალხო დამცველმა](#) სამართალდამცავი ორგანოებისგან შესაბამისი რეაგირება მოითხოვეს. ერთ შემთხვევაში, საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის წევრები პირდაპირი დაშინების სამიზნე გახსდნენ, ხოლო მათი სატრანსპორტო საშუალება დაზიანდა.

პროცედურების არასაკმარის ცოდნას ან უზნებზე არაუფლებამოსილი პირების, მათ შორის კანდიდატთა წარმომადგენლებისა და ადგილობრივი დამკვირვებლების, უზნის გახსნის მოსამზადებელ სამუშაოებში დახმარებას უკავშირდებოდა.

ხმის მიცემის პროცესი უმეტეს შემთხვევაში პროცედურულად კარგად ორგანიზებულად შეფასდა. თუმცა, 1,924 დაკვირვებიდან 6 პროცენტში, რაც მნიშვნელოვან რაოდენობას წარმოადგენს, პროცესი უარყოფითად შეფასდა, ძირითადად ამომრჩეველზე ზეწოლისა და დაშინების ნიშნების გამო, რომლებიც ზოგჯერ დაძაბულობას, არეულობასა და საარჩევნო უზნებზე გადატვირთულობასთან ერთად ვლინდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ კანონის დარღვევა არ არის, პარტიის წარმომადგენლები, უმეტესად „ქართული ოცნებიდან“, უმეტეს საარჩევნო უბანზე ხმის მიცემის პროცესს ვიდეოჩაწერას ახორციელებდნენ. დაკვირვების მიხედვით, ამ ქმედებას აშკარად დამაშინებელი ეფექტი ჰქონდა, რადგან კამერები ხშირად მიმართული იყო ამომრჩეველთა იდენტიფიკაციის მოწყობილობებისა (VIDs) ან კენჭისყრის კაბინებისკენ, რაც ხმის ფარულობის შესაძლო დარღვევას იწვევდა.¹⁴³ უცნობი პირები ამომრჩეველების გადაადგილებას საარჩევნო უზნების გარეთ აკვირდებოდნენ (10 პროცენტი), ხშირად აკრძალულ 100-მეტრიან პერიმეტრშიც. ასევე, 7 პროცენტში დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც პარტიის წარმომადგენლები საარჩევნო უზნებში ამომრჩეველების მონიტორინგს ახორციელებდნენ. ამომრჩეველთა დაშინების ეს ფართოდ გავრცელებული აღქმა ეწინააღმდეგება ეუთოს ვალდებულებებსა და სხვა საერთაშორისო სტანდარტებს¹⁴⁴ საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებმა, ჯგუფური ან საოჯახო ხმის მიცემის ფაქტები 4 პროცენტ საარჩევნო უბანზე დააფიქსირეს. დამკვირვებლებმა ასევე მიიღეს სარწმუნო ინფორმაცია ხმის ყიდვის რამდენიმე შემთხვევის შესახებ.¹⁴⁵

სასურველია, გატარდეს ეფექტური ზომები რათა მოქალაქეებმა კენჭისყრის დღეს ხმის მიცემა შეძლონ დაშინებისა და ზეწოლისგან თავისუფალ გარემოში, ხოლო პასუხისმგებელმა უწყებებმა, საჭიროა, გამოავლინონ მსგავსი პრაქტიკები და მყისიერად მოახდინონ რეაგირება დაფიქსირებულ შემთხვევებზე.

ხმის ფარულობის შესაძლო დარღვევები დაფიქსირდა დაკვირვების არეალში მოქცეული შემთხვევების 24 პროცენტში, რაც გამოწვეული იყო ბიულეტენების საარჩევნო ყუთებში

¹⁴³ ცესკოს დადგენილება №42/2012, რომელიც არეგულირებს საარჩევნო უზნებში ვიდეოკამერების გამოყენებას, განსაზღვრავს, რომ ნებისმიერი ვიდეოგადაღება უნდა განხორციელდეს სპეციალურად გამოყოფილი ადგილიდან, შესაძლებლობისდაგვარად, არანაკლებ სამი მეტრის დაშორებით იმ ობიექტისგან, რომელსაც კამერა იღებს, ისე, რომ საარჩევნო ყუთი ჩანს.

¹⁴⁴ [1990 წლის ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის](#) 7.7 პარაგრაფის მიხედვით, წინასაარჩევნო კამპანია უნდა ჩატარდეს სამართლიან და თავისუფალ გარემოში, სადაც არც ადმინისტრაციული ქმედებები, არც ძალადობა და არც დაშინება არ უშლის ხელს პარტიებსა და კანდიდატებს, თავიანთი შეხედულებებისა და კვალიფიკაციის თავისუფლად წარმოჩენაში, ასევე, არ ზღუდავს ამომრჩეველებს, თავისუფლად მიიღონ და განიხილონ ინფორმაცია და შურისძიების შიშის გარეშე დააფიქსირონ თავიანთი ნება. 1996 წლის [გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №25](#) (ICCPR-ზე) განმარტავს, რომ „ამომრჩეველებმა უნდა შეძლონ დამოუკიდებლად ჩამოიყალიბონ მოსაზრებები, ყოველგვარი ძალადობის, ძალადობის მუქარის, იძულების, ზეწოლის ან მანიპულაციური ჩარევის გარეშე“.

¹⁴⁵ გარდა ამისა, ცესკოს ცნობით, მარნეულში ერთ საარჩევნო უბანზე კენჭისყრა გაუქმდა საარჩევნო ყუთში ბიულეტენების თვითნებური ჩაყრის ფაქტის გამო.

შეცურების პროცესით, 12 პროცენტში – ბიულეტენების შევსების წესით, ხოლო 7 პროცენტში – საარჩევნო უბნების არასათანადო შიდა განლაგებით. საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის (IEOM) დამკვირვებლებმა გამოავლინეს ამ დარღვევების გამომწვევი რამდენიმე ფაქტორი, მათ შორის: საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების, საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლების ან დამკვირვებლების სიახლოვე საარჩევნო ყუთებთან ან ხმის მიცემის კაბინებთან (დაკვირვების არეალში მოქცეული შემთხვევების 16 პროცენტში), უბნებზე გადატვირთულობა (16 პროცენტი), საარჩევნო ბიულეტენების ჩასადების ან კონვერტების არასწორი გამოყენება (9 პროცენტი), საარჩევნო ბიულეტენების ნიშნების გაჟონვა (6 პროცენტი), ასევე ვიდეოკამერების გამოყენება, რაც ამომრჩეველთა არჩევანის გამჟღავნების საფრთხეს ქმნიდა. ამ საკითხებმა, ასევე ხმებმა იმის შესახებ, რომ ამომრჩეველთა სარეგისტრაციო მოწყობილობების (VCD) გამოყენებით შეიძლებოდა ამომრჩეველთა არჩევანის თვალთვალი, ბევრ ამომრჩეველში შექმნა განცდა, რომ მათი ხმის საიდუმლოება დაირღვა.

ხელისუფლებამ მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა ხმის ფარულობის უზრუნველსაყოფად, მათ შორის, საარჩევნო უბნების განლაგებისა და საარჩევნო მასალების დიზაინის გაუმჯობესებით. საარჩევნო კომისიებმა ზედმიწევნით უნდა დაიცვან პროცედურული გარანტიები, თავიდან აიცილონ გადატვირთულობა და ამომრჩეველთა არასათანადო მეთვალყურეობა საარჩევნო უბნებზე.

დამატებითი სერიოზული პროცედურული შეუსაბამობები მოიცავდა ამომრჩეველთა მარკირების პრაქტიკის არათანმიმდევრულ გამოყენებას (ყველა დაკვირვების 7 პროცენტში, მათ შორის ტრადიციული ხმის მიცემის უბნებზე – 10 პროცენტში) ან ამომრჩეველთა მარკირების წესის დარღვევას ხმის მიცემამდე (ყველა საარჩევნო უბნის 4 პროცენტში). ამომრჩეველთა იდენტიფიკაციის მოწყობილობებმა ზოგ შემთხვევაში ვერ წაიკითხეს ამომრჩევლის პირადობის მოწმობები, რის გამოც მონაცემების ხელით შეყვანა გახდა საჭირო; ეს პროცესი ასევე აუცილებელი იყო იმ ამომრჩევლებისთვის, რომლებიც პასპორტს იყენებდნენ, რაც ამ პროცესს ადამიანური შეცდომებისა და მისი შესაძლო ბოროტად გამოყენებისადმი მოწყვლადს ხდიდა. რამდენიმე ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები ხელს უშლიდნენ ამომრჩეველთა იდენტიფიკაციის პროცესზე დაკვირვებაში, მათ ასევე გამოხატეს შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ საარჩევნო უბნების განლაგება აფერხებდა ეფექტიან დაკვირვებას, რადგან რეგისტრატორების მაგიდები ხშირად ისე იყო განთავსებული, რომ ხელს უშლიდა მათ პროცედურების ნათლად დანახვაში.

ხმის მიცემის პროცესის სამართლიანობისა და საზოგადოებრივი ნდობის განსამტკიცებლად, სასურველია, ხელისუფლებამ გააძლიეროს გამჭვირვალობა და გააუმჯობესოს ამომრჩევლის იდენტიფიკაციის პროცედურების სისწორე და გამართულობა. ამომრჩეველთა იდენტიფიკაციის მოწყობილობების გამოყენებისას, საჭიროა შემუშავდეს გზები, რომლებიც ამომრჩეველთა პირადი ნომრების ხელით შეყვანის საჭიროებას შეამცირებს.

ამომრჩეველთა იდენტიფიცირებისა და ხმის დამთვლელი ელექტრონული მოწყობილობებით აღჭურვილ უბნებზე დაკვირვების შემთხვევათა 99 და 98 პროცენტში, შესაბამისად, მოწყობილობები სრულად გამართულად ფუნქციონირებდნენ; გამონაკლისი

შემთხვევები დაფიქსირდა მხოლოდ მწყობრიდან გამოსული მოწყობილობისა და ამომრჩეველთა იდენტიფიცირების მოწყობილობებს შორის მონაცემთა სინქრონიზაციასთან დაკავშირებული იშვიათი ხარვეზების გამო.¹⁴⁶ მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს ჰქონდა შესაბამისი ცოდნა მოწყობილობების გამოყენების შესახებ, უბნების 9 პროცენტში ყველა ამომრჩეველს სრულად ვერ მიაწოდეს ინსტრუქცია ბიულეტენის მონიშვნისა და ხმის დაფიქსირების პროცესთან დაკავშირებით, რაც მნიშვნელოვანი მოქმედებაა ბათილი ბიულეტენების შემცირებისა და ხმის ფარულობის დასაცავად. ტრადიციული ხმის მიცემის მეთოდით მოქმედ უბნებზე, ამომრჩეველთა ინსტრუქციის გაწევის პროცედურას საუბნო საარჩევნო კომისიის რეგისტრატორები 26 პროცენტ შემთხვევაში უგულვებლყოფდნენ. ტექნოლოგიებით აღჭურვილი საარჩევნო უბნების 54 პროცენტში, ზოგიერთ ამომრჩეველს სრულად არ ესმოდა, როგორ უნდა შეეცურებინა ბიულეტენი საარჩევნო ყუთზე დამაგრებულ ელექტრონულ მოწყობილობაში.

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები საარჩევნო უბნების 97 პროცენტში ესწრებოდნენ საარჩევნო პროცესს, ადგილობრივი დამკვირვებლები კი – 89 პროცენტში, რაც პროცესის გამჭვირვალობას უწყობდა ხელს. თუმცა, საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის (IEOM) წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ დაკვირვებული უბნების 28 პროცენტში, დამკვირვებლად აკრედიტირებული პირები, ფაქტობრივად, საარჩევნო სუბიექტების სახელით მოქმედებდნენ, რამაც მათი სადამკვირვებლო როლი შეასუსტა. კენჭისყრის პროცესის 7 პროცენტში არაუფლებამოსილი პირები, ძირითადად საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები და ადგილობრივი დამკვირვებლები, ერეოდნენ ამომრჩეველთა იდენტიფიკაციის პროცესში, ამლევდნენ მათ მითითებებს ან მონაწილეობდნენ ბიულეტენების გადაცემაში. ადგილობრივმა დამკვირვებლებმა ასევე აღნიშნეს ზეწოლისა და მუქარის შემთხვევები საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისა და პარტიული წარმომადგენლების მხრიდან; ზოგიერთ შემთხვევაში, მათ უარი ეთქვათ საჩივრის შეტანის ან საუბნო საარჩევნო კომისიის სარეგისტრაციო ჟურნალში შენიშვნების დაფიქსირების უფლებაზე, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში, ისინი უბნებიდან გააძევეს.

B. ხმების დათვლა და დაჯამება

საარჩევნო უბნები, ძირითადად, დროულად დაიხურა. წინასწარი შედეგები დადგინდა ხმების დამთვლელი ელექტრონული მოწყობილობების (VCDs) მეშვეობით იმ საარჩევნო უბნებში, სადაც ელექტრონული მოწყობილობები გამოიყენებოდა, ხოლო ოფიციალური შედეგები ყველა საარჩევნო უბანში სავალდებულო ხელით გადათვლას დაეფუძნა.¹⁴⁷ საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის (IEOM) დამკვირვებლებმა ხმების დათვლის პროცესი უარყოფითად შეაფასეს 195 საარჩევნო უბნიდან 24-ში, რაც მაღალი მაჩვენებელია;

¹⁴⁶ ცესკოს ინფორმაციით, კენჭისყრის დღეს გამოყენებული 15,000 მოწყობილობიდან მხოლოდ 20-ში დაფიქსირდა სერიოზული ხარვეზი, რის შედეგადაც ისინი ფუნქციონირებიდან ამოიღეს; თუმცა, ყველა საარჩევნო უბანზე ხმის მიცემის პროცესი შეფერხების გარეშე გაგრძელდა და ტრადიციულ ბიულეტენებზე დაბრუნება არ გახდა აუცილებელი.

¹⁴⁷ კენჭისყრის დღის შემდეგ, ცესკომ განაცხადა, რომ შვიდმა საუბნო საარჩევნო კომისიამ ვერ მოახერხა ყველა ხმების დამთვლელი მოწყობილობის მონაცემების სწორად სინქრონიზება და შეჯამება, რაც მნიშვნელოვანი შეუსაბამობების მიზეზი გახდა ხელით გადათვლის შედეგებსა და თავდაპირველად ონლაინ ატვირთულ ხმების დამთვლელი მოწყობილობების ანგარიშებში ასახულ მონაცემებს შორის.

მათ მიუთითეს პროცედურული შეცდომებზე და საუბნო საარჩევნო კომისიების (PEC) წევრთა მიერ დათვლის პროცედურების არასათანადო ცოდნაზე. გამოვლენილი ხარვეზები მოიცავდა: ხმის დათვლის დადგენილი თანმიმდევრობის დაუცველობას 50 შემთხვევაში, გამოუყენებელი ბიულეტენების გაუქმების უგულვებელყოფას 40 შემთხვევაში და საარჩევნო მასალების დალუქვის პროცედურის დარღვევას დათვლის დაწყებამდე 67 შემთხვევაში. 28 შემთხვევაში, ხმების დათვლისას, ბიულეტენზე მოცემული არჩევანი ხმამაღლა არ გამოცხადდა.

ხელით გადათვლის დროს, ბიულეტენის ნამდვილობა 23 შემთხვევაში არ განისაზღვრა სრულად რეგულაციების შესაბამისად და 21 შემთხვევაში არათანმიმდევრულად იქნა გამოყენებული, ძირითადად იმ საარჩევნო უბნებში, რომლებიც ხმების დამთვლელ მოწყობილობებს იყენებდნენ. 38 შემთხვევაში დაფიქსირდა მცირე შეუსაბამობები ხმების დამთვლელი მოწყობილობების შედეგებსა და ხელით გადათვლის შედეგებს შორის, რაც ძირითადად ნამდვილი ბიულეტენების განსხვავებული შეფასების კრიტერიუმებით იყო გამოწვეული.¹⁴⁸ დამკვირვებლებმა 31 შემთხვევაში აღნიშნეს სირთულეები შედეგების შემოწმებადი ოქმების შევსებისას. დათვლისას შეცდომების გამო, 42 შემთხვევაში მოითხოვეს შესწორება ან გადათვლა. საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები და ადგილობრივი დამკვირვებლები თითქმის ყველა საარჩევნო უბანზე იმყოფებოდნენ (188 და 176 შემთხვევაში, შესაბამისად). თუმცა, 27 შემთხვევაში დაფიქსირდა საარჩევნო პროცესში საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლების, ადგილობრივი ან სახელმწიფო მოხელეების, ან დამკვირვებლების ჩარევა. 37 საარჩევნო უბანზე, საუბნო საარჩევნო კომისიებმა შემოწმებული ოქმი საჯაროდ არ გამოაკრეს, რაც გამჭვირვალობას ზღუდავდა.

კენჭისყრის დამეს, საოლქო საარჩევნო კომისიებს დაევალიათ საუბნო საარჩევნო კომისიების შედეგების შემოწმებადი ოქმების სისწორის გადამოწმება და, საჭიროების შემთხვევაში, გადათვლის განხორციელება შეუსაბამობების აღმოსაფხვრელად. მიუხედავად იმისა, რომ ყველა 73 დაკვირვებულ საოლქო საარჩევნო კომისიაში საარჩევნო მასალების დამუშავება დადებითად შეფასდა, 9 შემთხვევაში საოლქო კომისიებმა შემოწმებული ოქმების გადამოწმება არათანმიმდევრულად განახორციელეს, ხოლო 5 შემთხვევაში ეს პროცედურა საერთოდ არ ჩაუტარებიათ. მიუხედავად იმისა, რომ უბნის შედეგები და ოქმების ასლები ოპერატიულად აიტვირთა ცესკოს ვებგვერდზე, სხვა მნიშვნელოვანი მონაცემები, როგორცაა ამომრჩეველთა აქტივობა თითოეული უბნის მიხედვით და ბათილი ბიულეტენების რაოდენობა, არ გამოქვეყნდა მომხმარებლისთვის ადვილად აღქმად ფორმატში.¹⁴⁹ წინასწარი შედეგების შეჯამება ცესკოში ჩატარდა, საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებისა და დამკვირვებლების გარეშე. უმეტესმა საოლქო საარჩევნო კომისიამ, კანონით მოთხოვნილი, ოლქის დონეზე, შედეგების დაჯამება კენჭისყრიდან რამდენიმე დღეში განახორციელა, რაც პროცესის გამჭვირვალობას ამცირებდა.

¹⁴⁸ ეს განსხვავებები მოიცავდა იმ შემთხვევებს, როდესაც ნამდვილ ხმებად ჩაითვალია ბიულეტენები, რომლებზეც ნიშნები არასწორად იყო დასმული, თუმცა ამომრჩევლის ნება მკაფიოდ იკვეთებოდა, ან გაუქმდა ბიულეტენები, რომლებზეც ნიშნები შემთხვევით სცდებოდა განსაზღვრულ წრეებს.

¹⁴⁹ ორმაგი შეყვანის პროცედურის გამოყენებით, ცესკოს მონაცემთა ოპერატორებმა ხელით გადათვლის შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ გადაგზავნილი შემოწმებული ოქმების ფოტოებიდან მონაცემები ელექტრონულ სისტემაში შეიყვანეს.

სამართლებრივი დებულებების შესაბამისად, შემაჯამებელ ოქმებში ცვლილებები, უთანხმოების შემთხვევაში, მხოლოდ საოლქო საარჩევნო კომისიაში უნდა განხორციელდეს და აუცილებელია ეს პროცესი ჩატარდეს გამჭვირვალედ, პარტიების წარმომადგენლებისა და დამკვირვებლების მონაწილეობით. ცესკომ, სასურველია, ოპერატიულად გამოაქვეყნოს ამომრჩეველთა აქტიურობის მონაცემები წინასწარ შედეგებთან ერთად, ისევე როგორც, თითოეული საარჩევნო უბნის ბათილი ბიულეტენების რაოდენობა.

კენჭისყრის დასრულების შემდეგ, ცესკომ საარჩევნო უბნებიდან ელექტრონულად მიღებული არასრული შედეგები გამოაქვეყნა და იმავე დღის 21:45 საათზე გამოაცხადა წინასწარი შედეგები, რომლებიც დაფუძნებული იყო ამ უბნების 97 პროცენტის მონაცემებზე.

XVI. კენჭისყრის დღის შემდეგ განვითარებული მოვლენები

კენჭისყრის დამეს, წინასწარი შედეგების გამოქვეყნებიდან მალევე, ყველა ოპოზიციურმა პარტიამ, რომელმაც საარჩევნო ზღვარი გადალახა, ასევე ქვეყნის პრეზიდენტმა, უარყვეს წინასწარი შედეგები, რომლებიც მმართველი პარტიის გამარჯვებაზე მიუთითებდა. ისინი აღნიშნავდნენ დარღვევებს, რომლებიც, როგორც არჩევნების დღეს, ისე მის წინა პერიოდში, ადგილობრივი დამკვირვებლებისა და პარტიის წარმომადგენლების მიერ იყო დაფიქსირებული.¹⁵⁰ ამ დარღვევებს შორის იყო ამომრჩეველთა დაშინება და სხვის მაგივრად ხმის მიცემა, ხმის ყიდვა, ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა და პროცესში რუსეთის ფედერაციის სავარაუდო ჩარევა. ხელისუფლებამ ეს ბრალდებები უარყო და ოპოზიციას არეულობის გამოწვევის განზრახვაში დაადანაშაულა.¹⁵¹

მთავარი სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული წინასწარი ანგარიშები, რომელთა დიდი ნაწილი კენჭისყრის მომდევნო დღეს გამოქვეყნდა, ძირითადად ასახავდა მათ შემფოთებას კენჭისყრის დღის მოვლენებთან დაკავშირებით.¹⁵² "სამართლიანმა არჩევნებმა" (ISFED) განაცხადა, რომ ოფიციალური წინასწარი შედეგები მისი პარალელური ხმის დათვლის (PVT) შედეგებს ემთხვეოდა, თუმცა აღნიშნა, რომ ეს შედეგები ამომრჩეველთა ნამდვილ ნებას არ გამოხატავდა, საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემების გამო და გადაწყვიტა, რომ PVT-ს შედეგები არ გამოქვეყნებინა. ასევე, არჩევნებიდან ორი დღის შემდეგ, გამჭვირვალობა - საქართველოს (TI Georgia)

¹⁵⁰ ცესკოს [წინასწარი](#) შედეგების მიხედვით, „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო ხმების 54 პროცენტი, მას მოსდევს „ახალი“ 11 პროცენტით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – 10 პროცენტით, „ძლიერი საქართველო – ლელო“ – 8.8 პროცენტით და „საქართველოსთვის“ – 7.7 პროცენტით.

¹⁵¹ პრემიერ-მინისტრმა [განაცხადა](#), რომ ოპოზიციას „ღირსება არ ჰყოფნიდა თავისი მარცხის აღიარებისთვის“, ხოლო პარლამენტის თავმჯდომარემ ოპოზიციას და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები საარჩევნო დარღვევებზე დეზინფორმაციის გავრცელებაში [დაადანაშაულა](#).

¹⁵² ეს ანგარიშები ასახავდა სხვადასხვა პროცედურულ ხარვეზსა და დარღვევას, თუმცა ისინი არ შეფასებულა როგორც სისტემური ან ორგანიზებული. ასევე დაფიქსირდა ცალკეული სერიოზული დარღვევები, როგორცაა ხმების ყიდვა, საარჩევნო ყუთში ბიულეტენების ჩაყრა, ამომრჩეველთა დაშინება და მრავალჯერადი ხმის მიცემა. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ [ISFED-ის](#), [GYLA-ს](#), [TI Georgia-ს](#) „[ჩემი ხმა ევროკავშირისთვის](#)“ და [PMMG-ის](#) ანგარიშებში.

ხელმძღვანელობით მოქმედმა დამკვირვებელთა კოალიციამ „ჩემი ხმა ევროკავშირისთვის“ აღნიშნა, რომ დაფიქსირებული და სავარაუდო დარღვევები ორგანიზებული საარჩევნო მანიპულაციის მტკიცებულებას წარმოადგენდა. ამ განცხადებების ფონზე, 31 ოქტომბერს, ყველა ოპოზიციურმა პარტიამ გამოაცხადა, რომ უარს იტყოდნენ საპარლამენტო მანდატებზე, პრეზიდენტთან ერთად ჩამოაყალიბებდნენ მრავალპარტიულ კოალიციას და საარჩევნო პროცესის საერთაშორისო გამოძიება მოითხოვეს.¹⁵³ 28 ოქტომბრიდან, თბილისში და ბათუმში ოპოზიციური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ რამდენიმე აქცია გაიმართა, სადაც ისინი კვლავ იმავე მოთხოვნებს აჟღერებდნენ. სერიოზული შეშფოთება გამოიწვია 19 ნოემბერს პოლიციის მიერ ძალის გადამეტებულმა გამოყენებამ დემონსტრაციის დასასმელად, რაც მკაცრად გააკრიტიკეს სამოქალაქო საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა (*იხილეთ ქვემოთ დამატებითი ინფორმაცია ხელისუფლების რეაგირებასთან დაკავშირებულ შეშფოთებაზე*).¹⁵⁴

29 ოქტომბერს, კანონმდებლობის შესაბამისად, ყველა საოლქო საარჩევნო კომისიამ ხელახლა გადათვალა 366 შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული საარჩევნო უბნის შედეგები. გადათვლილი უბნების დაახლოებით 91 პროცენტში პირველადი შედეგები უცვლელად დადასტურდა, ხოლო 32 შემთხვევაში საჭირო გახდა შედეგების შემაჯამებელი ოქმების მცირე კორექტირება. ცესკომ ასევე გაავრცელა რამდენიმე განცხადება, სადაც უარყო არჩევნების მანიპულაციის შესახებ ბრალდებები და აღნიშნა, მისი აპარატის ზოგიერთ წევრზე, მათ შორის ცესკოს თავმჯდომარეზე, ზეწოლისა და მუქარის შემთხვევები.¹⁵⁵

კენჭისყრის დღეს და მის უშუალო შემდგომ პერიოდში, საოლქო საარჩევნო კომისიებმა მიიღეს 1,203 საჩივარი დამკვირვებლებისა და საარჩევნო სუბიექტებისგან, მათ შორის 537 მოთხოვნა ხმების ხელახლა დათვლის ან შედეგების ბათილად ცნობის შესახებ, 466 მოთხოვნა საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე, ასევე საჩივრები დამკვირვებლებისა და პარტიის წარმომადგენლების უფლებების განხორციელებაში ხელშეშლის შესახებ.¹⁵⁶

¹⁵³ იხილეთ „ჩემი ხმა ევროკავშირისთვის“ [ანგარიშში](#) წარმოდგენილი ინფორმაცია.

¹⁵⁴ ISFED-მა, TI Georgia-მ და სამოქალაქო საზოგადოების ფონდმა [დაგმეს](#) შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების დარღვევები საპროტესტო აქციების დროს. 19 ნოემბერს, საქართველოს სახალხო დამცველის ოფისმა განაცხადა, რომ მოინახულა 16 დაკავებული და ორი ჰოსპიტალიზებული პირი; ათი მათგანი, არსებული ცნობებით, პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობისა და ძალის გადამეტების მსხვერპლი აღმოჩნდა. ODIHR-მა [შეშფოთება გამოთქვა](#) ძალის გადამეტების გამო და ხელისუფლებას მშვიდობიანი დიალოგის დაწყებისკენ მოუწოდა.

¹⁵⁵ ცესკოს განცხადებები, სხვა საკითხებთან ერთად, ეხებოდა სავარაუდო საარჩევნო მანიპულაციების [ბრალდებებს](#), მათ შორის მრავალჯერად ხმის მიცემას და ხმის ფარულობის მასობრივ დარღვევებს; ბიულეტენების [ხარისხს](#); ხმების დამთვლელი მოწყობილობების (VCD) მიერ დათვლილ შედეგებსა და საუბნო საარჩევნო კომისიების ოფიციალურ შემაჯამებელ ოქმებს შორის აღმოჩენილ [შეუსაბამობებს](#); ამომრჩეველთა აქტივობის სტატისტიკური გამოკვლევისა და ამომრჩეველთა გენდერული მონაცემების [ანალიზის](#) შედეგად გამოვლენილ სავარაუდო [დარღვევებს](#).

¹⁵⁶ ბევრი საჩივარი ეხებოდა მარკირებასთან დაკავშირებულ ხარვეზებს, დაუღუპავ საარჩევნო მასალებს (როგორცაა გადასატანი საარჩევნო ყუთები და საუბნო საარჩევნო კომისიების სარეგისტრაციო ჟურნალები) ან ბათილი ბიულეტენების არასწორად შეფუთვას.

საჩივრების უმეტესობა არ დაკმაყოფილდა, ხოლო 170 მოთხოვნა სრულად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილეს, ძირითადად საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების მიმართ დისციპლინური ზომების მიღებასთან დაკავშირებით.¹⁵⁷ დამატებით, 107 საჩივარი ტექნიკური საფუძველით არ დაკმაყოფილდა. საოლქო საარჩევნო კომისიებმა საჩივრების უმეტესობა სამართლებრივ ვადებში და ღია სხდომებზე განიხილეს. თუმცა, მათი განხილვის პროცესში ძირითადად არ ხდებოდა საკითხის არსებითი შეფასება, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ერთ სხდომაზე მრავალი საჩივარი განიხილებოდა. ზოგიერთმა საოლქო საარჩევნო კომისიამ კი შეზღუდა მომჩივანთა მოსმენის უფლება.¹⁵⁸

საოლქო საარჩევნო კომისიების 66 გადაწყვეტილება გასაჩივრდა რაიონულ და საქალაქო სასამართლოებში, სადაც ისინი საჯარო სხდომებზე განიხილეს.¹⁵⁹ მხოლოდ ორი სარჩელი დაკმაყოფილდა, თუმცა საბოლოოდ სააპელაციო სასამართლომ ორივე გადაწყვეტილება საოლქო საარჩევნო კომისიების სასარგებლოდ შეცვალა.¹⁶⁰ სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა როგორც დამკვირვებლების, ისე საარჩევნო სუბიექტების მიერ შეტანილი არცერთი სარჩელი, სამართლებრივი ან ფაქტობრივი დასაბუთების გარეშე.¹⁶¹ ერთ შემთხვევაში, თბილისის სააპელაციო სასამართლომ ვერ დაიცვა კანონით განსაზღვრული ორდღიანი ვადა საქმის განხილვისთვის.¹⁶² დაკვირვებული სხდომების უმეტესობაში

¹⁵⁷ 27 მოთხოვნის საფუძველზე, 12 გადასატანი საარჩევნო ყუთის შედეგები ბათილად გამოცხადდა, თუმცა ეს შემთხვევები ძირითადად ემთხვეოდა საოლქო საარჩევნო კომისიების ინიციატივით ჩატარებულ ხელახალ გადათვლებს.

¹⁵⁸ დაკვირვებული ყველა შემთხვევის მიხედვით, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს, როგორც ჩანს, წინასწარ არ ჰქონდათ წვდომა საქმის მასალებზე და ბევრ შემთხვევაში, გადაწყვეტილებას ადგილზე იღებდნენ საქმის მოკლე წარდგენის შემდეგ.

¹⁵⁹ საჩივრები ძირითადად პროცედურულ დარღვევებს ეხებოდა, ზოგიერთი მათგანი ასევე მოიცავდა ხმის არულობის შესაძლო დარღვევებს და ამომრჩეველთა საიდენტიფიკაციო მოწყობილობებზე ატვირთულ სივრცეში სავარაუდო უზუსტობებს.

¹⁶⁰ ISFED-ის საჩივრის საფუძველზე, გორის რაიონულმა სასამართლომ 15 საარჩევნო უბანს ბათილი ბიულეტენების გადათვლა დაავალა, ხოლო თეთრიწყაროს სასამართლომ GYLA-ს სარჩელის განხილვისას დაადგინა, დაადგინა, რომ არსებული პროცედურები ხმის ფარულობის დაცვას ვერ უზრუნველყოფდა და ტექნოლოგიით აღჭურვილ 30 საარჩევნო უბანში შედეგები ბათილად ცნო. თეთრიწყაროს სასამართლომ კენჭისყრის პროცესის შესასწავლად, პროაქტიულად, ხმების დათვლის მოწყობილობა გამოიყენა. მიუხედავად იმისა, რომ GYLA-მ ანალოგიური საჩივრები ყველა რაიონულ და საქალაქო სასამართლოში შეიტანა, დანარჩენი სარჩელები უარყვეს და არცერთმა სასამართლომ მტკიცებულებების მსგავსი გამოკვლევა არ ჩაატარა.

¹⁶¹ მიუხედავად იმისა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოები ვალდებულნი არიან ერთი დღის ვადაში დასაბუთებული გადაწყვეტილება გამოიტანონ, სააპელაციო სასამართლოს მსგავსი ვალდებულება არ აქვს. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ GYLA-სა და TI Georgia-ს მიერ შეტანილი რამდენიმე სარჩელი ერთ საქმეში გააერთიანა და ორდღიანი განხილვის შემდეგ ყველა მათგანი უარყო. ანალოგიურად, თბილისის სააპელაციო სასამართლომ გააერთიანა 25 სარჩელი, რომლებიც ყველა ერთსა და იმავე საკითხს არ ეხებოდა, ასევე ერთი სარჩელი საოლქო საარჩევნო კომისიისგან და 24-სათიანი განხილვის შემდეგ ყველა ადგილობრივი დამკვირვებლის სარჩელი დაუსაბუთებლად ცნო, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიის სარჩელი დააკმაყოფილა. გარდა ამისა, თბილისის სააპელაციო სასამართლომ ექვსი სარჩელი ვადების დარღვევის გამო განუხილველად დატოვა, ხოლო დარჩენილი 14 სარჩელი დაუსაბუთებლად მიიჩნია და არ დააკმაყოფილა.

¹⁶² სარჩელებზე სასამართლო სხდომები თავდაპირველად 6 ნოემბერს დაინიშნა, თუმცა გადაიდო და 7 ნოემბრის შუადღისათვის ჩაინიშნა, რომელიც სარჩელების განხილვის საბოლოო ვადა იყო, რის შემდეგაც რამდენიმე სარჩელი გააერთიანეს. დაგვიანებული განხილვისა და სარჩელების დიდი მოცულობის გამო, სასამართლომ ვადების დაცვა ვერ უზრუნველყო.

საქმეების არსებითი განხილვა შეზღუდული იყო. 7 ნოემბერს, საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ შედეგების შეჯამების შემდეგ, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ (GYLA), „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ (UNM) და „ძლიერი საქართველო – ლელომ“ ცესკოს მიმართეს შედეგების ბათილად ცნობის მოთხოვნით, ხმის ფარულობის დარღვევის გამო. ცესკომ და სასამართლომ ეს სარჩელები არ დააკმაყოფილეს, ხოლო სააპელაციო სასამართლომ ეს საქმე ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა.

ცესკომ არჩევნების საბოლოო შედეგები 16 ნოემბერს გამოაცხადა სხდომაზე, რომელიც ოპოზიციის წარმომადგენლების ჩარევის შედეგად შეწყდა და შემდგომ ცესკოს თავმჯდომარეზე ფიზიკურ თავდასხმაში გადაიზარდა. საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე, „კოალიცია ცვლილებებისთვის“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და „ძლიერი საქართველო – ლელოს“ არჩეულმა ყველა დეპუტატმა მანდატზე უარი განაცხადა, ხოლო „საქართველოსთვის“ პარტიამ, ახალარჩეული პარლამენტი არალეგიტიმურად გამოაცხადა.¹⁶³ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“, „ძლიერმა საქართველომ“ და „გახარია საქართველოსთვის“ სასამართლოში უშედეგოდ გაასაჩივრეს საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმი, მისი გაუქმებისა და ხელახალი არჩევნების დანიშვნის მოთხოვნით. 19 ნოემბერს, პრეზიდენტმა და 30-მა ოპოზიციონერმა დეპუტატმა საკონსტიტუციო სასამართლოს ორი სარჩელით მიმართეს, რომელთა მიზანი იყო საარჩევნო რეგულაციების და მათ საფუძველზე ჩატარებული არჩევნების კონსტიტუციურობის გასაჩივრება, ხმის ფარულობისა და საყოველთაო საარჩევნო უფლების უზრუნველყოფის ვალდებულების შეუსრულებლობის გამო.¹⁶⁴ ამ სარჩელებს, პარლამენტის პირველი სესიის მოწვევა და მანდატების აღიარების პროცესი არ შეუჩერებიათ. 25 ნოემბერს, პარლამენტის პირველ სხდომას მხოლოდ „ქართული ოცნების“ დეპუტატები დაესწრნენ.

არჩეული 150 პარლამენტარისგან, 34 ქალია (23 პროცენტი), რაც მცირედით აღემატება წინა პარლამენტის თავდაპირველ შემადგენლობაში ქალთა რაოდენობას (21 პროცენტი), თუმცა წინა საპარლამენტო ვადის განმავლობაში ეს მაჩვენებელი 19 პროცენტამდე შემცირდა. იმ 89 დეპუტატიდან, რომლებმაც მანდატები მიიღეს, 12 (13 პროცენტი) ქალია. 30 ნოემბერს პრეზიდენტმა პარლამენტი არალეგიტიმურად გამოაცხადა და თავი ქვეყნის ერთადერთ

¹⁶³ საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტი ვალდებულია, ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა დანიშნოს არჩევნების ოფიციალური შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს მათე დღისა. პარლამენტი სრულ უფლებამოსილებას მაშინ იძენს, როდესაც მინიმუმ 100 წევრის მანდატია აღიარებული. კანონის მიხედვით, იმ პირთა სახელები, რომელთა არჩევანი საკონსტიტუციო სასამართლოს ან ზოგადი იურისდიქციის სასამართლოს მიერ სადავოდ არის მიჩნეული, უნდა გამოირიცხოს იმ საპარლამენტო დადგენილებიდან, რომელიც მისი წევრების მანდატების აღიარებას ეხება. თუ აღიარებული მანდატების რაოდენობა პარლამენტის ორი მესამედზე ნაკლებია, პლენარული სხდომა წყდება. ასეთ შემთხვევაში, ცესკოს თავმჯდომარე ვალდებულია, 10 დღის განმავლობაში დანიშნოს ახლადარჩეული პარლამენტის ახალი სხდომა იმ მომენტიდან, როცა შესაძლებელი გახდება იმ რაოდენობის პარლამენტის წევრთა მანდატების აღიარება, რომელიც პარლამენტის სრული შემადგენლობის ორი მესამედს შეადგენს.

¹⁶⁴ მოსარჩელები ამტკიცებდნენ, რომ საარჩევნო კოდექსი და ცესკოს რეგულაციები არღვევენ კონსტიტუციის 3-ე (დემოკრატია), 24-ე (სარჩევნო უფლება) და 37-ე (პარლამენტის არჩევნები) მუხლებს. მათ მაგალითად მოიყვანეს საზღვარგარეთ გარკვეულ ადგილებში საარჩევნო უბნების არ გახსნა და ხმის ფარულობის ვერ უზრუნველყოფა. საკონსტიტუციო სასამართლომ ორი სარჩელი გააერთიანა, მათ მოთხოვნათა მსავსებაზე მითითებით.

„დამოუკიდებელ და ლეგიტიმურ ინსტიტუციად“ მოიხსენია. საბოლოოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ 3 დეკემბერს პრეზიდენტისა და 30 ოპოზიციონერი პარლამენტარის სარჩელები დაუშვებლად ცნო.

28 ნოემბერს, ევროპარლამენტის განცხადებებზე საპასუხოდ, ხელისუფლებამ 2028 წლამდე გადადო ევროკავშირში გაწევრიანებაზე მოლაპარაკებები და ამავე ვადამდე უარი განაცხადა ევროკავშირის ფინანსურ დახმარებაზე. აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ თბილისში და სხვა დიდ ქალაქებში მასშტაბური საპროტესტო აქციები გამოიწვია. პარლამენტის თავმჯდომარემ და მთავრობის წარმომადგენლებმა არაერთხელ დაადანაშაულეს დემონსტრანტები ძალადობრივ ქმედებებში. ზოგიერთი საპროტესტო აქცია ძალადობრივ დაპირისპირებაში გადაიზარდა, სამართალდამცავებმა დემონსტრანტები ძალის გამოყენებით დაშალეს, რასაც დემონსტრანტების დიდი რაოდენობით დაკავებები მოჰყვა; აღნიშნულმა მოვლენებმა სერიოზული შეშფოთება გამოიწვია ეუთოს მიერ აღებული შეკრების თავისუფლების ვალდებულებების დაცვის კრილში. ამ საკითხზე ყურადღება გაამახვილეს რამდენიმე სამოქალაქო საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა.¹⁶⁵

14 დეკემბერს, 300-წევრიანი საარჩევნო კოლეგია, რომელიც „ქართული ოცნების“ და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ორგანოს წევრების, ადგილობრივი და რეგიონული საბჭოების წარმომადგენლებისგან შედგებოდა, შეიკრიბა პრეზიდენტ ზურაბიშვილის მემკვიდრის ასარჩევად, მისი უფლებამოსილების ვადის ამოწურვის წინ. თბილისში და სხვა ქალაქებში მიმდინარე პროტესტების ფონზე, მიხეილ ყაველაშვილი, როგორც ერთადერთი კანდიდატი, პრეზიდენტად აირჩიეს. პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა, ოპოზიციურმა პარტიებმა და რამდენიმე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციამ არჩევნების ლეგიტიმაცია არ აღიარეს. პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ პარლამენტის ახალი არჩევნების ჩატარებამდე თანამდებობაზე დარჩენას აპირებს. 16 დეკემბერს, ევროკავშირის საგარეო საქმეთა საბჭომ განიხილა საქართველოში მიმდინარე მოვლენები, ხაზი გაუსვა დემოკრატიული პროცესის გაუარესებას და განაცხადა რიგი ზომების შესახებ, მათ შორის დაასახელა, პოლიტიკური კონტაქტების შემცირება, დაფინანსების შეჩერება და სავიზო შეზღუდვების განხილვა ქართველი დიპლომატებისა და ოფიციალური პირებისთვის ოპოზიციის საპროტესტო აქციების წინააღმდეგ ძალადობრივი ღონისძიებების გამო.

არჩევნების შემდეგ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ 54 (29 ნოემბრის მდგომარეობით) არჩევნებთან დაკავშირებული გამოძიება დაიწყო, მათ შორის ორ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, სამი პირი დააკავა.¹⁶⁶ პროკურატურამ ექვსი საქმე აღძრა, მათგან ხუთი სავარაუდო ხმის მოსყიდვას უკავშირდებოდა, ხოლო ერთი – ცესკოს მოთხოვნის

¹⁶⁵ იხილეთ ODIHR-ის [განცხადება](#), რომელიც გმობს პოლიციის მიერ ძალის გადამეტებას საპროტესტო აქციების დროს, ასევე ეუთოს ტრიოკას (OSCE Troika) [განცხადება](#) საქართველოში შექმნილ ვითარებაზე.

¹⁶⁶ ეს საქმეები ეხება ძალადობის ან ძალადობის მუქარას, ქონების დაზიანებას, ამომრჩევლის თავისუფალი ნების დარღვევას, ხმის ფარულობის დარღვევას, იძულებასა და თვითმკვლელობისკენ წაქეზებას.

საფუძველზე, სავარაუდო მასშტაბური საარჩევნო გაყალბების საქმეს ეხებოდა.¹⁶⁷ სპეციალურმა საგამომიებო სამსახურმა ერთი სისხლის სამართლის საქმე აღძრა ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაში შესაძლო უკანონო ჩარევის რამდენიმე შემთხვევასთან დაკავშირებით. თუმცა, საბოლოო შედეგების გამოცხადების მომენტისთვის არცერთი გამოძიება არ იყო დასრულებული, რაც ამ ქმედებების ეფექტურობას ზღუდავდა და კიდევ უფრო აძლიერებდა უნდობლობას ამგვარი საკითხების განხილვის პროცესის მიმართ.

საბოლოო ჯამში, კენჭისყრის დღის საჩივრებისა და სააპელაციო პროცესების არასრულყოფილი განხილვა საარჩევნო კომისიებსა და სასამართლოებში, სარჩელების ტექნიკური მიზეზებით ან არასაკმარისი დასაბუთების საფუძველზე უარყოფა, აგრეთვე სააპელაციო პროცესისთვის არაპროპორციულად მოკლე ვადები ერთობლივად ძირს უთხრიდა სამართლიანი პროცესისა და ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის უფლების უზრუნველყოფას. ამასთან ერთად, ხელისუფლებამ ვერ მიიღო საკმარისი ზომები საარჩევნო პროცესის სანდობასთან დაკავშირებული ფართოდ გავრცელებული შემფოთების გასაქარწყლებლად, რის შედეგადაც პოლიტიკურ დაპირისპირების შემცირების ნაცვლად, კიდევ უფრო გაღრმავდა არსებული კრიზისი.

საარჩევნო პროცესისადმი საზოგადოებრივი ნდობისა და შედეგების სანდობის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია, კანონმდებლობა და საჯარო პოლიტიკა იძლეოდეს გარანტიებს, რომ საჯარო უწყებები მოქმედებდნენ დამოუკიდებლად, პროფესიონალურად და ეფექტიანად, მთავრობისა და მმართველი პარტიის ზეგავლენის გარეშე. კენჭისყრის დღეს დაფიქსირებულ დარღვევებზე, მათთან დაკავშირებულ საჩივრებსა და გასაჩივრებებზე, საჭიროა, სწრაფი და სრულფასოვანი რეაგირება.

XVII. რეკომენდაციები

ქვემოთ წარმოდგენილი რეკომენდაციები, რომლებიც წინამდებარე დოკუმენტის სხვადასხვა ნაწილშია მოცემული, მიზნად ისახავს საქართველოში საარჩევნო პროცესის შემდგომ გაუმჯობესებას და მათ სრულ შესაბამისობაში მოყვანას ეუთოს ვალდებულებებსა და დემოკრატიული არჩევნების სხვა საერთაშორისო სტანდარტებთან. აღნიშნული რეკომენდაციები დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების

¹⁶⁷

ექვსი საქმიდან ოთხი კენჭისყრის დღეს ჩადენილ სავარაუდო სამართალდარღვევებს შეეხება. ცესკოს 30 ოქტომბრის განცხადების თანახმად, საქართველოს პროკურატურამ დაიწყო გამოძიება არჩევნების სავარაუდო გაყალბების საქმეზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 164³ მუხლის საფუძველზე, მას შემდეგ, რაც საქართველოს პრეზიდენტმა, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა და სხვა ჩართულმა მხარეებმა საჯარო განცხადებები გააკეთეს. პროკურატურის ინფორმაციით, გამოძიების ფარგლებში, საპარლამენტო არჩევნებისთვის გამოყენებული ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატები თავდაპირველად დაილუქა ცესკოს ადმინისტრაციულ შენობაში, ხოლო მათგან მონაცემების ამოღება და სასამართლო-სამართლებრივი ექსპერტიზისთვის მომზადება უშუალოდ Smartmatic-ის კომპანიის ჩართულობით განხორციელდა. გარდა ამისა, დაინიშნა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა საპარლამენტო არჩევნების დროს საარჩევნო უბნებში გამოყენებული მარკირების სითხის შესამოწმებლად. გამოძიების ფარგლებში დაკითხვაზე გამოიძახეს პოლიტიკური აქტორები, სამოქალაქო საზოგადოების წევრები და ცესკოს თანამშრომლები. ანგარიშის მომზადების დროისთვის, ბრალი არავისთვის წარუდგენიათ.

ოფისის მიერ წარსულში გაცემულ ჯერ კიდევ შეუსრულებელ რეკომენდაციებთან ერთად უნდა იქნას განხილული. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია მზადაა დაეხმაროს საქართველოს ხელისუფლებას საარჩევნო პროცესების შემდგომ გაუმჯობესებაში და ასევე ამ და წინა ანგარიშებში მოცემული რეკომენდაციების შესრულებაში.¹⁶⁸

A. პრიორიტეტული რეკომენდაციები

1. ხელისუფლებამ, საჭიროა, პროაქტიული ღონისძიებები გაატაროს, რათა თავიდან აიცილოს ამომრჩეველთა დაშინება, საჯარო მოხელეებზე ზეწოლა, ხმების მოსყიდვა და საარჩევნო ძალადობა, ასევე უზრუნველყოს ამომრჩეველების ინფორმირებულობა მათი უფლებების შესახებ. აღნიშნული შემთხვევების დაფიქსირებისას, აუცილებელია, მათზე სწრაფი რეაგირება, რათა უზრუნველყოფილი იყოს ეფექტური სამართლებრივი დაცვა და პასუხისმგებელი პირები კანონის წინაშე წარდგინდნ.
2. სასურველია, გატარდეს ყოვლისმომცველი საკანონმდებლო რეფორმა, რათა შესრულდეს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ გაცემული შეუსრულებელი რეკომენდაციები და სამართლებრივი ჩარჩო მეტად შესაბამისობაში მოვიდეს ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებთან, საერთაშორისო სტანდარტებთან და კარგ პრაქტიკასთან. აღნიშნული განხილვა, საჭიროა, დასრულდეს მომავალ არჩევნებამდე საკმარისად ადრე და წარიმართოს ინკლუზიური და გამჭვირვალე კონსულტაციების საფუძველზე.
3. კანონმდებლობა, რომელიც ზღუდავს კონსტიტუციით გარანტირებულ შეკრებისა და გამოხატვის ფუნდამენტურ თავისუფლებებს, უნდა გაუქმდეს. ამ ფუნდამენტურ უფლებებზე ნებისმიერი შეზღუდვა უნდა წარმოადგენდეს გამონაკლისს, იყოს მკაცრად პროპორციული ლეგიტიმური მიზნის მიმართ და დაწესდეს მხოლოდ იმ ხარისხით, რამდენადაც ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში.
4. საარჩევნო ადმინისტრაციის მიუკერძოებლობის გასაძლიერებლად, სასურველია, ყველა დონეზე საარჩევნო კომისიების წევრთა დანიშვნის პროცესი გადაიხედოს, რათა თავიდან იქნას აცილებული რომელიმე პოლიტიკური პარტიის მიერ საარჩევნო კომისიების კონტროლი. კომისიების მუშაობის ეფექტურობის გასაუმჯობესებლად და გადატვირთულობის თავიდან ასაცილებლად, სასურველია, კომისიის წევრთა რაოდენობა, განსაკუთრებით საუბნო საარჩევნო კომისიების დონეზე, შესაბამისობაში

168

წინა რეკომენდაციების შესრულებას ODIHR-ის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია შემდეგნაირად აფასებს: 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების საბოლოო ანგარიშის რეკომენდაციები 10 და 20, ასევე 2021 წლის ადგილობრივი არჩევნების საბოლოო ანგარიშის რეკომენდაციები 10 და 16 სრულად შესრულდა. 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების საბოლოო ანგარიშის რეკომენდაცია 15, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების საბოლოო ანგარიშის რეკომენდაციები 3, 12 და 25, და 2021 წლის ადგილობრივი არჩევნების საბოლოო ანგარიშის რეკომენდაცია 18 ძირითადად შესრულდა. 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების საბოლოო ანგარიშის რეკომენდაციები 2, 4, 5, 6, 7, 9, 11, 16, 17, 18, 21, 23, 24, 25, 26, 27, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების საბოლოო ანგარიშის რეკომენდაციები 2, 5, 6, 7, 11, 15, 17, 19, 21, 22, 24, 30 და 2021 წლის ადგილობრივი არჩევნების საბოლოო ანგარიშის რეკომენდაციები 4, 5, 12, 13, 14, 15, 17, 19 მხოლოდ ნაწილობრივ შესრულდა. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ODIHR-ის [საარჩევნო რეკომენდაციების მონაცემთა ბაზა](#).

იყოს რეალურ საჭიროებებთან.

5. გამჭვირვალობის ხელშეწყობად და ყველა პოლიტიკური პარტიის მიმართ თანაბარი ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად, ანტიკორუფციულმა ბიურომ, სასურველია, შეიმუშაოს მკაფიო რეგულაციები, რომლებიც განსაზღვრავს პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის პროცედურებსა და მეთოდოლოგიას.
6. ხელისუფლებამ შეასრულოს მედიის თანამშრომლების უსაფრთხოების დაცვის ვალდებულება ეფექტური და დროული დაცვის ზომების გატარებით. სახელმწიფო უწყებებმა დაუყოვნებლივ გამოიძიონ და პასუხისგებაში მისცენ პირები, რომლებიც ჩართულნი არიან ჟურნალისტებსა და სხვა მედიის წარმომადგენლებზე თავდასხმებში ან მათთან არასათანადო მოპყრობაში.
7. საარჩევნო დავების გადაწყვეტის პროცესის გამჭვირვალობისა და ნდობის გაზრდის მიზნით, სასურველია, საარჩევნო კომისიებმა ყველა დავა კოლეგიალურად და საჯარო სხდომებზე განიხილონ, საჩივრების არსის სრულყოფილი შესწავლის საფუძველზე. საჭიროა, ყველა სასამართლო აქტი, გადაწყვეტილება და ოქმი სათანადოდ იყოს დასაბუთებული, ეყრდნობოდეს კანონის მკაფიო განმარტებას და დაუყოვნებლივ ქვეყნდებოდეს ინტერნეტში.
8. არჩევნებზე დაკვირვების სანდოობის უზრუნველსაყოფად, სასურველია, ხელისუფლებამ უზრუნველყოს, რომ ადგილობრივ დამკვირვებლებს შეეძლოთ საქმიანობა ზეწოლისა და დაშინების გარეშე და ჰქონდეთ შეუფერხებელი წვდომა ყველა შესაბამის ინფორმაციაზე. პარტიული და არაპარტიული დაკვირვების მკაფიო გამიჯვნის უზრუნველსაყოფად, საჭიროა, პოლიტიკური პარტიებმა თავი შეიკავონ დამკვირვებლის სტატუსის არამიზნობრივი გამოყენებისგან.
9. საარჩევნო პროცესისადმი საზოგადოებრივი ნდობისა და შედეგების სანდოობის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია, კანონმდებლობა და საჯარო პოლიტიკა იძლეოდეს გარანტიებს, რომ საჯარო უწყებები მოქმედებდნენ დამოუკიდებლად, პროფესიონალურად და ეფექტიანად, მთავრობისა და მმართველი პარტიის ზეგავლენის გარეშე. კენჭისყრის დღეს დაფიქსირებულ დარღვევებზე, მათთან დაკავშირებულ საჩივრებსა და გასაჩივრებებზე, საჭიროა, სწრაფი და სრულფასოვანი რეაგირება.
10. სასურველია, საარჩევნო სუბიექტებმა, საჯარო მოხელეებმა და სახელმწიფო ინსტიტუტებმა თავი შეიკავონ ადმინისტრაციული რესურსების საარჩევნო მიზნებისთვის არამიზნობრივად გამოყენებისგან, რათა უზრუნველყოფილი იყოს თანაბარი საარჩევნო გარემო ყველა არჩევნებში ჩართული მხარისთვის. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისისა და GRECO-ს წარსულში გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად, მიზანშეწონილია დამატებითი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ზომების განხილვა, რომლებიც დაარეგულირებს მაღალი თანამდებობის პირების, მათ შორის მერების, საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობას და აღკვეთავს არსებული რეგულაციების გვერდის ავლას.
11. ხელისუფლებამ მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა ხმის ფარულობის უზრუნველსაყოფად, მათ შორის, საარჩევნო უბნების განლაგებისა და საარჩევნო

მასალების დიზაინის გაუმჯობესებით. საარჩევნო კომისიებმა ზედმიწევნით უნდა დაიცვან პროცედურული გარანტიები, თავიდან აიცილონ გადატვირთულობა და ამომრჩეველთა არასათანადო მეთვალყურეობა საარჩევნო უბნებზე.

12. სასურველია, ხელისუფლებამ საერთაშორისო სტანდარტებისა და ეუთოს წინაშე აღებული ვალდებულებების შესაბამისად, გაატაროს ეფექტიანი დროებითი სპეციალური ზომები, რათა საჯარო და პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მიმართ დისკრიმინაცია აღმოიფხვრას. მათი დადასტურებული ეფექტიანობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სავალდებულო გენდერული კვოტების აღდგენას, ასევე იმ მექანიზმის აღდგენას, რომლის მიხედვითაც, თუ პარლამენტის წევრი ქალი უარს იტყვის მანდატზე, მისი ადგილი პარტიის სიაში შემდეგ ქალ კანდიდატს უნდა გადაეცეს.

B. სხვა რეკომენდაციები

საარჩევნო ადმინისტრაცია

13. საარჩევნო ადმინისტრაციის სტაბილურობისა და პროფესიული კომპეტენციის უზრუნველსაყოფად, სასურველია, ოლქისა და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა შეცვლის შესაძლებლობა არჩევნების დღემდე გონივრულ ვადაში შეიზღუდოს, რათა ყველა წევრს მიეცეს შესაძლებლობა გაიაროს შესაბამისი ტრენინგი.
14. სასურველია, სახელმწიფოსა და ადგილობრივი ხელისუფლების კოორდინირებული ძალისხმევით, ყველა ჩართულ მხარესთან ერთად, მიიღონ აუცილებელი ზომები, რათა უზრუნველყოფილი იყოს სხვადასხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დამოუკიდებელი წვდომა საარჩევნო პროცესის ყველა ეტაპზე, მათ შორის, საარჩევნო კომისიებისა და საარჩევნო უბნებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის გამოყოფით.

საარჩევნო ტექნოლოგიები

15. საარჩევნო ტექნოლოგიების გამოყენებისადმი ნდობის გასაძლიერებლად, სასურველია, კანონში ცალსახად გაწერილი იყოს ამომრჩევლის იდენტიფიკაციისა და ხმების დათვლის მოწყობილობების დამოუკიდებელი მესამე მხარის მიერ გადამოწმებისა და სერტიფიცირების ვალდებულება. ჩართულ მხარეებს უნდა მიეცეთ არსებითი შესაძლებლობა, ზედამხედველობა გაუწიონ განხორციელების პროცესის ყველა ეტაპს, მათ შორის, ტექნიკურ დოკუმენტაციაზე წვდომას, პროგრამული უზრუნველყოფის კოდის გადახედვას, მოწყობილობების კონფიგურაციასა და აუდიტის პროცედურებს.

ამომრჩეველთა რეგისტრაცია

16. ხმის მიცემის უფლების მქონე ყველა ამომრჩევლის საარჩევნო უფლების ეფექტური განხორციელების უზრუნველსაყოფად, სასურველია, ხელისუფლებამ გაატაროს სათანადო საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ცვლილებები, რათა უზრუნველყოფილი იყოს ყველა ამომრჩევლის, მათ შორის, პირადობის მოქმედი დოკუმენტებისა ან რეგისტრირებული მისამართის არმქონე პირების, საარჩევნო სიებში შეყვანა.

17. პირებს, რომლებიც სასამართლოს მიერ ინტელექტუალური ან ფსიქოსოციალური შეზღუდულობის საფუძველზე ქმედუწაროდ არიან გამოცხადებული და პირებს, რომელთაც სტაციონარული მოვლა სჭირდებათ, უნდა მიეცეთ ხმის მიცემის უფლება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

წინასაარჩევნო კამპანია

18. სასურველია, ხელისუფლებამ გადადგას საჭირო ნაბიჯები, საჯარო და პოლიტიკურ ცხოვრებაში გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად და ქალებისთვის თანაბარი შესაძლებლობები უზრუნველყოს საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობისთვის, კონკრეტული, გაზომვადი და მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზნების დასახვით. მიზანშეწონილია, განხილულ იქნას დამატებითი სპეციალური ზომების შემოღება, რომლებიც პოლიტიკურ პარტიებს ქალ კანდიდატების მხარდაჭერისკენ წახალისებს.

წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება

19. სასურველია, ანტიკორუფციული ბიუროსა და მისი გადაწყვეტილებების პოლიტიკური გავლენისგან სრულად დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, გადაიხედოს როგორც უწყების ხელმძღვანელის დანიშვნის მექანიზმი, ასევე ბიუროს გადაწყვეტილებების მიღების პროცესი.
20. მიზანშეწონილია განიხილოს ფინანსური გამჭვირვალობის სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს პოლიტიკური პარტიების ანგარიშგების ფორმატების ერთგვაროვნებას და ამ მონაცემების ხელმისაწვდომ და მარტივად აღსაქმელ ფორმატში წარდგენას, რითიც გაძლიერდება საზოგადოებრივი ზედამხედველობის მექანიზმები.
21. გამჭვირვალობის გაძლიერების მიზნით, სასურველია, მესამე მხარის მიერ წარმოებულ წინასაარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული საკანონმდებლო დებულებები განმტკიცდეს და დაზუსტდეს, ხოლო მათი გამოყენება ემყარებოდეს მკაფიო, ობიექტურ და განჭვრეტად კრიტერიუმებს, რათა თავიდან იქნას აცილებული თვითნებური აღსრულება, რამაც შესაძლოა გამოხატვის თავისუფლება ხელყოს.

მედია

22. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დამოუკიდებლობის გასაძლიერებლად, სასურველია, მისი წევრების დანიშვნის პროცედურა გადაიხედოს.
23. სასურველია, გადაიხედოს უფასო საეთერო დროის განაწილებისა და დებატებში მონაწილეობის არსებული სისტემა, რათა ყველა კანდიდატს მიეცეს თანაბარი შესაძლებლობები წინასაარჩევნო კამპანიის განმავლობაში. წინასაარჩევნო კამპანიის დროს, დაკავშირებული დარღვევების მიმართ დაუყოვნებლივ უნდა ამოქმედდეს სამართლებრივი მექანიზმები. მიზანშეწონილია, კანონში შევიდეს ცვლილებები, რომლებიც ფინანსური სანქციების ნაცვლად პრიორიტეტს მიანიჭებს დაკარგული საეთერო დროის ანაზღაურებას.

24. პარტიებისა და კანდიდატების მიერ პირდაპირ გაკეთებული უკანონო განცხადებების გავრცელებისთვის, მედიას პასუხისმგებლობა არ უნდა დაეკისროს, იქნება ეს პირდაპირი ეთერის ტრანსლაციის თუ რეკლამის ფარგლებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასამართლო აღნიშნულ განცხადებებს უკანონოდ ცნობს ან ისინი პირდაპირ ძალადობისკენ წაქეზებას წარმოადგენენ.

ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობა

25. სასურველია, მედია გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან იმ უკანონო განცხადებების გავრცელებაზე, რომლებიც პარტიების ან კანდიდატების მიერ გაკეთდა მათ პირდაპირი ეთერით ან რეკლამის ფარგლებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასამართლო აღნიშნული განცხადებები უკანონოდ ცნო ან როდესაც ისინი ძალადობისკენ პირდაპირ მოუწოდებენ.

საარჩევნო დავების გადაწყვეტა

26. სამართლებრივი დაცვის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, სასურველია, საარჩევნო დავების გადაწყვეტის მექანიზმი გადაიხედოს, რათა გაფართოვდეს ამომრჩეველთა სამართლებრივი სტატუსი და შესაბამისად შეიცვალოს სამართლებრივი ვადები ისე, რომ საკმარისი დრო გამოიყოს საჩივრებისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების განხილვისთვის, ხოლო პროცესები ჩატარდეს სათანადოდ დაჩქარებული პროცედურის დაცვით, საერთაშორისო კარგი პრაქტიკის შესაბამისად.

კენჭისყრის დღე

27. ხმის მიცემის პროცესის სამართლიანობისა და საზოგადოებრივი ნდობის განსამტკიცებლად, სასურველია, ხელისუფლებამ გაამდიეროს გამჭვირვალობა და გააუმჯობესოს ამომრჩეველის იდენტიფიკაციის პროცედურების სისწორე და გამართულობა. ამომრჩეველთა იდენტიფიკაციის მოწყობილობების გამოყენებისას, საჭიროა შემუშავდეს გზები, რომლებიც ამომრჩეველთა პირადი ნომრების ხელით შეყვანის საჭიროებას შეამცირებს.

28. სამართლებრივი დებულებების შესაბამისად, შემაჯამებელ ოქმებში ცვლილებები უთანხმოების შემთხვევაში, მხოლოდ საოლქო საარჩევნო კომისიაში უნდა განხორციელდეს და აუცილებელია ეს პროცესი ჩატარდეს გამჭვირვალედ, პარტიების წარმომადგენლებისა და დამკვირვებლების მონაწილეობით. ცესკომ, სასურველია, ოპერატიულად გამოაქვეყნოს ამომრჩეველთა აქტიურობის მონაცემები წინასწარ შედეგებთან ერთად, ისევე როგორც, თითოეული საარჩევნო უბნის ბათილი ბიულეტენების რაოდენობა.

დანართი I: კენჭისყრის საბოლოო შედეგები¹⁶⁹

რეგისტრირებული ამომრჩევლების საერთო რაოდენობა	3,508,294
საზღვარგარეთ კენჭისყრისთვის სპეციალურ ამომრჩეველთა სიაში შეყვანილი ამომრჩევლების რაოდენობა	95,910
სულ მიცემული ხმების რაოდენობა (ამომრჩეველთა აქტივობა)	2,111,834 (60.20 პროცენტი)
ნამდვილი ხმების რაოდენობა	2,076,779
ბათილად ცნობილი ხმების რაოდენობა	34,974 (1.66 პროცენტი)

კანდიდატთა სია (საარჩევნო ბიულეტენზე ნუმერაციის მიხედვით)	მიღებული ხმები	პროცენტი	მანდატები
No. 3 საქართველოს ერთიანობისა და განვითარების პარტია	3,892	0.19	--
No. 4 კოალიცია ცვლილებებისთვის	229,161	11.03	19
No. 5 ერთობა – ნაციონალური მოძრაობა	211,216	10.17	16
No. 6 ევროპელი დემოკრატები	7,955	0.38	--
No. 8 საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	50,599	2.44	--
No. 9 ძლიერი საქართველო – ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!	182,922	8.81	14
No. 10 საქართველოს ლეიბორისტული პარტია	15,103	0.73	--
No. 12 ჩვენი ერთიანი საქართველო	1,845	0.09	--
No. 16 შეცვალე საქართველო	12,528	0.60	--
No. 17 საქართველო	2,780	0.13	--
No. 20 თავისუფალი საქართველო	4,145	0.20	--
No. 21 ტრიბუნა	2,483	0.12	--
No. 23 ჩვენ	2,593	0.12	--
No. 25 გახარია – საქართველოსთვის	161,521	7.78	12
No. 26 მემარცხენე ალიანსი	1,260	0.06	--
No. 27 ქართული ერთობა	4,500	0.22	--
No. 36 გირჩი	62,223	3.00	--
No. 41 ქართული ოცნება	1,120,053	53.93	89

169

ეფუძნება საქართველოში 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგების ცესკოს [შემაჯამებელ ოქმს](#), რომელიც ცესკომ 2024 წლის 16 ნოემბერს მიიღო.

დანართი II: საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებელთა სია

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა

პასკალ	ალიზარი	სპეციალური კოორდინატორი, პარლამენტის წევრი	საფრანგეთი
პია	კაუმა	დელეგაციის ხელმძღვანელი, პარლამენტის წევრი	ფინეთი
ჰარალდ შტეფან კლემენს ელისაბეტ ოლეგ ოლგაცა	ჰიმერი შენახი კოფლერი კიტლი ჯიანჩეკო ტოლიჩი	პარლამენტის წევრი პარლამენტის წევრი პარლამენტის წევრი პარლამენტის წევრი პარლამენტის წევრი დელეგაციის თანამშრომელი	ავსტრია ავსტრია ავსტრია ავსტრია ბელარუსი ხორვატია
მიხაელ სორენ კრისტიან ისნსენ იოჰანეს ჟან-ლუკ	ზმაილოვიჩი სონდერგარდი სკრივერი კოსკინენი ბლუე	პარლამენტის წევრი პარლამენტის წევრი პარლამენტის წევრი პარლამენტის წევრი დელეგაციის თანამშრომელი	ხორვატია დანია დანია ფინეთი საფრანგეთი
სტეფანი	კოლჩანოვი	ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სამდივნო	საფრანგეთი
დანიელა მანფრედ შტეფან ტიმ	დე რიდერი გრუნდი კოიტერი კნობლაუ	პარლამენტის წევრი პარლამენტის წევრი პარლამენტის წევრი ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სამდივნო	გერმანია გერმანია გერმანია გერმანია
ზოლტან მაურო ანა	ბონა დელ ბარბა დი დომენიკო	პარლამენტის წევრი პარლამენტის წევრი ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სამდივნო	უნგრეთი იტალია იტალია
რობერტო	მონტელა	ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სამდივნო	იტალია
კატია კაირატ იგორს	პოლიდორი ტასტეკევი აისტრაუსი	პარლამენტის წევრი პარლამენტის წევრი დელეგაციის თანამშრომელი	იტალია ყაზახეთი ლატვია
სკაიდრიტე კლოდ ფერნანდ ლიზ	აბრამა ჰააგენი ეტგენი ბრაზი	პარლამენტის წევრი პარლამენტის წევრი პარლამენტის წევრი პარლამენტის წევრი	ლატვია ლუქსემბურგი ლუქსემბურგი ლუქსემბურგი

მარია-პია	ბიზენიუსი	დელეგაციის თანამშრომელი	ლუქსემბურგი
იევროსიმა ფარაჰ	პეიოვიჩი კარიმი	პარლამენტის წევრი პარლამენტის წევრი	მონტენეგრო ნიდერლანდები
ჰენრიკა (რიან) სივ	ფოგელსი მოსლეტი	პარლამენტის წევრი პარლამენტის წევრი	ნიდერლანდები ნორვეგია
იან ტორე ბარბარა	სანერი ბარტუში	პარლამენტის წევრი პარლამენტის წევრი	ნორვეგია პოლონეთი
რადოსლავ მარჩინ	ფოგელი მიკიეტინსკი	პარლამენტის წევრი დელეგაციის თანამშრომელი	პოლონეთი პოლონეთი
კატარჟინა პაველ შერიფ	უბერჰანი ზალევსკი აბდილი	პარლამენტის წევრი პარლამენტის წევრი ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სამდივნო	პოლონეთი პოლონეთი სერბეთი
დიმიტრიე	ტოდორიჩი	ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სამდივნო	სერბეთი
პედერ იოჰან იოარ	ბიორკი ბიუზერი ფორსელი	პარლამენტის წევრი პარლამენტის წევრი პარლამენტის წევრი	შვედეთი შვედეთი შვედეთი
კადირ ულრიკ კარინა ჯესიკა ფრედრიკ	კასირგა ნილსონი იოდებრიკი როდენი სვენსონი	პარლამენტის წევრი პარლამენტის წევრი პარლამენტის წევრი დელეგაციის თანამშრომელი	შვედეთი შვედეთი შვედეთი შვედეთი შვედეთი
ლინეა დანიელ კამილ ქემალ ეჯემ	ვიკმანი ფესლერი აიდინი ჩელიკი დანიქ გიოქჩე	პარლამენტის წევრი პარლამენტის წევრი პარლამენტის წევრი დელეგაციის თანამშრომელი	შვედეთი შვეიცარია თურქეთი თურქეთი თურქეთი
მიკიტა სერჰიი კაილ	პოტურაევი იევტუშოკი პარკერი	პარლამენტის წევრი პარლამენტის წევრი დელეგაციის თანამშრომელი	უკრაინა უკრაინა ამერიკის შეერთებული შტატები
ბახტი	ნიშაროვი	დელეგაციის თანამშრომელი	ამერიკის შეერთებული შტატები
შენონ	სმირელი	დელეგაციის თანამშრომელი	ამერიკის შეერთებული შტატები

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა

იულიან	ბულაი	დელეგაციის ხელმძღვანელი,	რუმინეთი
ბლერინა	ჯილამეტი	პარლამენტის წევრი	ალბანეთი
არმენ	გევორგიანი	პარლამენტის წევრი	სომხეთი
რაინჰოლდ	ლოპატკა	პარლამენტის წევრი	ავსტრია
კატარინა	პაბელი	ვენეციის კომისია	ავსტრია
მიქაელ	იანსენი	ვენეციის კომისია	დანია
ანა-კრისტინა	მიქონენი	პარლამენტის წევრი	ფინეთი
სილვი	აფჰოლდერი	ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სამდივნო	საფრანგეთი
ბას	კლანინი	ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სამდივნო	საფრანგეთი
ოლივიე	ბიცი	პარლამენტის წევრი	საფრანგეთი
კარინ	როლერ-კაუფმანი	ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სამდივნო	საფრანგეთი
კლოდ	კერნი	პარლამენტის წევრი	საფრანგეთი
დიდიე	მარი	პარლამენტის წევრი	საფრანგეთი
ანდრეი	ჰუნკო	პარლამენტის წევრი	გერმანია
ფრანკ	შვაბე	პარლამენტის წევრი	გერმანია
გეორგიოს	სტამატისი	პარლამენტის წევრი	საბერძნეთი
დენის	ო'ჰარა	პარლამენტის წევრი	ირლანდია
სიმონე	ბილი	პარლამენტის წევრი	იტალია
ავრორა	ფლორიდია	პარლამენტის წევრი	იტალია
ფაბიო	პიეტრელა	პარლამენტის წევრი	იტალია
ემანუელის	ზინგერსი	პარლამენტის წევრი	ლიეტუვა
ივ	კრიხტენი	პარლამენტის წევრი	ლუქსემბურგი
კრისტოფ	ბრიკო	პარლამენტის წევრი	მონაკო
ბეატრის	ფრესკო-როლფო	პარლამენტის წევრი	მონაკო
იონე	ბლიკრა	პარლამენტის წევრი	ნორვეგია
ლინდა	ჰოფსტად	პარლამენტის წევრი	ნორვეგია
	ჰელელანდი	პარლამენტის წევრი	ნორვეგია
რიმარდ	პეტრუ	პარლამენტის წევრი	პოლონეთი
ედიტე	ესტრელა	პარლამენტის წევრი	პორტუგალია
ბოგდან	ტორკატორიუ	ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სამდივნო	რუმინეთი
ანტონიო	გუტიერეს	პარლამენტის წევრი	ესპანეთი
	ლიმონესი	პარლამენტის წევრი	ესპანეთი
პაბლო	ისპანი	პარლამენტის წევრი	ესპანეთი
ბორიანა	ობერგი	პარლამენტის წევრი	შვედეთი
პიერ-ალენ	ფრიდესი	პარლამენტის წევრი	შვეიცარია

ნამიქ	ტანი	პარლამენტის წევრი	თურქეთი
ოლექსი	გონჩანერკო	პარლამენტის წევრი	უკრაინა
ოლენა	ხომენკო	პარლამენტის წევრი	უკრაინა
იევჰენია	კრავუჩკი	პარლამენტის წევრი	უკრაინა
ლორდი დევიდ	ბლენკატრა	პარლამენტის წევრი	გაერთიანებული სამეფო
ტარა	ბლენკატრა	თანმხლები პირი	გაერთიანებული სამეფო

ევროპარლამენტი

ანტონიო	ლოპეს-იუტურიზ უაით	დელეგაციის ხელმძღვანელი, ევროპარლამენტის წევრი	ესპანეთი
მარინა	გრასერ ლასიჩი	ევროპარლამენტის სამდივნო	ხორვატია
ფიდიას მარკეტა	პანაიოტოუ გრეგოროვა	ევროპარლამენტის წევრი ევროპარლამენტის წევრი	კვიპროსი ჩეხეთის რესპუბლიკა
ნატალი პიერ ჰანს სვენ კრისტინა	ლუაზო პიმპიე ნოიჰოფი სიმონი კასტანიოლი	ევროპარლამენტის წევრი ევროპარლამენტის წევრი ევროპარლამენტის წევრი ევროპარლამენტის წევრი ევროპარლამენტის სამდივნო	საფრანგეთი საფრანგეთი გერმანია გერმანია იტალია
იევა	ვალუტიტე	ევროპარლამენტის სამდივნო	ლიეტუვა
ტესელ დიან ჯოელ	გიელე	ევროპარლამენტის პოლიტიკის მრჩეველი	ნიდერლანდები
რობერტ	გოლანსკი	ევროპარლამენტის პოლიტიკის მრჩეველი	პოლონეთი

ნატოს საპარლამენტო ასამბლეა

ფაიკ	ოზტრაქი	დელეგაციის ხელმძღვანელი, პარლამენტის წევრი	თურქეთი
სვიტლანა	სვეტოვა	ნატოს საპარლამენტო ასამბლეის სამდივნო	ბელგია
კრისტინა იარმილ	ჰარაკოვა ლევკო	დელეგაციის თანამშრომელი პარლამენტის წევრი	ჩეხეთის რესპუბლიკა ჩეხეთის რესპუბლიკა
კარსტენ	ბახი	პარლამენტის წევრი	დანია
ჰენრიკი	ბლიდალი	ნატოს საპარლამენტო ასამბლეის სამდივნო	დანია

ვალერი	ჟეფრუა	ნატოს საპარლამენტო ასამბლეის სამდივნო	საფრანგეთი
ნატალია	პუზირევი	პარლამენტის წევრი	საფრანგეთი
პია	კალიფანო	დელეგაციის თანამშრომელი	იტალია
სიმონა	ფლავია მალპეცი	პარლამენტის წევრი	იტალია
ანდრეა	ჯორჯო ორსინი	პარლამენტის წევრი	იტალია
ალბერტო	ლოზაკო	პარლამენტის წევრი	იტალია
პაოლო	მარჩესკი	პარლამენტის წევრი	იტალია
ადრიანო	პაროლი	პარლამენტის წევრი	იტალია
მატეო	რიკეტი	პარლამენტის წევრი	იტალია
სვენინი	კლემენტი	პარლამენტის წევრი	ლუქსემბურგი
სუზანი	ნოლენი	დელეგაციის თანამშრომელი	ნიდერლანდები
ჯიმე	ნორდკამპი	პარლამენტის წევრი	ნიდერლანდები
მარცინი	ბოსაცკი	პარლამენტის წევრი	პოლონეთი
პიოტრ იან	ვოჟნიაკი	პარლამენტის წევრი	პოლონეთი
იოანა	კლუზიკ-როსტკოვსკა	პარლამენტის წევრი	პოლონეთი
ევა	კოლოდჟეი	პარლამენტის წევრი	პოლონეთი
კშიშტოფი	მულავა	პარლამენტის წევრი	პოლონეთი
მარცინი	პშიდაჩი	პარლამენტის წევრი	პოლონეთი
იარჟოსლავი	რუსიეცკი	პარლამენტის წევრი	პოლონეთი
მიროსლავი	სუხონი	პარლამენტის წევრი	პოლონეთი
ვადიმი	ტიშკევიჩი	პარლამენტის წევრი	პოლონეთი
ანდჟეი	შევისკი	პარლამენტის წევრი	პოლონეთი
არტური	ზანევსკი	დელეგაციის თანამშრომელი	პოლონეთი
უგო	პატრისიო ოლივეირა	პარლამენტის წევრი	პორტუგალია
ლუიში	პიტეირას დიასი	პარლამენტის წევრი	პორტუგალია
კერსტინი	ლუნდგრენი	პარლამენტის წევრი	შვედეთი
ჰიქმეთი	ილჰან ირენი	დელეგაციის თანამშრომელი	თურქეთი
ოდუზი	უჩუნჯუ	პარლამენტის წევრი	თურქეთი
ნაიჯელ ალექსანდერი	დოდსი	პარლამენტის წევრი	გაერთიანებული სამეფო
კეროლანი	დინენიჯი	პარლამენტის წევრი	გაერთიანებული სამეფო

ლორდ მარკი	ლანკასტერი	პარლამენტის წევრი	გაერთიანებული სამეფო
ჯო	ბრინკერი	ნატოს საპარლამენტო ასამბლეის სამდივნო	ამერიკის შეერთებული შტატები

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის მოკლევადიანი დამკვირვებლები

ლუსინე	ჰაკობიანი	სომხეთი
ალისა	ჰაირაპეტიაანი	სომხეთი
შოგერ	საჰაკიანი	სომხეთი
კატარინა	შტადლერი	ავსტრია
ემანუელი	ვალდმიულერი	ავსტრია
ვერენა	ვესელი	ავსტრია
იორის	ბეკერსი	ბელგია

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის გრძელვადიანი დამკვირვებლები

ანია	ფიდლერი	ავსტრია
ჰანა იოლანდა	შელერი	ავსტრია
რუსლანი	ასადოვი	აზერბაიჯანი
აჰმად ჯავიდი	ნური	კანადა
სინთია	ვაგნერი	კანადა
დიტა	ბიჩანოვსკა	ჩეხეთის რესპუბლიკა
მიროსლავი	კრჩმარი	ჩეხეთის რესპუბლიკა
დორტე	ბროენი	დანია
ჰელენა	ლაათიო	ფინეთი
პეკა	ვიჰერვასი	ფინეთი
ალექსანდრე	ბენცი	საფრანგეთი
როდოლფი	ობერლე	საფრანგეთი
ნადია	იახლად-ლალემანი	საფრანგეთი
ჯუდიტი	ბრანდი	გერმანია
ინგო	ბიუტნერი	გერმანია
ალესანდრო	ჯიონგო	იტალია
შონი	ჰაინსი	ირლანდია
საბინე	დვინგერი	ნიდერლანდები
კორნელისი	როსი	ნიდერლანდები
კამილა	მიხალსენი	ნორვეგია
ასგერი	რუსტადი	ნორვეგია
მარია-მაგდალენა	ბუდკუსი	პოლონეთი
მიხალი	გროცკი	პოლონეთი
ნიკოლასი	ჰეუმი	შვედეთი

მოლდი	იოჰანსონი	შვედეთი
გრეგუარი	დურუზი	შვეიცარია
ან-სესილი	ლეივრაზი	შვეიცარია
სკოტი	მარტინი	გაერთიანებული სამეფო
სორაია	მარტინესი	გაერთიანებული სამეფო
კრისტოფერი	ბეკი	ამერიკის შეერთებული შტატები
დეგი	ვილჰელმი	ამერიკის შეერთებული შტატები

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის მთავარი ჯგუფის წევრები

ოუენ	მერფი	ირლანდია	მისიის ხელმძღვანელი
ანა	მელიქიანი	სომხეთი	
მარსელა	მაშკოვა	ჩეხეთის რესპუბლიკა	
ტარვი	მარტენსი	ესტონეთი	
ელმა	შეჰალიჩი	გერმანია	
ლაზლო	ბელაგი	უნგრეთი	
მარსელი	ნაგი	უნგრეთი	
მინდაუგასი	მეტიუსი	ლიეტუვა	
მიხალი	ოსტაკოვიჩი	პოლონეთი	
დარია	პაპროცკა	პოლონეთი	
საშა	პოკრაიცი	სერბეთი	
ანდრეასი	როთი	შვედეთი	
ფირუზა	გარიბზოევა	ტაჯიკეთი	
კაილი	ბაუერსი	ამერიკის შეერთებული შტატები	

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შესახებ

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ის ძირითადი ინსტიტუტია, რომელიც ეუთოს წევრ სახელმწიფოებს „ადამიანის უფლებების და ფუნდამენტური თავისუფლებების პატივისცემის უზრუნველყოფაში და ამ კუთხით სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის დაცვაში, დემოკრატიის პრინციპების მხარდაჭერაში, დემოკრატიული ინსტიტუტების შენებაში, გაძლიერებასა და დაცვაში და ასევე საზოგადოებაში ტოლერანტობის ხელშეწყობაში“ ეხმარება (1992 წლის ჰელსინკის სამიტის დოკუმენტი); მას ასევე „ეუთოს ადამიანის უფლებათა განზომილებას“ უწოდებენ.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, რომელიც ვარშავაში (პოლონეთი) მდებარეობს, 1990 წელს პარიზის სამიტზე „თავისუფალი არჩევნების ოფისის“ სახელწოდებით შეიქმნა. ოფისმა ფუნქციონირება 1991 წლის მაისში დაიწყო; ერთი წლის შემდეგ სახელწოდება შეიცვალა, რათა მასში ასახული ყოფილიყო გაფართოებული მანდატი, რომელშიც ადამიანის უფლებების და დემოკრატიზაციის საკითხებიც შედიოდა. დღესდღეობით ოფისში 150-ზე მეტი ადამიანი მუშაობს.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი არჩევნებზე დაკვირვების სფეროში ევროპაში წამყვანი ინსტიტუტია. ყოველწლიურად ის ახდენს ათასობით დამკვირვებლების სხვადასხვა ქვეყანაში განლაგების კოორდინირებას და ორგანიზებას, რათა შეფასდეს ეუთოში შემავალ ქვეყნებში ჩატარებული არჩევნების შესაბამისობა ეუთოს წინაშე აღებული ვალდებულებებთან, არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების უზრუნველსაყოფად არსებულ საერთაშორისო სტანდარტებთან და ვალდებულებებთან და ასევე ეროვნულ კანონმდებლობასთან. მისი უნიკალური მეთოდოლოგია მთლიანი საარჩევნო პროცესის სიღრმისეული ანალიზის საშუალებას იძლევა. პროექტების მეშვეობით ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ეუთოს წევრ სახელმწიფოებს საკუთარი საარჩევნო სტრუქტურების გაუმჯობესებაში ეხმარება.

ოფისის დემოკრატიზაციის საკითხებთან დაკავშირებული საქმიანობა შემდეგ სფეროებს მოიცავს: კანონის უზენაესობა, საკანონმდებლო მხარდაჭერა, დემოკრატიული მმართველობა, მიგრაცია და გადაადგილების თავისუფლება და გენდერული თანასწორობა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ყოველწლიურად მიზნობრივ დახმარებაზე ორიენტირებულ არაერთ პროგრამას ახორციელებს, რომელთა მიზანია დემოკრატიული სტრუქტურების განვითარება.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ეუთოს წევრ სახელმწიფოებს ასევე დახმარებას უწევს ადამიანის უფლებების და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის კუთხით მათ მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებაში, რომლებიც ეუთოს ადამიანური განზომილების წინაშე აღებულ ვალდებულებებს შეესაბამება. ამ მხრივ ოფისის მუშაობა სხვადასხვა პარტნიორთან ერთად მიმდინარეობს თანამშრომლობის გაძლიერების, შესაძლებლობების

განვითარებისა და თემატურ სფეროებში გამოცდილების გაზიარების უზრუნველსაყოფად ისეთ სფეროებში, როგორცაა ადამიანის უფლებების დაცვა ტერორიზმთან ბრძოლის ფარგლებში, ტრეფიკინგის მსხვერპლთა ადამიანის უფლებების დაცვის გაძლიერება, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული განათლება და ტრენინგი, ადამიანის უფლებების მდგომარეობის მონიტორინგი და ანგარიშგება და ქალთა ადამიანის უფლებები და უსაფრთხოება.

ტოლერანტობის და არადისკრიმინაციის მხრივ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ეუთოს წევრ სახელმწიფოებს დახმარებას უწევს მათ მიერ სიძულვილის საფუძველზე ჩადენილ დანაშაულებზე, ასევე რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმის და არატოლერანტულობის სხვა ფორმებზე რეაგირების გაძლიერების კუთხით. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საქმიანობა, რომელიც ტოლერანტობას და არადისკრიმინაციას ეხება, შემდეგ სფეროებზე ამახვილებს ყურადღებას: კანონმდებლობა; სამართალდამცავთა ტრენინგი; სიძულვილის საფუძველზე ჩადენილ დანაშაულებსა და ინციდენტებზე რეაგირების მონიტორინგი, ანგარიშგება და შემდგომი ნაბიჯები; ასევე საგანმანათლებლო საქმიანობა, რომლის მიზანს ტოლერანტობის, პატივისცემის და ურთიერთგაგების ხელშეწყობა წარმოადგენს.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ეუთოს წევრ სახელმწიფოებს კონსულტაციას უწევს ბოშებისა და სინტების საკითხებზე მათ პოლიტიკაში. ოფისი ხელს უწყობს ბოშთა თემებში შესაძლებლობების განვითარებას და ბიზნეს კონტაქტების შექმნას და მხარს უჭერს სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შემუშავებელი ორგანოების მუშაობაში ბოშების ჩართულობას.

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ყველა საქმიანობა ეუთოს წევრ ქვეყნებთან, ეუთოს ინსტიტუტებთან და ადგილზე განხორციელებულ პროგრამებთან, ისევე როგორც სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო კოორდინაციის და თანამშრომლობის რეჟიმში მიმდინარეობს.

დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ვებგვერდზე (www.osce.org/odihr).